

Советской Армии

**№ 19**

**PARIS**  
**1935**



სასტატიუმ გეორგია

მ გ ვ ა ნ მ

# Mkedari

REVUE MILITAIRE GÉORGIENNE

N<sup>o</sup> 19

კარიბი

1935 წ

1. პოლონეთის პირველი მარშალი იოსებ პილსუდსკი
  2. **a. ჩხეიძე** — მარშალ პილსუდსკის ცხოვრება და მოქმედება
  3. პოლონეთის პოლონეზენტის პროფ. მოსტიცკის სიტყვა მარშალ პილსუდსკის დაკრძალვისას
  4. **б. მა — ლი** — პოლონეთის განთავისუფლება და მარშალ პილსუდსკი
  5. პოლონეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარი ინსპექტორი
  6. **ვ. ნა — ლი** — განახლებულ პოლონეთის უდიდესი ბრძოლები
- 

REVUE MILITAIRE GÉORGIENNE

MKEDARI № 19

1. PREMIER MARÉCHAL DE POLOGNE — JOSEPH PILSOUDSKY.
2. **A. TCHKÉIDZÉ** — LA VIE ET ŒUVRE DU MARÉCHAL PIL-SOUDSKY.
3. DISCOURS PRONONCE PAR LE PROF. MOSTIZKY, PRÉSIDENT DE LA RÉPUBLIQUE DE POLOGNE, A L'ENTERREMENT DU MARÉCHAL PILSOUDSKY.
4. **N. MA-LI** — MARÉCHAL PILSOUDSKY ET LIBÉRATION DE LA POLOGNE.
5. L'INSPECTEUR GÉNÉRAL DE L'ARMÉE POLONAISE.
6. **V. NA-LI** — LES GRANDES BATAILLES DE LA POLOGNE RESTAURÉE.



იოსეზ პილსუდსკი  
პოლონეთის პირველი მარშალი

## პოლონეთის პირველი მარშალი

### იოსებ პილსუდსკი

25. V. 35. გარდაიცვალა ვარშავაში პოლონეთის სამხედრო მინისტრი და შეიარაღებულ ძალთა გენერალური ინსპეკტორი, პირველი მარშალი იოსებ პილსუდსკი. ამ ცნობამ ერს გლოვის ზარი დასცა თავს და მთელი სახელმწიფო ძალებში გაახვია.

რომ ადამიანს პოლონეთის სახელი პირველად გაეცის და არ იცნობდეს არც ერთ ფურცელს ამ ერის ისტორიისას, საკმარისია ენახა პოლონეთი თავის უდიდეს სიმძიმის დღეებში, ის სასოებრივი გრძნობა გლოვისა, რომელმაც სტიქიურის ძალით აღმოხეთქა მთელი ერის და თითოობლივ პოლონელის მკერდიდან, რომ ნათლად შეეგნო, რომ ამ პიროვნების სილიადე მის თანამდებობათა პიუროკრატიულ ტერმინოლოგით არ განიზომებოდა და რომ იყი ყოველგვარ ხარისხთა და თანამდებობათა გარეშე სუფევდა მთელ პოლონეთის გულში.

რა იყო იოსებ პილსუდსკი პოლონეთისათვის და რით დაიმსახურა მან თავისი ერის ასეთი გრძნობანი?

ამ ეროვნულ ბუმბერაზის ბიოგრაფია — ეს პატარა ცოცხალი მინიატურული კონსპეკტია მთელი პოლონეთის ისტორიისა. ხანგრძლივი დევნა, ტანჯვა და ვაება სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის გამო... ციმბირი, ციხეები... ბრძოლა თავგანწირული და შეურიგებელი, ბრძოლა ხანგრძლივი, ლამის გაუთავებელი. შემდეგ მიუხედავათ უსაზღვრო სიძნელეთა და ხშირად განმარტოვებისა — გამარჯვება და საკუთარ განზრახვათა სრული განხორციელება, შე-

მდეგ უძნელესი მუშაობა მოპოებულ გამარჯვების დასამკიდრებ-  
ლად და ბოლოს სრული და ურყევი გნემტკიცება თავის სიღიადის.  
ესვევა გზა მთელ მის ერთსა.

იოსებ პილსუდსკი დაბადა 1867 წელს; იმ დროს, როდესაც  
მთელი ერთ უშუალოდ და უმწარესად განიცდიდა ჯერ ისევ შეუ-  
შრობელ წყლულებს სულ ოთხი წლის წინ ცეცხლით და მახვილით  
ჩაქრობილ პოლონეთის უკანასკნელ შეიარაღებულ აჯანყებისა,  
(1863 წ.); როდესაც პოლონეთში რუსულ „სამართლიანობის და  
მოწესრიგების“ დამყარების ქარცეცხლი მძვინვარებდა, იზრდებოდა  
ერთის გამჭრალი კერისათვის ცრემლით ნაქარგი სევდის ატმოსფერა-  
ში და უშუალოდ განცდიდა უსამართლო ბოროტ მოქმედებას, რომ-  
ლის მსხვერპლათაც შეიქმნა მისი საშობლო. ამ დროიდანვე განი-  
ტაცა იგი შეურიგებელ აქტიურ ბრძოლის სურვილმა. ბრძოლისა  
სამშობლოს ყველა მტრებთან. დიახ! ერთმა პიროვნებამ, განმარტო-  
ვებულმა თავისიანებშიც და უცხოებშიც, აღუთქვა შეურიგებელი  
ბრძოლა სამ თანამედროვე უდიდეს სახელმწიფოს; რომელთა ძლე-  
ვის წინაშეც ქედს იხრიდა უდიდესი ნაწილი მისი თანამედროვე კა-  
ცუბრიობის. აღუთქვა და იწყობს განმარტოებულ ბრძოლას მაშინ,  
როდესაც მთელი ერთ უკვე სულიერად მოტეხილია და როდესაც  
არავის აღარა სწამს შეიარაღებულ განმკლავების აზრიანობა.

დღეს უკვე ვიცით ამ ბრძოლის შედეგი.  
უკვე როგორც ახალგაზრდა სტუდენტმა მიიპყრო რუსეთის შმარ-  
თველობის ყურადღება თავის რევოლუციურ მუშაობით და გადა-  
სახლებული იქმნა ციმბირში. ყოველი დევნა, ყოველი დაბრკოლება  
და მარცხი, გატესტის მაგიერ უფრო მეტ ენერგიასა და შეურიგებ-  
ლობას იწვევს მასში. ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ უფრო მე-  
ტი ენერგიით უდგება კონსპირაციულ მუშაობას და სდგება სათა-  
ვეში პოლონეთის სოციალდემოკრატიულ პარტიის საბრძოლო ორ-  
განიზაციისა. აღსანიშნავია, რომ მთელ თავის ხანგრძლივ პოლი-  
ტიკურ მუშაობის განმავლობაში არც ერთი წუთით არ უშვებს  
თვალიდან თავის მთავარ მიზანს და არც ერთი ნაბიჯით არ სცდება  
მისკენ მიმავალ უმოკლეს სწორ ხაზს. სახელდობრ: შეურიგებელი  
ბრძოლა პოლონეთის ეროვნულ განთავისუფლებისათვის ყველა  
მის დამპყრობელთან. ამ მიზნისათვის არ ერიდება თანამუშაობას  
სხვა ყველა პოლონურ პოლიტიკურ ჯგუფებთან. ვინაიდან აშ სა-  
ბრძოლო ორგანიზაციებში ხელავს თავის ერთს შეიარაღებულ ძა-  
ლების კადრებს. საერთაშორისო ოშის წინ იმყოფება პოლონეთის

ავსტრიის მიერ დაპყრობილ ნაწილში, სადაც აჭარმოებს მსროლებლთა სამხალის ნაწილის ორგანიზაციას. მის პირველ დღეებშივე ვხედავთ მას ბრძოლის ველზე მსროლელთა ბრიგადის სათავეში. აქ ვხედავთ ერთ ძლიერ საინტერესო სურათს: იბრძვის ავსტრიის ფრონტზე რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ პოლიტიკური ხაზი ისე მკვეთრად აქვს აღნიშნული, რომ არც ერთი წუთით არ შეუძლია არავის, რომ მას ავსტრიის, ან საერთოდ, ცენტრალურ სახელმწიფოთა მოკავშირეობა დასწამოს. ყოველი მისი ნაბიჯიდან ნათლად გამოიყურება, რომ ეს შეიარაღებული კრებული საკუთარ პოლიტიკურ ხაზის მატარებელია, რომ იგი თავის სამხედრო ქმნილებას უყურებს როგორც კადრებს პოლონეთის მომავალ შეიარაღებულ ძალებისა. ბოლოს დგება დღე, როდესაც ცენტრალური კავშირი ისახავს მიზნად პოლონეთის სამხედრო კონტინგენსის გამოყენებას და ამ აზრით აძლევს მას ბუნდოვან დაპირებას ეროვნულ აღმგენინისა\*) და ისევე პილსუდსკის და მის მოხალისეთა ბრიგადას მოსთხოვენ ცენტრალურ სახელმწიფოთა ერთგულებაზე ფიცის დადგებას. ამაზე მთელი ორგანიზაცია თითქმის ერთიხმითი უარით უპასუხებს, რაზედაც პილსუდსკი თავისი შტაბის უფროსით დააპატიმრებული იქმნა და გადაგზავნილი მაგდებურგის (ციხეში\*\*), ხოლო მისი ბრიგადა დაშლილ იქმნა. ეს ხანა პილსუდსკის ორგანიზაციისათვის მორალურად თითქმის რომ ყველაზე უმძიმესი მომენტი იყო. დღეს იგი მის უბრწყინვალეს წუთებში უნდა იქმნეს ჩარიცხული.

ამ დროს უკვე მთელი პოლონეთი მოფენილია პოლსუდსკის მიერ მოწყობილ და მის თანამომჟავეთა მიერ წარმოებულ ძლიერ კონსპირაციულ სამხედრო ორგანიზაციის ქსელით, რომლის მუშაობაც ლეგალურ მუშაობის შეუძლებლობის გამო, უფრო გაძლიერდა და დიდ რომის სულთ ბრძოლის გამწვავების პარალელურად, კონკრეტულ აფეთქვის ნიშანს ღებულობს. იმ დროს პოლონეთის მთელი ტერიტორია მხოლოდ გერმანის და აღსტრიის ხელშია. უკვე იქტიმბრის ბოლო რიცხვებში, დამარცხებული ავსტროუნგრეთი იშლება თავის

\*) ჩვენთვის ეს ძლიერ კარგად ცნობილი მანევრია: ამ როლს ჩვენს მიმართ მიტროპოლიტი პიტირიმი ასრულებდა ეკლესიის ავტოკეფალიის დაპირებით. ამავე გესტს ხმარობდა ჩვენ მიმართ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

\*\*) იქ, სადაც შვიდწლედ მოისდროს ჩვენი დავით გურამიშვილი იყო დატყვევებული.

ყველა შემადგენელ ჭრელ ნაწილებად და პოლონეთის ერთი ნაწილი ფაქტიურად თავისუფლდება. შემდეგ, ნოემბრის პირველ ნახევარში გერმანელები იძულებული არიან მოითხოვონ ზავი ყოველგვარ პირობების და მიუხედავათ. თვით გერმანიაში რევოლუციის ცეცხლი მძვინვარებს. ეს პ-თის სამხედრო ორგანიზაციისთვის ამოქმედების ნიშნად შეიქმნა, რომელიც; ავტომატიურად შეუდგა პოლონეთის ტერიტორიაზე მყოფ გერმანელთა ლაშქარის განიარაღებას. ამ დღე-ებში განთავისუფლებული იქმნა მაგდებურგის ციხიდან ისებ პილსუდსკი, რომელიც ბრუნდება ვარშავაში. აქ მთელი ერი, განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა, ეგებება მას როგორც სამშობლოს ერთად ერთ შესწელს და ურყევლად ანიჭებს ფაქტიურად შეუზღუდავ ძალაუფლებას. ამ დროს პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ფრონტზე სდგას ჯერ ისევ ძლიერი და გაუხრმაველი გერმანელთა ლაშქარი, რომელმაც მტრულ განწყობილებით უნდა გადაიაროს პოლონეთის ტერიტორიაზე თავის სამშობლოსაკენ. ხოლო მათ ფეხდაფეხ მოსდევს ბოლშევიკების ლაშქარი თავის მებრძოლ კომუნიზმის ფანატიკური რწმუნებით, რომ იქ ევროპაში დადგა ყამი მათ მესვეურობისა.

ეს უკვე ახალი ეტაპია პილსუდსკის პოლიტიკური მოქმედებისა. პირველი ხანგრძლივი ეტაპი ეს უდრეკ რევოლუციონერის მუშაობა იყო პოლონეთის სამ მფლობელთა დანგრევისთვის წარმოებული. გრძელ და ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ აქ მან სრულებით მიაღწია თავის მიზანს, მაგრამ ეს მიზნის ის ნაწილია, რომელსაც აღწევს უმეტესი ნაწილი ყველა რევოლუციონურ მოქმედებათა, თუ მათ ბავშური სულმოკლეობა არა სჭირო. მეორე ეტაპი, ეს დანგრევითი მოქმედების შემდეგ კონკრეტულ აღმაშენებელ მუშაობის ხანაა, ხანა მოპოებულ თავისუფლების დაცვის და მის განმტკიცებისა. ეს უკვე ის გამოცდაა, რომლის ჩაბარებასაც ვერ ახერხებს ამბოხებათა რელმდლვანელთა უდიდესი ნაწილი. აი ამ გამოცდის ჩაბარება პოლონეთს პირდაპირ საშინელ პირობებში მოუხდა. საჭირო იყო საჩქაროდ მთელ სახელმწიფო აპარატის შექმნა და ამუშავება, შექმნა შეიარაღებულ ძალების და რამოდენიმე კვირის განმავლობაში მიღება ომის რ.ს.ჭ.ს.რ.-თან (მაშინდელი სახელი საბჭოთა რუსეთის); ყველა ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ყველა ნაწილი უკანასკნელ ომის განმავლობაში გაპარტახებულ ბრძოლათა სარბიელს წარმოადგენდა, ხოლო ამის წინ ასი წლის განმავლობაში სამ სახელმწიფოთა ჩინურ კედლებით იყო გაყოფილი სხვა და სხვა მფლობელთა ტერიტორიად.

ეს გამოცდა პილსუდსკის ხელმძღვანელობით პოლონეთმა საუცხოოდ ჩააბარა ისტორიას.

როდესაც პოლონეთი გარდამწყვეტ წუთებს განიცდიდა, როდესაც 1918 წლის ბოლოში მის არეული და აბობოქტებული აქტები არა ერთს შიშის ზარს სცემდა თავზე, მაშინ ყველას თვალები ითხებ პილსუდსკიზე იყვნენ მიპყრობილი, მის მაგდებურგიდან დაბრუნებას აღტაცებით მიეგება მთელი ერი და ურყევლად მიანიჭა მას განუსაზღვრელი უფლებანი. როდესაც ზარბაზნების გრიალი გათავდა და სახიფათო ქარიშხალმა განვლო, მასთან ერთად განვლო საზოგადოების ნაწილის აღმშენებლობითი მუშაობის და მის თავდავიწყებითი წარმოების შეგნებამაც. ეს მოვლენა ბუნებრივი თვისებაა აღამიანთა კრებულისათვის, რომელსაც არ აწევს კისერზე გარკვეული პასუხისმგებლობა. მას მდგომარეობის განმტკიცებად მხოლოდ მტრის მახვილის უშუალო ელვის მოშორება მიაჩნია. ამ გარემობის გამო მარშალი პილსუდსკი სტოვებს პოლიტიკურ სარბიელს და თავს განმარტოვებულ ცხოვრებას აძლევს.

ეს ესეთ ისტორიულ წარსულით აუცილებლად სჭირდება ხანგრძლივი და თავდავიწყებითი მუშაობა ძველ გაყოფილ საზღვრების ახალად შესაღულებლად და ეკონომიურად გაპარტახებულ სახელმწიფოს აღსაღენად. აი ეს მუშაობა შექმნილ პირობების გამო ვერ სწარმოებდა, სახელმწიფო ჩავარდა გასაჭირები და სახიფათო ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისის წინ დადგა. ამ პირობებში 1926 წელს იმსებ პილსუდსკი ახალად გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე. სააღმშენებლო მუშაობაში მან ისეთივე თვისებები გამოიჩინა, როგორც კონსპირატიულ მოქმედებაში: მაშინ, როდესაც უმეტესთა მუშაობას პატეტიური ლაპარაკი შეადგენდა, ითხებ პილსუდსკი მცნებელი იყო მხოლოდ ულაპარაკოდ გარდამწყვეტ ფაქტების ამუშავებისა. რა პოლიტიკური თილისმა იხმარა მან ერის ამ მდგომარეობიდან გამოსაყანად? აქ არის ალაგი ამაზე ბაასისა; საკმარისია შეეხედოთ დღევანდელ პოლონეთის სილუეტს: ეკონომიურად — ევროპაში ყველაზე მაგრად სდგას და საერთაშორისო კრიზისის სახადს ყველაზე ადვილად ხდილობს. ფინანსიურად — მისი სისტემა ერთად ერთი გამოდგა დედამიწის ზურგზე, რომელიც დღეს ურყევლად სდგას. მილიტარულ სიძლიერით დაიკავა ალაგი პირველი ხარისხოვან ძლიერებათა შორის. საერთაშორისო ურთიერთობაში — მთელი ევროპა სცნობს პოლონეთის პირველ ხარისხოვან მნიშვნელობას და დაეძებს! მის კეთილ განწყობილებას. აი შედეგი მის მუშაობისა!

დღეს პოლონეთი ჰგლოვობს ამ უდიდესი საქმეთა შემომქმედის დაკარგვებს, ჰგლოვობს გრძნობათა სტიქიური ძალით და ამ გლოვის გრძნობებით გატაცებულია მთელი ერი და ყოველი პოლონელი უშუალოდ.

ჰგლოვობს იგი თავის უდიდესი შეილის დაკარგვებს, რომელმაც მახვილით ხელში არარაობის უფსკრულიდან გამოიყვანა ერი, რომელმაც ხანგრძლივი და მძიმე მუშაობით შეუქმნა ერს მკვიდრი საძირკველი მომავალ განვითარებისათვის, რომელმაც საკუთარი ხელით აღუზარდა სამშობლოს და დაუტოვა მძლავრი კადრები თავის ამ მუშაობის გამგრძელებელ სახელმწიფო ხელმძღვანელებისა. განუმზადა და დაუტოვა თავის ერს უმტკიცესი საფუძველი დიად არსებობისათვის; საფუძველი ყველაზე უმტკიცესი და ურყყეველი, რომლის უმტკიცესობაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩვენ თაობის ცხოვრების ვითარებაში. მისცა სამშობლოს ყველაფერი, რაც კი მას სჭიროდა და რის მიცემაც კი შეეძლო მისთვის ადამიანის უმაღლეს შემძლებლობას. შესწირა მას ყველაფერი, რის შეწირვაც კი შეეძლო. ბოლა: შესწირა მთელი თავისი ახალგაზრდობა განვლილი ციხეებში და ტანჯვაში, შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე მძიმე და განუწყვეტელ მუშაობისა, შესწირა მას მთელი თავისი მხედრული და შემოქმედებითი ლირუება და ლირებულება და ყოველი თავისი მაჯისცემა უშუალოდ ჩააქსოვა ერის ცხოვრებაში. და დღესაც თავის სიკვდილის ურყევი აჩრდილით შექმნა დუღაბი, რომელმაც გლოვის ზარით და ძაძებით ერთ მძლავრ არსებად შეპკრა მთელ კეთილშობილ გრძნობათა კრებული თავის ერისა. თვით თავის სიკვდილითაც კიდევ ერთი მძლავრი განმალიდებელი ძალა შეუქმნა ერს მას სულიერ სიმაღლის კიდევ ერთი ხაზის გასმით. პოლონეთი ჰგრძნობს თავის დანაკარგება და გლოვობს მას ისე, რომ ამას ვერ შეიგნებს ვერც ერთი ერი, რომელთა ხანგრძლივი და დინჯი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ბიუროკრატიულ პარაგრაფებით არის აღთვლილი და გლოვის წესიც სასამსახურო სახით აქვთ განზომილი.

კი! პოლონეთის დანაკარგი აუნაზღაურებელია, ვინაიდან ყოველივე დღე ამ პიროვნების სიცოცხლისა, თვით გაგრძელებულ სასიკვდილო ავონიისაც კი დაუფასებელ განძს წარმოადგენდა ერისათვის... მაგრამ იყო დრო, როდესაც ეს დანაკაგი სახელმწიფოსათვის პირდაპირ კატასტროფა იქნებოდა... დღეს, მარშალისავე მუშაობის წყალობით, პოლონეთის სახელმწიფოებრივ ნიადაგს ისე მკვიდრი საფუძველი აქვს დადებული, რომ მის მომავალი აღარ არის დამოკი-

დებული გენიოსის მოვლენის შემთხვევაზე და მისი მართვა ძალუძა  
ყოველივე ჩვეულებრივ მომაკვდავთა კრებულს. აი იდეალი სახელ-  
მწიფოებრივ სიმკვიდრისა!

და ვისთვის უნდა ყოფილყო მოულოდნელი, რომ იოსებ პილსუ-  
დის გარდაცვალება პოლონეთისთვის აუნაზღაურებელი იქნებოდა? გენიოსები რა გინდ ბევრიც არ ჰყავდეს პოლონეთს ცხოვრების ყვე-  
ლა დარგებში, მანც ასეთი ავტორიტეტი არავის ექნება. ეს შეუძლე-  
ბელია! ამისათვის საჭირო იქნებოდა, რომ პოლონეთს ახლად გაევლო  
თავის წარსული გოლგოთა, რაც მას მომავალში აღარ უწერია. დამ-  
სახურებელი ავტორიტეტი კი ერის გამგებლობაში ძალის საუკეთესო  
და უძლიერეს სახეს წარმოადგენს.

არარაობიდან შევქმნა მან მძლავრი სახელმწიფო და განამტკიცა  
იგი. თუ გადავჭედავთ ჩვენ ისტორიას, ჩვენი ერის ერთერთი ასეთი  
პიროვნება საქართველოს ისტორიაში წმიდანთა შორის ჩარიცხვით ჰყა  
უკვდავი.

პოლონეთმა თავის მოძღვარი გვირგვინოსან მეფეთა პანთეონში  
მოათავსა საუკუნო განსვენებისათვის. მავრამ თუ გადავავლებთ  
თვალს პოლონეთის ათას წლიან ისტორიას, დავინახავთ, რომ ვერც  
ერთ ამ ხარისხის პიროვნების ღვაწლი ვერ შეეძლება მარშალის  
ღვაწლა.

არც ერთ, მარშალის წინამორბედ პოლიტიკურ მოღვაწეს არ და-  
უწყია თავის პოლიტიკური მუშაობა უკიდურეს გაჭირვების და  
პირდაპირ უიმედო მდგომარეობის წერტილიდან.

არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია ესეთი გრანდიოზულ გან-  
ზომვით მთელი კრებული თავის პატრიოტულ განზრახვათა; და არც  
ერთ მათგანს არ შეეძლო ასე დინჯი გულით შეეხედა პოლონეთის  
მომავლისათვის უამსა დიდ მუშაობით დაღლილ თვალის დახუჭვისა.

დიდია და ბედნერი ერი, რომელმაც წარმოშვა ესეთი შვილი. და  
უკვდავია მისი მომავალი, როდესაც მოახერხა შეგნება ესეთ ერთეუ-  
ლის და მის ღირსების სრული გამოყენება.

---

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარშალის მნიშვნელობა პოლონეთი-  
სათვის და მის დღევანდელ მკერდიდან აღმოხეთქილ წრფელ გლოვის  
შეფასებას და გაგებას, მგონი ვერ მოახერხებს ყველა ერი, რო-  
მელიც საუკუნებით დინჯ და გათვლილ ცხოვრებას აწარმოებს,  
რომელსაც თვალ წინ არა სდგომია აჩრდილი ყოფნა არ ყოფნის სა-  
კითხისა და არ განუცდია მაქსიმალური შედეგი ძველ სიმართლისა:  
„ვაი დამარცხებულთ!“.

ჩვენთვის, ქართველებისთვის პოლონეთის ისტორიის ამ ნაწილს, რომელმაც მარშალის სილუეტის სათაურით განვლო სულ სხვა მნიშვნელობა აქვს.

ეს არის ისტორია იმ ერის, რომელიც განვებამ ჩვენსავით ორ ძირითადათ განსხვავებულ სულიერ ვითარების ქვეყანათა შუა ჩააყენა. ეს არის ისტორია იმ ხანის, როდესაც ამ ძნელ ამოცანამ იმსხვერპლა ამ ერის არსებობა, ისევე როგორც ჩვენი. ეს არის მიზანი იმ ძნელ უფსკრულის პირებს მიმავალ ხლახნილი გზისა, რომელიც პოლონეთისათვის უფრო ძნელ გრეხილით მიღიოდა ვიდრე ჩვენთვის, რომელზედაც ჩვენ დავმარცხდით და პოლონეთმა კი თავის მოძღვარის წყალობით გზა განვლო დღევანდელ დიდებისაკენ. ყოველ დამარცხებულის ბუნებრივი ფსიქოლოგიაა, რომ გამარჯვებულ მოწინააღმდეგის ძლიერება შეუზღუდავად და უძლეველად ეჩვენმბა; მაგრამ ვხედავთ აქ, რომ ერთმა განმარტოებულმა პიროვნებამ აღუთქვა შეურიგებელი ბრძოლა სამ ტიტანურ ძლიერებას და გაიმარჯვა. გაიმარჯვა, ვინაიდან ჰქონდა სურვილი ბრძოლის და შეგნება თავის მიზნისა. ამით ერთხელ კიდევ ცხადშეუ ისტორიაში, რომ თუ კი ერს აქვს სურვილი თავის არსებობისათვის ბრძოლის წარმოებისა და ამ მიზნის შეგნება, მაშინ მისი განთავისუფლება მხოლოდ დროის საკითხი-ლაა. ამ მხრივ იოსებ პილსულსკიმ გადალახა თავის ერის საზღვრები და შეიქმნა საკუთრებად და სულიერ განხად ყველა ამ მიზნებისათვის მებრძოლ ერთათვის, და მის უკვდავი ძეგლი ოცდა ათ მილიონიან სანელმწიფოს სახით სახით სახით მიიპყრობს ხევდიან ხედვას ყველა, თავისუფლებისათვის მებრძოლ ერისა.

დღად პოლონეთის ისტორიის ეს დღადი ნაწილი სავალდებულო სახელმძღვანელოდ შეიქმნება ყველა ანალოგიურ მიზნით გატაცებულთათვის, რომელთათვისაც იოსებ პილსულსკის ქმნილების განმტკიცება. სიძლიერე და უკვდავება ცოცხალი იდეალი და საკუთარ არსებობის მისამართი იქნება.

და ამისთვის ყოველი კავკასიელი წრფელის გულით დახრის თავს ამ ეროვნულ ბუმბერაზის დიდების წინაშე და განუსაზღვრელ გულის ტკივილით თანაუგრძნობს ჯერ კიდევ გაუთავებელ ჩვენ უბედურების მახლობელ წარსულის ფიზიკურ თანამონაწილე ბეჭინერ დიდ ერს პოლონეთისა.

მარგალი იოანეზ პილსუდსკის

ცხოვრება და მოქმედება



ი. პილსუდსკი ბავშობისას

იოსებ პილსუდსკი დაიბადა 5 ქრისტეშობისთვეს 1867 წ. ქ. ვილნის სიახლოვით სოფ. უულოკში, პატრიოტულ აზნაურულ ოჯახში. ის დრო იყო, როდესაც პოლონეთი განიცდიდა მწუხარებას და

გლოვას 1863 წ. აჯანყების დამარცხების გამო, რომელიც რუსებმა სისხლით ჩატრიქეს. დედა მისი ზედმიწევნით პატრიოტი და იშვიათი თვისების აღამიანი იყო. მოწმე აჯანყების და მისი ჩატრიქების, ის მძიმედ განიცდიდა თავის სამშობლოს გვლოვიარობას; ღრმად გულში უჯდა მწუხარება და ზიზღი მტრისადმი.

როდესაც შვილი იოსები წამოიზარდა. დედა შეუდგა მის აღზრდა-განვითარებას. ხშირად უკითხავდა ბავშებს პოლონეთის ისტორიას, აგონებდა აჯანყების ამბავს, მის დამარცხებას და ცდილობდა ბავშებისათვის ჩატერგა მტერთან ბრძოლის გაგრძელების აუცილებლობა მიუხედავათ მსხვერპლისა. წრთვნიდა ბავშებში ხასიათის სიმტკიცეს, შეუდრეველობას, თავმოყვარეობას, დამოუკიდებლობას და მტერთან შეურიგებლობას. თვით მარშალი აი რას სწერს: — „დედა ბავშობიდან წრთვნიდა ჩვენში აზრების დამოუკიდებლობას და ალვივებდა პირადული ლირსების გრძნობებს, რომლებმაც შემდეგი სახე მიიღეს ჩემს აზროვნებაში: მხოლოდ ის კაცია აღამიანი, რომელსაც აქვს გარ-კვეული რწმენა და მიუხედავათ შედეგისა შესძლებს ამ რწმენის სა-ქმედ აღიარებას“. აი ამნაირ პატრიოტულ ატმოსფერაში და ამისთანა დედის ხელში იზრდებოდა მომავალი დიდი კაცი. მისი ყმაწვილოუ არ იყო ჩვეულებრივი, მას ბავშობისას არავინ უყვებოდა ზღაპრებს მეფეებზე და ლამაზ სასახლის კოშკებზე, როგორც საერთოდ მოსდით მომეტებულ წილ ბავშებს; პირიქით, ფეხის მოდგმიდან ის შთანთქავ-და ცხოვრების მთელ სიმართლეს, მწუხარებას და ტკივილს, რომელ-საც განიცდიდა მისი სამშობლო; ზღაპრების მაგიერ ისმენდა ნაამბობს აჯანყებულთა ნამდვილ ომებზე, მათ გმირობას და თავდადებულო-ბას. დედის ასეთ გავლენის ქვეშ იზრდებოდა 7 წლამდე. 7 წლის რომ იყო, როდესაც დაიწვა სოფელში სახლი, მთელი ოჯახი გადასახლ-და ქ. ვილნოში. მიუხედავათ მცირეწლოვანობისა ამ ქალაქში ისეთი დრიდი შთაბეჭდილება მთახდინა ბავშე, რომ ცხოვრების უკანასკნელ დღემდი ეს ქალაქი მას ყველაზე მომეტებულად უყვარდა. ამ ქალაქში ის პირველად ხვდება თავის მტრებს რუსებს. მოკლე ხანში მშობ-ლებმა ბავში სასწავლებელში მისცეს. რომლის ატმოსფერა მისთვის მეტად მძიმე გამოდგა. აი თვით როგორ ახასიათებს: — „ჩემთვის გი-მნაზიაში ყოფნის ხანა ერთვარი კატორდა იყო“.... შემდეგ კი სწერს რომ მასწავლებლები ამცირებენ ყოველივე პოლონურს; ხშირად აბუ-ჩად იგდებენ ყოველივე იმას, რაც მისთვის უკვე ძვირფასი და საყვა-რელი იყო. ასეთ პირობებში მისი განწყობილება რუსეთისა და რუ-სობისადმი თანდათანობით იქცევა ზიზღად და შურისძიების სურვ-ლად. გიმნაზიის დამთავრებისას ის კინალამ სასწავლებელიდან და-

ითხოვეს, ამხანაგებთან პოლონურ ენაზე ლაპარაკისათვის. ამ ხანებში მას ეწვია დრიდი უბედურება — გარდაიცვალა საყვარელი დედა, მისი აღმზრდელი, საუკეთესო მასწავლებელი და ამის გამოთავს ობლად სთვლის.

ჯერ კიდევ სრულებით მოუმწიფებელი გიმნაზისტი, ის უკვე აჯანყებაზე ფიქრობს; დაწვრილებით ეცნობა წარსულ აჯანყებებს და ეძებს მიზეზებს მათი დამარცხებისა. ბევრს კითხულობს საფრანგეთის რევოლუციაზე და იმ დასკვნაშიც მიღის, რომ აჯანყების გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის საჭიროა მთელი ერის ამხედრება.

### ებადება აზრი ერის მომზადების.

თავის ძმა ბრონისლავთან ერთად იგი ჰქმნის საიდუმლო საზოგადოებას „კავშირს“, სადაც ყველა წევრი ეცნობა რევოლუციის პირველ ნაბიჯებს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შედის ხარჯოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. გიმნაზიიდან შემდეგი შინაარსის მოწმობა თან მიუყოლეს: „ხოტია ოჩენ სპოსობი, მი როგორინი ბუნტოვშჩიკომ“. ხარჯოვში ის იღებს მონაწილეობას სტუდენტების ორგანიზაციებში. სამოსწავლო წლის ბოლოში დემონსტრაციების მოწყობისათვის, სხვებთან ერთად, აღმინისტრატიულად გაძევებულ იქმნა ხარჯოვიდან და ამავე დროს უფლება ჩამოერთვა უნივერსიტეტში კვლავ შესვლისა. ამრიგად თავიდანვე მისი სამოსწავლო გზა დაიკატა, რაც მას სავსებით არწმუნებს, რომ არ დარჩენია სხვა გზა, გარდა ბრძოლისა. იგი ბრუნდება ქ. ვილნოში და აქ ფეხს უყრის საიდუმლო კავშირს, რომელსაც ამოცანად უსვამს — რუსეთის ძლაუფლებასთან და ძლევამოსილობასთან ბრძოლას. თავდაპირველი მიზანი ამ კავშირისა იყო მუშების, მოხელეების და გლეხების განვითარება და მათი შეგნება; გაცნობა მათთვის პოლონეთის ისტორიისა და საერთო მდგომარეობის. კავშირის წევრნი ასწავლიან ფარულად პოლონურ ენაზე წერა - კითხვას. ახალგაზრდა „ბუნტოვშჩიკი“ არ კმაყოფილდება თავისი მუშაობით ქ. ვილნოს ფარგლებში; ეძებს გამოსავალს გავლენის მოსახლენად უფრო ფართო წრეებზე. ამ მიზნისათვის იწყებს გაზეთის გამოცემას, რომელიც იძექდება ჰექტორგრაფზე. მეთაურმა და მასწავლებელმა, რედაქტორიაც და მბეჭდელობაც თვითონ იკისრა. ამავე დროს არ ივიწყებს საკუთარ განათლებასაც; ეცნობა რომის დიდების ისტორიას, გამოჩენილ აღამიანების ცხოვრებას და აგრეთვე ბევრს კითხულობს სოციალიზმზე. მის მიერ შექმნილ საიდუმლო ოზგანიზაციას კავშირი ჰქონდა რუსეთის ორგანიზაციასთან „ხალხის აზრთ“-ან, რომელიც იმ ხანებში ამზადებდა შეთქმულობას მეფე ალექსანდრ შე-ზე. რუ-

სეთის მთავრობამ შეთქმულობა გაიგო და ვილნოს ორგანიზაციის წევრებიც მსხვერპლად შეეწირენ. ორცე ძმა პილსუდსკი აღმინა-სტრატიულად გადაასახლეს ციმბირში — ბრონისლავი 15 წლით, — იმსები კი 5 წლით.

1887 წ. იმსებ პილსუდსკი გაუდგა იმ გზას, რომლითაც გაიარეა ბევრმა მისმა თანამემამულებმა სამშობლოს განთავისუფლების ბრძოლისათვის. ქ. ოკუტსკში ციხის აღმინისტრაციასთან შეჯახების დროს ი. პილსუდსკი სხვა პოლონელ ახალგაზრდებთან ერთად მძიმედ გალახულ იქმნა თოვის კონდახებით და წინააღმდეგობის გაწევის გამო ერთი წლით ციხეში იქმნა ჩამული. მიუხედავათ, რომ იგი ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზრდა იყო (ოცი წლის), უკვე იხ-ვეჭს ავტორიტეტს და ამხანაგები, უფროსნიც კი, მას ბრძანდ ემორჩილებიან. ერთი ციხიდან მეორეში გადაყვანის დროს, ორმოც გრადუსიან ყინვაში, გაათენა ლამე გაუთბობელ ბოსელში და ამის გამო მძიმედ დაავადმყოფდა, მაგრამ ბედმა ის უკვე არგუნა დიდ საქმეს და ყმაშვილი სიკვდილს გადაურჩა. ერთი წლიწადი გაატარა მან კირნკოს ციხეში შემდეგ კი გაანთავისუფლეს და გადაასახლეს სოფ-ტუნცში. აქ ის თავის სასიხარულოდ ხვდება 1863 წ. აჯანყებულთ, სხვათა შორის შვარცს, რომელიც ერთ მეთაურთაგანი იყო აჯანყების. ყოველივე ის, რაც დედისაგან გაგონილი ჰქონდა, ან წაკითხული სლოვაცის და კრასინსკის ნაწარმოებში, შეავსო და საესებიო გაეცნო აჯანყებულებთან პირადი ლაპარაკის დროს. აჯანყებაზე ბაასი მას საესებით იპყრობს და ციმბირში ყოფნის დროს თანათანობით ყალიბდება მისი ხასიათი და შეხედულება. და მომავალი და ახალგაზრდა ი. პილსუდსკი ხვდება შეუდრეველი მებრძოლი სამშობლოს განთავისუფლებისათვის. აქ, ციმბირში ყოფნის დროს, იგი კურგავს იმედს რუსეთს რევოლუციის ძალაში და საბოლოოდ ირკვევა, რომ სამშობლოს განთავისუფლება უნდა გამოვიდეს თვით პოლონეთის ხალხის სიღრმიდან.

აქ იგი უფრო დაწვრილებით ეცნობა სოციალიზმს, მაგრამ პირადი აზრები და აგრეთვე აჯანყებულთა გავლენა მასში ისეთ შეხედულებას ბადებენ, რომ სოციალიზმი ერთერთ საშუალებათაგანია სამშობლოს გახათავისუფლებლად. პოლონელი სოციალისტი უნდა მიისწრაფოდეს დამოუკიდებელი პოლონეთისაკენ. აი მთავარი დებულება, რომლითაც ის ხელმძღვანელობს მომავალში.

25 წლის ახალგაზრდა, მაგრამ გონებრივად და შეხედულებით საესებით მომწიფებული პილსუდსკი ბრუნდება პოლონეთში. მას

უკვე აქვს გარკვეული ომოცანა — იცის თუ რა უნდა მოიმოქმედოს. ან რა სჭირია ხალხს თავისუფლების მოსახვეჭად. ქ. ვილნოში უღება მუშაობას, მაგრამ მალე გადადის ვარშავაში, სადაც მომეტებულად სცემდა მაჯა პოლიტიკური ცხოვრებისა. ვარშავაში აპამა მოლაპარაკებას გაზეთ „ხმა“-ს გამომცემელთა წრესთან, მაგრამ ეს მოლაპარაკება მთავარ საკითხებში ვერ დამთავრდა შეთანხმებით. საზოგადოების ის წრე, რომელიც ამ გამომცემლობის ირგვლივ თავს იყრიდა, არ იზიარებდა 1863 წ. აჯანყებას და საერთოდ წინააღმდეგი იყო შეიარაღებული გამოსვლისა; მთელი მათი მუშაობა განისაზღვრებოდა შინაურული მუშაობით და ყოველივეს მიღწევას მშვიდობიანის გზით.

ახალგაზრდა მებრძოლის გული დულდა ენერგიით და სურდა მას ბრძოლით თავის მიზნების მიღწევა. მან გადასწყვიტა გამოენახა სათანადო წრე და ამ მიზნით მიმართა მუშებს. ამ წრეში ის შეხვდა პოლონელ სოციალისტებს, რომლებმაც პარიზის კრებაზე თავის მუშაობის დებულებათ მიიღეს „პოლონეთის დამოუკიდებლობა“. აქ იგი ენერგიულად უდგება მუშაობას ამხანაგ „ვიკტორიის“ ფსევდონიმით. როგორც ყველაზე, აგრეთვე ამ წრეშიაც იხვეჭს მალე სახელს და წლის განმავლობაში არის ერთერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი, ირჩევენ მას პირველ ცენტრალურ კომიტეტის პ. პ. ს. (პოლონეთის პარტია სოციალისტური) წევრად. ცოტა ხანში იგი იწყებს საიდუმლო ორგანო „მუშა“-ს გამოცემას. ამ გაზეთში იგი ხშირად ათავსებს აღმზფოთებელ და ცხარე წერილებს, რომელთა შინაარსი მოუწოდებს ერს ბრძოლის წარმოებისაკენ რუსეთის ბატონობის წენა-აღმდეგ. გაზეთი „მუშა“-ს გამოჩენა მრისხანებას იწვევს რუსეთის ძალაუფლების შორის; ენერგიულად უდგებიან გამოძიებას, მაგრამ ამხანაგი „ვიკტორი“ მოხერხებულად და გასაკვირად ჰეთარავს თავის კვალს; მას დროგამოშვებით სტამბა გადააქვს ერთი ქალაქიდან მეორეში: თავიდან ის მოთავსებული იყო ლიპნიკაში, შემდეგ ვილნოში და საბოლოოდ მან იგი გადაიტანა ქ. ლომში. გაზეთის გამოშვების საქმეს პილსუდსკი შეუდგა მთელი თავისი ენერგიით — თვით აწყობს ნომერს, თვით ბეჭდავს და თვითვე არიგებს და აგზავნის პოლონეთის სხვა და ქვეყნები. გაზეთი გამოდიოდა 1900 ცალი და ასეთი რიცხვის დარიგება-დაგზავნა არც ისე ადვილი იყო, მით უმეტეს, რომ ყოველ წამში მას ხიფათი მოელოდა აგენტებისაგან. გაზეთის გამომცემლობაში მას ეხმარებოდა ამხანაგი „ედმუნდი“ (ს. ვოიცეხოვსკი — პოლონეთის მეორე პრეზიდენტი).

ორივეს მატერიალური მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ

ორ ამხანაგს ჰქონდათ ერთი მაზარა. მიუხედავათ იმისა, რომ პოლიცია ენერგიულად აწარმოებდა გაზეთის სტამბის ძებნას, „მუშა“ 6 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ გამოდიოდა და ეფინებოდა მთელ პოლონეთს.

1900 წლის 21 თებერვალს, ღამით პოლიციამ ამხანაგი „ვიკტორი“ დაატუსალა. დიდი ხანი იჯდ იგი ჯერ ლოდზის ციხეში, შემდეგ კი გადაიყვანეს ვარშავის ციტადელში და დაამწყვდიეს მეათე პავილიონში, სადაც ამწყვდევდენ ხოლმე მთავარ პოლიტიკურ მოღვაწებს და საიდანაც ტუსალი გაპყავდათ ან სასიკვდილოდ, ან კიდევ და სამუდამოდ აგზავნიდენ კატორლაში. ამხანაგ-მეგობრები ყოველ ღონეს ხმარობენ როგორმე გაანთავისუფლონ პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის ასეთი მებრძოლი, როგორიც იყო ამხანაგი „ვიკტორი“; ვინაიდან მიუდგომელი ციხიდან მისი ძალით გამოყვანა შეუძლებელი შეიქმნა, ამხანაგებმა საიდუმლოდ გადაუგზავნეს წერილი, რომელშიაც მას ურჩევდენ ფსიქიურ არანორმალურობის სიმულაციას; ამ შემთხვევაში ჰქონდათ იმედი, რომ მას გადაიყვანდენ საავადმყოფოში და აქედან კი უფრო შესაძლებელი იქნებოდა მისი განთავისუფლება. „ვიკტორი“ დათანხმდა ამხანაგების რჩევულებულ და მართლაც ექიმებმა დაადასტურეს მისი ავადმყოფობა, ოღონდ აღმინისტრაცია ფრთხილად იქცევა და გადაპყავთ იგი პეტროგრადის პეტრე-ბავლეს ციხეში და აქედან კი, ცოტა ხანში, ფსიქიურ საავადმყოფოში. ახალგაზრდა პოლონელი ექიმი მაზურკევიჩი, ბევრი ცდის შემდეგ ახერხებს ამ საავადმყოფოს ფსიქიურ განყოფილებაში ექიმად მოწყობას. 13 მაისს 1901 წ. მაზურკევიჩი საავადმყოფოში მორიგე ექიმად იყო; საღამო ხანს, მისი ბრძანებით, მის კაბინეტში შემოჰყავთ „ავადმყოფი ვიკტორი“, საიდანაც ნახევარი საათის შემდეგ ი. პილსუდსკი, გადატმული მაღალ ხარისხის ჩინოვნიკად, ექიმის თან ხლებით გამოდის თავისუფლად ჭუჩაზე; გამოსასვლელ კარებში უანდარმმა სალამი მისცა. იმ ღამესვე გასწია მან კიევისაკენ, სადაც მისი ამხანაგები აგრძელებენ „მუშის“ გამაცემას. ცოტა ხანში იგი სტოვებს რუსეთს და გადადის ავსტრიაში, ქ. კრაკოვში. კრაკოვიდან იგი გაემგზავრება ქ. ლონდონში სოციალისტების ყრილობაზე, სადაც იგი ხვდება მეორე თავის მეგობარს ი. მოსციცის (პოლონეთის დღევანდელი პრეზიდენტი), რომელიც აგრეთვე გამოექცა დატუსალებას. ყრილობის შემდეგ დაბრუნდა ისევ კრაკოვში. რუსეთიდან გამოქცეული პოლონელები ამ ქალაქში ხშირად მართავდენ კრებებს. რომლებზედაც „ვიკტორი“ განუწყვეტლივ ქადაგებს ბრძოლას. ღრმა

და დიდათ მოაზროვნე აღამიანი, წინასწარმეტყველებს მომავალ შემთხვევებს და სხვათა შორის, აუცილებელ ევროპიულ ომს; ურჩევს ძალების დარაზმას, რათა ხელსაყრელ პირობებში, ამ ძალებს შეეძლოთ გამოსვლა.

რუსეთ-იაპონიის ომი პილსუდსკის ყურადღებას იპყრობს — ამ ოში ის ხედავს პოლონეთის ერის ერთგვარ ტრალედიას, ვინაიდან პოლონეთის შვილებმა სისხლი უნდა დაღვარონ შორეულ აღმოსავლეთის საზღვრებზე რუსეთის ინტერესების დასაცავად. მას არ აქერებს კვლავ დატუსაღების ხიფათი და ბრუნდება ვარშავაში და მობილიზაციის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწევა. საუბედუროდ, პოლონეთის საზოგადოება არ არის მომზადებული და ამის გამო ი. პილსუდსკი თავის მიწნებს ვერ აღწევს. იაპონიის მთავრობის სურვილით მიემგზავრება იგი იაპონიაში. წინადადებას აძლევს იაპონიას მთავრობას რუსეთის ჯარების ზურგში დაზვერვის მოწყობის შესახებ, სამაგიეროდ კი თხოულობს იარაღს და სასროლ მასალას პოლონეთის რევოლუციონერებისათვის. მოლაპარაკება ვერაფრით ვერ დამთავრდა და ი. პილსუდსკი ბრუნდება კრაკოვში. ეხლა იგი იღებს გადაწყვეტლებას გამოსვლების მოწყობაზე; ენერგიულად უდგენა მანიფესტაციების მომზადებას. პირველი ასეთი შეიარაღებული გამოსვლა ვარშავაში მოხდა 10 ნოემბერს 1904 წ. — იღვრება სისხლი. იგი ადგენს, ჯარის საფუძველზე დამყარებულ, „მებრძოლ ორგანიზაციას“; ადგენს შტაბს, სამნეო ნაწილს, კასას და სხვა. ორგანიზაცია აღწევს 6000 კაცს; დაჯგუფებული არიან პატარ-პატარა რაზმებში და დაფარტული არიან რუსეთის პოლონეთის მთელ ნაწილში. ამ ნაწილებს ამოცანად უსვამს მტრის ე. ი. რუსების განუწყვეტლივ შევიწროება - შეწუხებას; იწყება მთელი რიგი თავდასხმებისა ფოსტაზე, პოლიციაზე, მატარებლებზე და სხვა და სხვა დაწესებულებებზე, აგრეთვე ჯარზე; იტაცებენ მთავრობის თანხებს და შეაქვთ ორგანიზაციის კასაში. საღაც კი შესაძლებელია ხელთ იგდებენ და აგროვებენ იარაღს. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა რამდენიმე წელიწადი, განსაკუთრებით სარგებლობენ რუსეთის პირველი რევოლუციის ხანით. ამ ორგანიზაციას თუმცა ჰქონდა კავშირი პ. პ. ს.-თან, ოლონდ სავსებით დამოუკიდებელი და ი. პილსუდსკის ხელში იყო; გან შეიტანა ორგანიზაციაში სამხედრო წესრიგი და განკარგულებებს სცემდა როგორც ჩვეულებრივი სამხედრო უფროსი.

როგორც ვიცით, რუსეთის პირველმა რევოლუციამ დიდი შედეგი ვერ მოიტანა და რევოლუციონური მოძრაობა თანდათანობით

მინელდა; აგრეთვე მოხდა პოლონეთშიაც; მიუხედავათ ამისა იოსებ პილსუდსკი არ ფიქრობდა გამოსვლების შეწყვეტას; ეგრე გრძელდებოდა 1908 წლამდე. რუსეთის მთავრობა შეუდგა მის დევნას მეტი სიმტკიცით და ამის გამო ორგანიზაციის მდგომარეობა მეტის მეტად გართულდა, განსაკუთრებით განიცდიდა ფულის სინაკლულეს; გარდა ამისა გახშირდა ორგანიზაციის წევრების დაპატიმრება; ზოგი მათგანი საზღვარგარეთ გარბის. ორგანიზაციას თითქმის დაშლა მოელის და შეწყვეტა ბრძოლისა.

ი. პილსუდსკის შეუდრეკლობამ ამ შემთხვევაშიაც თავისი ჰქმნა — მან გადასწყვიტა საქმის გამოსწორება. აი რას სწერს ი. პილსუდსკი 1907 წლის დასასრულში: „ვშრომობ და ვფიქრობ ორ საკითხზე — ფულის შოვნაზე, მომავალ ხაზინის დასარსებლად და მილიტარულ აგიტაციაზე ე. ი. მომავალი რევოლუციონერების საბრძოლო ამოცანების შესწავლა-მომზადებაზე. თუ კი ნაწილობრივ მაინც მივაღწევ, პირველ შემთხვევაში 300,000 მანეთის შოვნას და მეორე შემთხვევაში კი შევძლო შევანარჩუნო საზოგადოებას საღი აზროვნება ამ მიმართულებით და ახალგაზრდების დაინტერესება — ვიქები სავსებით კბაყოფილი და შევძლებდი, ასეთ შემთხვევაში, შემექმნა ისეთი რამე, რომელიც უფრო მეტად გამოიყენებოდა მიზნის მისაღწევად, ვიდრე დღევანდელი აქტიური რაზმები“. — ამ ასრით, თავდაცემის მომზადება გაგრძელდა 1908 წ. დასაწყისიდან ნოემბრამდე. ბევრი შრომისა და დაზვერვის შემდეგ გაიგეს, რომ ქ. ვილნოდან ყოველკვირეული მატარებლით გააქვთ დიდი თანხა პეტროგრადში. გადასწყვიტეს მატარებელზე თავდასხმა და ფულის გატაცება. დადგენილების სისრულეში მოყვანა ფრიად ძნელი და სახიფათო იყო. ი. პილსუდსკი ორ ამხანაგთან ერთად დაწვრილებით აწყობს ამ საქმეს; სისრულეში მოსაყვანად დაინიშნა 26 ნოემბერი 1908 წ. მონაწილეობას იღებს 14 კაცი, მათში ერთი ქალწული. ი. პილსუდსკის მეთაურობით. მართლაც კარგად მომზადებული საქმე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა: მატარებელი იქმნა შეჩერებული და ფოსტის მხლებელ გუშაგების განიარღების შემდეგ, დამცემლებს ჩაუგარდათ ხელში სწორედ 300,000 მანეთი. მონაწილენი ამის შემდეგ სხვა და სხვა მიმართულებით, მომეტებული ნაწილი, გადავიდა ავსტრიაში, აქვე გადავიდა ი. პილსუდსკიც; ფული კი, ცოტა დაგვიანებით, ჩამოატანა ავსტრიაში ქალწულმა შჩერბინსკამ (დღეს ქვრივი ბუღლე მარშალისა). ქ. ლვოვში ი. პილსუდსკი ფესტს უყრის ორგანიზაციას — „აკტიური ბრძოლის კავშირისა“ — რომელსაც ცოტა ხანში გადააკეთებს — „მსროლელთა კავშირად“. ეს ორგანიზაცია ღებუ-

ლობს საცხებით მხედრულ სახეს. ახალგაზრდები დაგროვილი არიან პატარ-პატარა მსროლელთა ჯგუფებში. 1912 წ. უკვე ჰყავს 300 „მსროლელთა ჯგუფი“. ეს, შეიძლება ითქვას, უკვე ნამდვილი ჯარი იყო. ევროპის საერთო პოლიტიკურ მდგომარეობის გათვალისწინებისას, ის რწმუნდება, რომ ომი ახლო მომავალში აუცილებელია. შექმნილ მსროლელ ჯგუფებს ის შესცერის, როგორც კადრებს, რომლის ფარგლებში გაიშლება მომავალი პოლონეთის ჯარი. იგი იზიდავს თავის ორგანიზაციაში ინტილიგენტ ახალგაზრდობას. აარსება ნაცვალთა სამხედრო სკოლას და აგრეთვე ოფიცერთათვის — დაბალ და უმაღლეს სკოლას; მის მიერ შექმნილი ორგანიზაცია აღარ არა: საცხებით ფარული; აცსტრიის მთავრობა ხელს არ უშლის.. ცენაიდან ფიქრობენ ამ ორგანიზაციის გამოყენებაზე თავიანთი მჩჩნებისთვის. ამ 1912 წ. ი. პილსუდსკი იჩენს არაჩეულებრივ ენერგიას და საქმიანობას — ჩამოივლის და ათვალიერებს ჯგუფებს, უკეთებს ინსპექციას, აგროვებს ბანაკებში გასაწროვნელად, მართავს საველე სწავლებს და მანევრებს; უმაღლეს სკოლაში თვით ლექციებს უკითხავს\*). პოლონეთის საზოგადოებას იგი მიმართავს მოწოდებით და თანდათანობით იხვეჭს თანაგრძნობას თვით და მისი ორგანიზაცია; აარსებს „სამხედრო ხაზინას“ მომავალ ჯარის საჭიროებისათვის, აგრეთვე „პოლონეთის განმათავისუფლებელ კომიტეტს“, რომელიც, ომის დასაწყისში, გამოიდის მთავრობის როლში.

კარგა ხნით ომის დაწყებამდე ი. პილსუდსკი იმ აზრისა იყო, რომ პოლონეთი იმ შემთხვევაში გაინთავისუფლებს თავს, თუ მომავალ ომში ჭერ დამარცხდება რუსეთი და შემდეგ კი გერმანია; ხოლო თუ რუსეთი ან გერმანია საბოლოოდ გამოვა გამარჯვებული, პოლონეთი თავს ვერ იხსნის. სწორედ ამ მოსაზრებით 1914 წ. ომის დასაწყისისას ი. პილსუდსკი თავისი ჯარით არის აცსტრიელების შხარეზე და იბრძვის რუსეთის დასამარცხებლად.

აცსტრიის საერთო შეტევის გეგმასთან შეთანხმებით ი. პილსუდსკი თავისი ჯარით იწყებს მოქმედებას აცსტრიის ჯარის მარცხენა

\* ) რომ ეს მისი მოქმედება გასაგები იყოს, იძულებული ვართ შევნიშნოთ, რომ ი. პილსუდსკი ახალგაზრდობადან უკვე შეცლდა სამხედრო საქმის და ხელოვნების შესწავლას; აგრეთვე ჰქონდა შესწავლილი ყველა გამოჩენილ სარდლების მოქმედები და ომები; უმთავრეს ყურადღებას აქცევდა ნაპოლეონს და კლაუზევიცს.

ფრთაზე და ეს იმ მოსაზრებით, რომ შეძლება იქონიოს ერის ამხედ-რების რუსეთის ნაწილ პოლონეთში შესვლისას.

6 აგვისტოს 1914 წ. კრაკოვიდან გაემართა ბრძოლის ველზე პო-რველი საკადრო ასეული პოლონეთის ჯარისა. მისი რიცხვი იყო 160 კაცი, თითქმის მთლიანად ინტელიგენტებისაგან შემდგარი.

ასეულს პილსუდსკიმ მიმართა შემდეგი ბრძანებით: —

„ჯარის კაცნ! წილად გხვდათ ის დიდი პატივი, რომ პირველნი გაელაშქრებით სამეცნისაკენ\*“) და გადალახვთ რუსეთის საზღვრებს!, როგორც მოწინავე ნაწილი პოლონეთის ჯარისა, რომელიც მიეშუ-რება ბრძოლაში სამშობლოს განსათავისუფლებლად.... თუმცა შევ-ცერით როგორც კადრებს, რომლის ფარგლებში უნდა გაიშალოს მომავალი პოლონეთის ჯარი და მოგილოცავთ თქვენ, როგორც პირ-ველ საკადრო ასეულს“.

გუნდი გაელაშქრა საზღვარისაკენ პორ. კასპშიცის (დღეს პო-ლონეთის სამხედრო მინისტრი) მეთაურობით. გუნდს წინ ახლდა დამზერავი ცხენოსანი პატრული, 8 კაცისაგან შემდგარი, ბელინა პრაუმონსკის მეთაურობით; პატროლს ცხენები არ ჰყავდა, ხოლო ნა-ბრძანები იყო ცხენები რუსებისათვის წარმომათ.

პირველი ასეულის გაზიარების შემდეგ, ი. პილსუდსკი აგროვებს მსროლელთ და ცოტა ხანში 1-ლი ასეული იზრდება ლეგიონად (პო-ლკად), შემდეგ კი ლეგიონი იშლება 1-ლ ბრიგადათ, რომელსაც მეთაურობს კომენდანტი ი. პილსუდსკი.

ახლო ხანში ბრძოლის ველზე გამოდის მე-2 და მე-3 ლეგიონე-რების ბრიგადები. აგრეთვე პატარა ცხენოსანი პატრული გაიშალა ცხენოსან ლეგიონად. ლეგიონერებს ტანთ აცვიათ პოლონური ფო-რმა, ქუდზე კი ატარებენ პოლონეთის ლერბს გვირგვინოსან თეთრ არწივს.

საზღვარის გადალახვისას კომენდანტმა მიმართა პოლონეთის ერს შემდეგი სიტყვებით: —

„დადგა გადამწყვეტი დრო. პოლონეთმა თავი დააღწია მონო-ბას და სურს თვით განაგოს თავისი ბედი. თვით სურს აშენოს თავისი მომავალი და ამისათვის გამოჰყავს ბრძოლს ველზე საკუთარი შეია-რაღებული ძალები. პოლონეთის ჯარის კადრებმა უკვე ფეხი დადგეს პოლონეთის სამეფოს მიწაზე... მოგვაქვს ერისათვის განთავისუფ-

\* ) „სამეფო“ — სახელწოდება პოლონეთის იმ ნაწილისა, რომე-ლიც რუსეთის ფარგლებში შედიოდა. რედაქცია.

ლება, ხოლო ცალცალკე ჯგუფებისათვის ნორმალური განვითარების პირობები“.

1916 წ. დასაწყისში პოლონეთი უკვე გაწმენდილია რუსების ჯა-



კომენდანტი ი. პილსუდსკი ლევიონების ხანაში

რებისაგან, სამაგიეროდ დაკავებულია გერმანიის და ავსტრიის ჯარების მიერ.

კომენდანტი ი. პილსუდსკი, როგორც სამხედრო მინისტრი, შედის დროებით მთავრობის შემადგენლობაში.

გერმანელები ჰპირდებიან პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენას იქ პირობით, თუ კი მიეცემათ უფლება პოლონეთის ახალგაზრდობის გაწვევის; გერმანიის ჯარის შესავსებად.

მთავრობის სხდომაზე კომ. ი. პილსუდსკი წინააღმდეგია გერმანიის წინააღმდების, ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია გერმანიის დახმარება; ამავე დროს გრძნობს, რომ გერმანელები მიუხედავათ უარისა. მანც თავისას გაატარებენ და ამიტომ სასწრაფოდ უდგება საიდუბლო ორგანიზაციის შექმნას პოლონეთის სამიერ ნაწილში, „პ. ვ“ (პოლონეთის ორგანიზაცია მხედრული) სახელწოდებით. ამ ორგანიზაციის შექმნა დიდის წარმატებით ჩატარდა.

გერმანელებმა როდესაც იგრძნეს პოლონეთის საზოგადოების წენააღმდეგობა, მოითხოვეს ლეგიონერების მიერ ერთგულობის ფიცის დადება, რაზედაც კომ. ი. პილსუდსკი გასცემს ჯარს ბრძანებას: — „ფიცი არ მიიღოთ!“.

22 ივლისს 1917 წ. გერმანელები ატუსაღებენ კომენდანტ ი. პილსუდსკის და მის შტაბის უფროსს კ. სოსნოვსკის (დღეს გენ. სოსნოვსკი ჯარის ინსპექტორია). ორივენი გადაყავთ გერმანიაში და ათავსებენ მაგდებურგის ციხეში; ხოლო ბრიგადები დაშალეს და ლიგინერები კი მოათავსეს საიზოლაციო ბანაკში.

ორგანიზაცია „პ. ვ.“-ს ხელმძღვანელობა იკისრა ღენერალ რიდზ-შმიგლმა (დღეს პოლონეთის ჯარის მთავარი ინსპექტორი). დგება ნოემბერი 1918 წ.

გერმანელები მარცხდებიან და იარაღს ჰყრიან.

რევოლუციონური ძალა გერმანიაში ათავისუფლებს კომენდანტ პილსუდსკის და მისი შტაბის უფროსს. 10 ნოემბერს 1918 წ. ორივენი ბრუნდებიან ვარშავაში. ხალხი მათ ზეიმით ხედება; კომენდანტში ერთ ხედავს ერთადერთ პიროვნებას, რომელმაც დაიმსახურა და რომელსაც ძალა შესწევს ერს სათავეში ჩაუდგეს და მისი მართვა თავის ხელში აიღოს.

მოწვეული საერთო ყრილობა კომენდანტს არგუნებს მთელ ძალა-უფლებას სახელმწიფოში. ი. პილსუდსკი ხდება „სახელმწიფოს უფროსი“ და ამავე დროს მთავარსარდალი უველა შეიძრალებული ძალებისა.

ამ ადგილას საჭიროა განვიხილოთ მდგომარეობა, რომელიც იმ ხანებში სუფევდა პოლონეთში. გერმანიის და ავსტრიის ნაწილები პოლონეთისა და კავკაბული იყვნენ გერმანელების მიერ; რუსეთის ნაწილი, თუმცა რუსებმა დასტოვეს, მაგრამ გერმანელების ოკუპაციის ქვეშ იმყოფება. რევოლუციონური მთავრობის ბრძანებით, ავსტროგერმანეთის ჯარი ბრუნდება შინ რუსეთის ფარგლებიდან; ამ ჯარმა პოლონეთზე უნდა გაიაროს და ომით ისედაც დაზიანებულ მხარეს,

უფრო მეტს აოხრებენ. განსაკუთრებით რუსეთის ნაწილ პოლონეთ-ში დიდი უწესრიგობაა. გერმანეთის აღმინისტრაცია ჩქარობს შინ დაბრუნებას; რკინსგზები გაჩერებულია; ყოველი დარგი უზარმაზარი ტერიტორიისა უხელმძღვანელოდ არის; ჯარი არ არსებობს. ამას ყოველივე ის დაემატება, რომ რუსეთიდან უკან დამხევ გერმანეთია ჯარს, კვალდაკვალ მიყვება ბოლშევიკური ჯარი. სურსათ - სანოვაზე გატაცებულია ოკუპანტების მიერ, ცივი ზამთარი აწვება ხალხს და ეს ყველაფერი უქადის დიდ და უძნელეს განცდას.

მდგომარობა შეიქმნა გამოუსწორებელი, მაგრამ კომენდანტი ა. პილსუდსკის ჩამოსვლა, მისი სიმშვიდე, შეუდრევლობა, მისი დაუშრეტელი ენერგია ყველას ასულდგმულებს.

ეხლა შველის ხალხს საიდუმლო ორგანიზაცია პ. მ. ვ., რომელიც, როგორც ვსთქვით, დააარსა 1917 წ. წინდახედულმა და გენიალურმა ი. პილსუდსკიმ.

გერმანიაში რევოლუციის პირველი დღიდან ლენ. რიდზ-სმიგლის ბრძანებით პ. მ. ვ. შეუდგა უცხო ჯარის განიარაღებას. ამნაირად, დაიწყო კვლავ ბრძოლა პოლონეთის მთელ ტერიტორიაზე. ჩამოსული კომენდანტი ხელთ იპყრობს მდგომარეობას და იწყებს ამ საქმეთა მოწესრიგებას.

დღითი დღე პოლონეთის ძალების რიცხვი მატულობს. გერმანელებისაგან წართმეული იარაღი აძლევს საშუალებას ძალების გამრავლებისას. ამავე დროს შეუდგა კომენდანტი რევულიარული ჯარის შექმნას. ერთ იჩენს არა ჩვეულებრივ პატრიოტიზმს. დიდი ქალაქები, თავის ხარჯით, ადგენენ მთელ ლეგიონებს; ზოგიერთი შესდგებიან მხოლოდ სტუდენტთა და ინტელიგენტურ ახალგაზრდებასაგან. ბავშვები და ქალწულნიც კი იარაღს ხელში იღებენ.

მთელი ეს არა ჩვეულებრივი და დიდი აღფრთოვანება ერში გამოიწვია იმ აღამიანმა, რომელმაც ბავშობიდან დაიწყო ბრძოლა სამშობლოს მტრებთან და ი ეხლა ბოლომდე მიჰყავს და ბრწყინვალედ აგვირგვინებს თავის გეგმას, წადილს და ზრახვას.

პოლონეთთან მოსაზღვრე სახელმწიფონი ცილინდენ რაიმეს წართმევას პოლონეთისათვის; ასეთი ცდა ჩეხოსლოვაკის სახელმწიფოდანაც კი არის, მაგრამ ერთის მეთაურმა პოლონეთი შემოჰკრა სათანადო საზღვრებით და არავის არაფერი აკუთვნა..

ამნაირად 1918-19 წ. ი. პილსუდსკიმ მოვლივა მცარცველებს პოლონეთის სამივე ნაწილი, შეაერთა და შეადუღა მთლიან ერთეულში და მკვდრეთით აღადგინა პოლონეთი.

აღმოსავლეთის საზღვარი ჯერ არ იყო სავსებით მშვიდი ბოლ-  
შევიკები არ წყნარობდენ.

**დადგა 1920 წ.**

საბჭოთა ჯარების დიდი რიცხვი, აღფრთოვანებული დენიკინის  
დამარცხებით, საკმაოდ მოწესრიგებული, იწყებს დასავლეთისაკენ,  
სკოლას, რომ წითელი ხიშტებით აანთოს ეკროპაში საერთაშორისო  
რევოლუცია.

მდგომარეობა ეკროპაში მათვეის ხელსაყრელი იყო: გერმანიის  
ძველი ძლიერება დამხო და ეხლა სწორედ ხდება პროცესი რჩო-  
ლუციის გაღრმავების, დუნაის ნაპირზე მდებარე პატარა სახელმწი-  
ფოებს ჯერ კიდევ ფეხი ვერ მოუდგამთ, ავსტრო-ჰუნგრეთის იმპე-  
რიის დაცემის შემდეგ.

მხოლოდ პოლ.-თი ულობავდა გზას წითელ ძლევამოსილებას, მა-  
გრამ ბოლშევიკების აზრით, ეს სახელმწიფოც, ეხლახან წამომდგარი  
და ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი, მათ ძლევამოსილ წინვლას ვერ  
შეაჩერებს და საომარ მათ მოქმედებას, ექნება ხასიათი საზეიზო ლ-  
შერობისა.

პოლონეთი მართლაც იმყოფებოდა მძიმე მდგომარეობაში: რე-  
გულიარული ჯარი ჯერ მოუმზადებელია, დიდი ნაკლულოვანებაა-  
იარალისა და საომარი მასალის, განსაკუთრებით არტილერიის; მე-  
ხანიკური სატრანსპორტო საშუალებებს სრულებით მოკლებულა;  
ცხენოსანი ჯარი, სილამაზე და სიამყე ძველი პოლონეთისა, ამ კა-  
მად ძალიან მცირე რიცხვებინა.

ოფიცირობას და ჯარისკაცებს შეთვისებული აქვთ იმ ქვეყანათა-  
თვისებები, სადაც წინად მსახურებდენ; ყოველ სამხედრო ორგანიზა-  
ციას თავისებური გაწრთვნა და იარალი აქვს და ერთად შეგროვილნა-  
არ წარმოადგენენ მთლიან, შედუღებულ ორგანიზმს — ჯარს.

შინაურული ცხოვრებაც არ არის შეთანხმებული, ვინაიდან პო-  
ლონეთის ყოველ სამ ნაწილს თავისებური ხასიათის წესრიგი ჰქონდა  
შეთვისებული, მისდა მიხედვით, თუ ვის ხელქვეით იმყოფებოდა.

პოლონეთის მძიმე მდგომარეობა ბოლშევიკებმა თუმც კარგად  
გაითვალისწინეს და ამიტომ მნენდ შეიჭრენ პოლონეთში, მაგრამ მათ  
დაივიწყეს, რომ მატერიალური საშუალებანი ჯარის ძლიერების  
ერთ მეოთხედს წარმოადგენენ, ხოლო სულიერი ძლიერება — სამ  
მეოთხედს.

მართლაც და ღარიბი იყო სახსარით პოლონეთის ჯარი, მაგრამ  
ბუნებით პატრიოტი ჯარისკაცი, ი. პილსუდსკი, ეს მისი თვისება,

უკიდურესობამდე გააღვივა. ასეთი თვისების ჯარი, რომელსაც შე-  
თაურობდა შეურყეველი სული, ენერგია და გენიალური სარდალი,  
იყო სულიერად იმდენად ძლიერი, რომ მატერიალური ნაკლი სავ-  
სებით დაჰტარა.

ბოლშევიკების ჯარები შეიტრენ პოლონეთში და გზა და გზა,  
როგორც ველური ბრძო, ყოველივეს ანადგურებდა.

ბოლშევიკური ჯარების დიდი უპირატესობა აიძულებს პოლო-  
ნელებს უკან დახიონ; განსაკუთრებით აწუხებს პოლონეთის ჯარს  
ცხენოსანი რაზმები ბულიონის (სამხრეთით) და გაის (ჩრდილოეთით).

პოლონელების ჯარები ბრძოლით, წესრიგად და სულის დაუ-  
ცემლივ თანდათან იხევს თავის სატახტო ქალაქამდე, რომ აქ მოემ-  
ზადოს და მისცეს მტერს გადამწყვეტი ბრძოლა.

ბოლშევიკები უკვე მზად იყვნენ თავისი მრისხანე და სისხლში  
გასვრილი ხელი გაეწვდინათ სატახტო ქალაქზე, მაგრამ სწორედ  
ამ სახითათო წუთში, ერის მეთაური და ჯარის სარდალი იწყებს ნა-  
პოლეონისებურ (ეგრე ახასიათებენ ფრანგი მკვლევარი განერლები კა-  
მონ და მორდაკა) მანევრს მტრის ზურგში და ერთი დარტყმით ან-  
გრევს ბოლშევიკების ძლევამოსილობას.

გადარჩენილია პოლონეთი, გადარჩენილია ევროპა კომუნიზმის  
შემოსევისაგან.

რიგის კონკრეტულ საბოლოოდ მყადრება პოლონეთის საზღვრები.

ამნაირად ი. პილუდსკიმ მიაღწია იმას, რასაც ბავშობიდან ნატ-  
რობდა და რასაც მთელი თავისი სიცოცხლე ანაცვალა და შესწირა.  
ერთ, თავის ამორჩინებელს და გამარჯვებულ სარდალს აჯილდოვებს  
პირველი მარშალის ხარისხის წოდებით; ჯარი კი მიართმევს მარშა-  
ლის სკიპოტროსს.

ბრძოლების დამთავრების შემდეგ მარშალი არ ფიქრობს დასვე-  
ნებას, პირიქით, მიზნად ისახავს ახლად ამდგარ სახელმწიფოს გამა-  
გრებას, მოწესრიგებას, აღორძინება-აყვავებას. კვლავ ზურგს აწევს  
უზარმაზარი მუშაობა, ამ შემთხვევაში თუმცა მშვიდობიანი, მაგრამ  
შესაძლო უფრო რთული და მძიმე, ვინემ ომის წარმოება.

გასაკეთებელი კი ბევრია! პირველ ყოვლისა ჯარის გამაგრება და  
მის სათანადო სიმაღლეზე დაყენება, ომში მიღებულ გამოცდილებათა  
მიხედვით. გარდა ამისა მწარედ იდგა იმ ზნებეულებათა გასწორე-  
ბის საკითხი, რაც შეითვისა სამად გაგლეჯილ პოლონეთის ხალხმა 120  
წ. განმავლობაში ტყვეობაში ყოფნით. საჭირო იყო პოლონეთის კუ-  
ლტურის აღდგენა, აღმინისტრაციისა და პოლიციის შექმნა; კანო-

ნები, განათლება და სხვა და სხვა — ყოველივე დარგი სახელმწიფო-სი მოითხოვდა წესრიგის დამყარებას. ერთი სიტყვით, ერს სჭირდე-ბოდა ცხოვრების ახალი პირობები, მის ბუნებასთან და კულტურა-სთან შეგუებული.

ყოველივე ამას დიდი შრომა და ფული სჭირდებოდა და ამავე დროს ცხოვრება იყო მეტად გაძნელებული, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული.

სახელმწიფო აღმშენებლობას შესწირა მარშალმა 15 უკანასკნელი წელი თავისი ცხოვრებისა.

ჩვენი უცხოელის მდგომარეობა არ გვაძლევს უფლებას განვიხილოთ თავის დეტალებში მთელი ეს შინაგანი მუშაობა, რომელთა-გან ზოგიერთი გატარებულ იქმნა აღვილად, ზოგიერთი კი დიდის და-ბრკოლებებით; შვეჩერდები მხოლოდ ამ მუშაობის მთავარ ეტაპებზე.

მარშალ პილსუდსკის, დაყენებულს თვით ერის მიერ, სახელმწიფოს მართვაგამგეობის მაღალ საფეხურზე, ჰქონდა ხელში სავსებითი და შეუზღუდავი ძალაუფლება; მისი მდგომარეობა და შეძლებისობა მას დიკტატორის უფლებას ანიჭებს. მიუხედავათ ამისა, ის ამ გზით არ მიღის, პირიქით, იზიდავს ხალხს სახელმწიფოს მართვაგამგეობა-ში; იშვებს სეიმს, რომელიც ამუშავებს კონსტიტუციას; ირჩევა პრეზიდენტი, რომელსაც მარშალი აბარებს ხალხისაგან მიღებულ მაღა-უფლებას.

1923 წ. სახელმწიფოს შინაური პოლიტიკური ცხოვრების გარ-თულების გამო, ის შორდება სრულებით პოლიტიკურ მუშაობას და სახლდება ვარშავის ახლო, სოფ. სულეუვკაში, ჯარის მიერ საკუთ-რივ მისთვის აშენებულ პატარა სახლში.

იბადება საკითხი — თუ რატომ მოშორდა მარშალი პოლიტიკურ; ცხოვრებას და სახელმწიფოს მართვაგამგეობას? ნუ თუ დასაშვებია, ვითომც ბედს არგუნა ყოველივე ის, რისოვისაც ამდენი ბრძოლა და შრომა გასწია?! რასაკვირველია, არა! მისი განდევნილობა მხოლოდ ერთი განმარტებით შეიძლება იყოს ახსნილი — მარშალს ამ ნაბიჯით ერთგვარი გაკვეთილის მიუქმა უნდოდა თავისი ერისათვის და მისა გამოცდა. მოშორდა, მაგრამ თვალყურს ადევნებდა.

და მართლაც, როდესაც პატიული შეხლაშემოხლის გამო მდგო-მარეობა სახელმწიფოსი უკიდურეს წერტილამდე- გართულდა, ის 12 მაისს 1926 წ. ძალით იგდებს ხელში ძალაუფლებას. იგივე სეიმი და სენატი მას ირჩევს პრეზიდენტათ, მაგრამ მარშალი არჩევანს არ მიიღებს და კმაყოფილდება სამხედრო მინისტრის თანამდებობით და აგრეთვე კისრულობს საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობას.

1926 წლიდან მარშალი თუმც არ არის სახელმწიფოს თავი, მაგრამ უდავოთ სდგას უმაღლეს საფეხურზე სახელმწიფოს ყოველი დარგის მართვაგამგეობის საქმეში; მორალური და სულიერი თვისებების წყალობით, მოხვეჭილი აქვს მთელი ერის ავტორიტეტი, სიმპატია და სიყვარული.

1926 წლიდან მარშალი აწესრიგებს სახელმწიფოს შინაურ ცხოვრებას, ამაღლებს უცხოეთის თვალში პოლონეთის სახელმწიფოებრივ მდომარეობას და მაღლა აყენებს ჯარის ორგანიზაციის საქმეს.

მან ხალხს მისცა ახალი ლოზუნგი —

**„შეუდექ შრომის ჯირითს“!**

ამრიგად მარშალმა სახელმწიფო გამოიყვანა ანარქია-უწესრიგობიდან და მისცა მას შენობლობის და განვითარების მაგარი საფეხური.

უკანასკნელი წელიწად ნახევარი იგი თითქმის არავის არ ღებულობდა და მონაწილეობას არ იღებდა არავითარ დღესასწაულებზე და რაუტებზე, და ამიტომ მას უწოდეს „დიდი განდევილი“.

ჯარი, რომელიც მისი პირმშო შვილი იყო, არ დასტოვა და განაგებდა მის წინამძღვრობას. ჯერ კიდევ ამ მის ნაბიჯზე ბევრს სწერენ; ამბობენ რომ მას სურდა ჯერ კიდევ მისი სიცოცხლის დროს, მმართველი უმაღლესი მსახური შეჩვეულიყვენ მის დაუხმარებლად სახულმწიფო მუშაობას.

ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მისი ნაბიჯი, მაგალითი მთელი მისი ცხოვრების — ეს იყო განუწყვეტელი და საუკეთესო საშუალება ხალხის აღზრდისა.

მარშალი იყო არამც თუ გამოჩენილი ორგანიზატორი საიდუმლო კავშირებისა და ნიჭირი ორგანიზატორი შეიარაღებულ ჯარისა და ბოლოს დიდი სარდალი, არამდე იყო აგრეთვე დიდი ფინანსოვი — აღმზრდელი და მცოდნე ადამიანის სულისა და ბუნების — ის იყო ერის სულის მეფე.

გათავებისას საჭიროა აღნიშნოთ, თუ რას მიაღწია მარშალმა 1926 წ. შემდეგ ე. ი. 9 წლის განმავლობაში და რა დაუტოვა სახელმწიფოს: —

**„სავსებით შეადუდა შინაგანი ცხოვრების ყოველივე დარგი პოლონეთის სამ ნაწილში.**

**„გაატარა მთლიანი რეორგანიზაცია სახელმწიფოსი.**

**„ეკონომიური პირობები დააყენა იმდენათ მჭიდროთ და ურცევად, რომ პოლონეთი, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, ბევრად**

„ნაკლებ განიცდის საერთაშორისო კრიზისს და მისი ფული, 1926  
„წლიდან ურჟვეო სდგას.

„გახსნა მრავალი ზღვის გზები და დღეს პოლონეთის გემები და-  
„სცურავენ უველა ზღვებზე.

„ერის ახალგაზრდობის აღზრდა-განათლება და მათი ფიზიური  
„განვითარება სათანადო პირობებში ჩააყენა და საუკეთესო მიმარ-  
თულება უჩვენა.

„ერის საერთო კულტურა აღამაღლა — პოლონეთის მეცნიერებს,  
„მწერლებს, ექიმებს, ინჟინერებს, არტსტებს და სპორტოცებს,  
„რად გაკვირვებაში მოჰყავთ მსოფლიოს ხალხები.

„ხალხს ჩაუნერგა მორალური თვისებები, გააღვივა პატრიოტი-  
ზმი და სამშობლოსადმი სიყვა რული. . .

„მარშალმა დაუტოვა ერს სრულებით დამთავრებული აპარატი  
„და მრავალი რიგები მოხელეებისა, მის მიერ აღზრდილნი და მომზა-  
„დებულნი სახელმწიფოს მართვაგამგებაში.

„ქვეყნის პრესტიუ აღამაღლა დიდი სახელმწიფოს დონეზე.

„დაამთავრა ჯარის შექმნის საქმე და მის დროშებს გამარჯვების  
„დიდება არგუნა.

პოლონეთის ჯარი სდგას მსოფლიოში საუკეთესო ჯარის დონე-  
ზე; შესაძლებელია, მდიდარ ქვეყნებში, ჯარი მატერიალურად უფ-  
რო მეტად შევსებული იყოს, ხოლო მარშალმა ჩაუნერგა თავის ჯარს  
ის თვისება, რომელიც სიმდიდრით ვერ იყიდება — ესაა ჯარის სუ-  
ლიერი ძალა და ვაი მას, ვისაც პოლონეთის ჯარი შეეხლება!

12 მაისს 1935 წ. მარშალი გარდაიცვალა.

ამ დიდი აღამიანის სიკვდილით არ დამთავრებულა მისი როლი  
პოლონეთისათვის... თუმცა ბუნების კანონმა მისი ფიზიური არსი  
მოკლა, მაგრამ სხეული, დასვენებული ქ. კრაკოვში, მეფეთა სავანეში,  
იქნება მუდამ ჟამ იმ წმინდა ადგილად, სადაც მომავალი თაობა ქედს  
შოიხრის უდიდეს პატრიოტისა და პოლონეთის განმათავისუფლებე-  
ლის წინაშე. გვამი მისი ცენტება დაუშრეტელი წყარო ძლიერებისა  
მომავალი თაობისათვის და დიადი ძეგლი პოლონეთის ძლიერისი-  
ლობის, სული კი მისი სამუდამოდ მეფედ დარჩება პოლონეთში.

---

ვინაიდან მარშალის უკანასკნელი დღეები ახასიათებენ მისი სუ-  
ლის ძლიერებას, მომყავს მისი ავადმყოფობის და გარდაცვალების მო-  
კლე ცნობები. გასული ზამთრის განმავლობაში მარშალი შესამჩე-  
ვად დასუსტდა; ნაწილობრივ ეს გამოწვეული იყო მისი დის სიკვ-

დილით, რომელმაც ძალიან შეარყია მარშალის მთელი ბუნება. ამ დროიდან მარშალმა იწყო დასუსტება. ექიმების მოსაწვევად, თან-ხმობის თხოვნაზე, მარშალი უარსა ბრძანებდა. შინაურ ექიმმა ერთი წლის წინ ეჭვი მიიტანა კუჭის ავადმყოფობაზე, ოლონდ მარშალი არ თანხმდებოდა კურნალობაზე. რამოდენიმე თვის წინად მარშალი ამბობდა, რომ იგი მოშორდება წუთისოფელს ამ წელს, იმავე ხანში, როგორც მისი მამა ე. ი. 68 წ. 19 აპრილს მარშალმა განიცადა კუჭის ტკივილი. ვენიდან მოწვეულმა პროფესორმა დაადასტურა კუჭის და ღვიძლის სნეულობა. ამ დროიდან იწყება მარშალის ავადმყოფობის კრიტიკული ვითარება და ისიც უიმედო. ამ მდგომარეობაში მყოფი მოხუცებული ადამიანი, რომელმაც გადიტანა საშინელი ცხოვრება, მაინც არ ტყდება და მისი სულის ძლიერება ებრძვის მთაბ-ლოვებულ სიკვდილს. ყოველ დღე მიდის ღენ. ინსპეკტორატში და მუშაობს იქ, ხშირად, დაღამებამდე. უკანასკნელ კვირაშიაც კი, ოთხ-შაბათს და ხუთშაბათს, სეირნობდა ბელვედერის ბახჩაში, მაგრამ პარასკევს ისე დასუსტებული იყო, რომ ფეხით სიარული უკვე ვეღარ შესძლო; მაინც ლოგინში არ დარჩა და უბრძანა ეტარებინათ ბახჩა-ში თვლიან საჯდომით. ამავე დღეს დაინტერესებული იყო მინ. ლა-ვალთან მოლაპარაკებით; მინ. ბექს თავის რჩევას და აზრს უზიარებდა. კიდეც გამოსთხვა სურვილი პირადი მოლაპარაკებისა მინ. ლა-ვალთან, მხოლოდ ეს სურვილი შეუძლებელი იყო ასასრულებლად. შაბათს მარშალმა მოიწვია ღენ. რიდზ-შმიგლი და დიდ ხანს ელაპა-რაკებოდა მას სამხედრო საქმეებზე. ამავე დღეს წასკდა სისხლი, უა-ხლოვდებოდა უკანასკნელი წუთები. კვირას დილით მარშალი ისე კარგად გრძნობდა თავს, რომ მოისურვა წაბრძანება მის სოფელში. საღამოს, როცა მარშალმა გამოიღვია, ექიმმა დაადასტურა ძალიან დიდი გულის დასუსტება. მოიწვია მთელი ოჯახობა; 8 საათზე მოძ-ღვარმა დაიწყო ლოცვა. მარშალი თითქო იძინებდა; ერთ დროს გა-ჭირვებით ასწია ხელი ცოლის და შეილების მიმართულებით და და-ლოცა ისინი, მერე გაუცინა და ძილს მიეცა. ათი წუთის შემდეგ ექიმი სიკვდილი შეამოწმა.

აი ამნაირად გარდაიცვალა ეს დიდი ადამიანი. მისი ძლიერი სუ-ლი უკანასკნელ წუთამდე აძლიერებდა დასუსტებულ სხეულს და არ ემორჩილებოდა სიკვდილს. გარდაიცვალა მარშალი, როგორც გუშაგი თავის საყვარელ სამშობლოს საგუშაგოზე.

---

ჩემი მოკლე აწერილობა, რასაკვირველია, ვერ ხატავს ნამდვილ

და მთლიან სახეს ამ არაჩეულებრივი ადამიანისას; მისი ცხოვრების ისტორია არის თანამედროვე პოლონეთის ისტორია და ამას შესრულებენ თვით პოლონელები; ყოველ შემთხვევაში მსურდა მიმეწოდებია ჩვენი საზოგადოებისათვის თუნდაც მოკლე ცნობები.

მარშალი პილსუდსკი თავის ინდვიდუალურ თვისებათა წყალობთ ყველა ხალხისათვის სიმდიდრედ გადაიქცა — ამ მხრივ პოლონეთის ფარგლებს გადააცილა. მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა, მთელი სიცოცხლის მსვლელობა საუკეთესო მაგალითია ყველა მათვის, ვისაც სურს სიკეთე თავის სამშობლოსათვის. არ იქნება გადაჭარბება რომ ესთქვათ: ვერც ერთი ხალხი ვერ გაიგებს, ვერ იგრძნობს და ვერ შეაფასებს მარშალის ნამოქმედარს ისე, როგორც ჩვენი ქართველი ხალხი. სწორედ ჩვენი ხალხი იმავე ღრუს და იმავე მტრისაგან ჩაგრული, საერთო ისტორიის მსვლელობამ მიგვიყვანს განთავისუფლებამდე, ჩვენ ხალხის მიერ თითქმის ხელის გაუნძრეველად. როგორ მოვაურეთ ჩვენს თავს და რა დავილად დავკარგეთ თავისუფლება! პირობები ბევრად ადვილი და ხელსაყრელი იყვნენ ჩვენთვის, ვიდრე პოლონელებისათვის, ოღონდ ვერ გამოვიჩინეთ მტკიცე სურვილი, მივაყუჩეთ ჩვენი ხალხი სულის ტრადიციული სიძლიერე. ვინ იცის ამ დიდი ადამიანის ისტორიამ რომ მიაღწიოს ჩვენ ხალხამდე, ბევრ რამეზე აუხელს მას თვალებს, გააგებინებს წარსულ შეცდომებს, და მომავლისთვის ბევრს ასწავლის; ჩვენი ხალხი შორს არის. — ჩვენ, ემიგრაციაში მყოფ ქართველებს კი შეძლება გვაქვს შევისწავლოთ ამ არა ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრება და ნაძოქმედარი, რომელნიც შეგვიძლია აღვიაროთ სამშობლოსათვის საბრძოლელ ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ.

ა. ჩხეიძე



პოლონეთის პრეზიდენტი პროფ. ეგნატე მოსტიცე

კოლონეთის პრეზიდენტის სიტყვა

წარმოთქმული წმ. ოოანეს ეკლესიის შესავალში

მარშალ პილსუდსკის დაკრძალვისას\*)

\*) მარშ. პილსუდსკის გვამი განსვენებულ იქმნა ქ. კრაკოვშა,

„მეფეთა სავანეს პბარდება მეგობარი საუკუნო განსასვენებლად. არ ამშვენებს მის შუბლს მეფეთა გვირგვინი, არც ხელთ უპყრია ემბლემები საამხსო. მეფედ იყო ჩვენი გულების და მფლობელი ჩვენი სულის. სიცოცხლის ნახევარ საუკუნიან შრომით იგებდა ის გულს გულზე და სულს სულზე, ვიდრე მშვენიერი სამეფო მისი სულისა არ დაეუფლა პოლონეთს მთლიანად.

გაბედული აზრით, წადილთა შეუპოვრობით და საქმეთა სიღი-აღით დატყვევებულთ ბორკილები ახსნა, ხელთ ხმალი მისცა, მით სახელმწიფოს საზღვრები შემოხაზა და ჩვენი ჯარის დროშათა დი-დება საუკუნოდ უკვდავ ჰყო.

მონობაში მოდუნებულთ სული ჩაუდა, საკუთარ ლირსებათა და ძალის შეგნების უნარი მისცა. უწვდენ ამაყ ზრახვათა არწივო-სან სიმაღლიდან სინამდვილედ ქცევა და მიწად ჩამოყვანა ასწავლა.

აღუდგინა პოლონეთს თავისუფლება, მისცა საზღვრები, დაუ-ბრუნა სიძლიერე და პატივი.

საკუთარი ქცევით კიდეთ - კიდემდე აღვიძებდა გმირობისადმი ლტოლვის ნაპერწკალს და ეს ნაპერწკლები მილიონ გულთან ს- ყვარულის გავარვარებულ ალით მის დამბადებელს უბრუნდებოდა, ვიდრე მოფენილ ჩვენს მიწაწყალს მისი ბრწყინვალე სხივი არ შეე-ხო დაუფასებელ მადანს, რომელიც ერის მორალურ ლირებულებათა საუნჯეში დარჩება უკვდავი.

უხვია განძი პოლონელ გულთა და სულის ამ უპოვარ მეუფლის.

თავანება, სიცოცხლესაც რომ არ ვუშურებდით, მძლავრდება დღეს და გაიზარდა პოლონეთში მომავლისათვის დღითი-დღე.

დევ საფლავის კიდეს მიტანილი პატივი ამ დიდ პოლონელისადმი გადაიქცეოდეს მის შორეულ ზრახვათა ერთგულობის ფიცად მო-მავალისათვის! დევ გადაიქცეს ეროვნულ ალტყინების უმწვერე-ლეს ვალდებულებად! დე ეჭედნოს ჩვენი ნებისყოფა სიძნელმიმდან საბრძოლველ კლდეთ და გული ჩვენი აღევსოს მისი სიყვარულით სამშობლოსადმი!

ოჯახთა კერასთან აღვმართოთ ბჭენი ფასდაუდებელ მის თვისე-ბათა ჩვენში გადასარჩენად და ნაანდერძევის შესანახად, რომ და-ვუმკვიდროთ ამით სიცოცხლისას სამშობლოსთვის მის დატანჯულ სულს განსვენება საუკუნო!“

---

ევრ. წოდ. ვაველზე, იქ სადაც განისვენებენ პოლონეთის მე-ფენი. ვაველს აქვს პოლონელებისათვის იგივე მნიშვნელობა, რო-გორც ჩვენთვის, ქართველებისათვის, მცხეთას ან გელათს.

## პოლონეთის განთავისუფლება

და

### მარშალი პილსუდსკი

მე-18 საუკუნის მიწურულში პოლონეთის ერისათვის ისტორიის მწარე წუთების დასაწყისი იყო. დასავლეთის ძლიერი სახელმწიფო-ნი ამ დროს ტერიტორიალურ მონაპოვართა გაფართოების შეჯიბრებაში იყვნენ. პოლონეთის მიმსრო სამისო საწადელით გამოწვდილი იყო სამი მეზობელ სახელმწიფოს ხელი: რუსეთის, ავსტრო-ვიუგრეთის და გერმანეთის. პოლონეთის იმ დროინდელი თაობა ვერ დახვდა ვითარებას სათანადოთ მომზადებული და რიგრივით გაყოფის შედეგად, სამაც დაქუცმაცებული, სამივე ამ სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა. პოლონეთის ერს, მიუხედავათ ფიზიკური დამარცხებისა, სულიერ ღირებულებათა სალაროში საყოფა განხევულება აღმოაჩნდა, რომ მოხდარ ფაქტს უპრეტენზიონ დანებებოდა. თავისუფლების აღდგენის ზრახვებიდან არამც თუ ხელი არ აუღია, არამედ რამდენიმეჯერ იარაღით გაუწევია ამ მიზნის მისაღწევად; საუბედუროდ, ოლონდ ვერც კოშკიუშკოს გამოსვლა, ვერც ნაპოლეონის გვერდით მებრძოლ პოლონელთა გმირობა, ვერც 1830—1863 წელი ვერ დასრულდენ გამარჯვებით და თავისუფლებას მონატრულ ერს საწადელი ვერ აუსრულა. დაგლოვებულმა ნაღველმა სენკევიჩისა და მიკევიჩის ცრემლში ჩააქსოვა და მონობაში ჩარჩა.

მდგომარეობანი ამასობაში ისტორიული კალაპოტით შიმდინარეობდენ. პოლონეთის გაყოფით დროებით მორიგებულნი ცხოვრების კვლამ ერთი მეორის წინ აღმართა და ბოლოს 1914—18 წლის, სიგრძეზედ ერთმანეთს შეაჯახა. ასეთ პირობებში პოლონეთის ბედიც დღიურ საკითხად უნდა წამოჭრილიყო, ოლონდ თუ როგორ

გადაწყვდებოდა და რანაირად მოუვლიდა ახალ ცხოვრებას მკვდრე-  
თით აღმდგარი ერი, ეს ბევრად იყო დამოკიდებული თვით ამ ერის  
ვარგისობისა, მისი კულტურული სიმწიფის, მოშენტის შეფასების  
უნარის და ეროვნული შემეცნების სიღრმის. საუბედუროდ სწორედ  
ამ მხრივ მეოცე საუკუნეს მიღწეული ერები საერთოდ და პოლონე-  
თის ერიც, ეროვნულ თავმოყვარეობის ზედგავლენის გარდა რამო-  
დენიმე ათეული წლებიდან განიცდიდენ ამ შეგნების შემასუ-  
სტებელ ანუ უკეთ უარისმყოფ თვორიების ზედგავლენასაც. რუსე-  
თის ფარგლებში ასეთ მიმდინარეობად ნიადაგი იმდენად შესაფე-  
რისი დახვდათ, რომ იქ მონაწილეობა და ბრძოლის მეთოდებზე შე-  
მდგარ ორგანიზაციის წევრობა იძლეოდა ერთის მხრივ ყველა უკ-  
მაყოფილოთათვის დაგუბებულ სიბრაზის გადმოხეთქვის საშუალე-  
ბას, მეორეს მხრივ აძლევდა მონაწილეობა სიკეთისათვის თავგანწირ-  
ვის ერგვარ ილიუზიასაც. პოლონეთს, ისევე როგორც საქართველო-  
საც რუსეთის ხელში ბევრი ჰქონდათ საუკმაყოფილო და ამისათვის  
არის რომ ორივე ამ ქვეყანაში ბევრი აღმოჩნდა მემარცხენეთა და-  
რაზმულ რიგებში. ოლონდ რამდენად ეს მოვლენა სასარგებლო აღ-  
მოჩნდა თვითმპყრობელობის დანგრევის მოახლოვებისთვის, იმდე-  
ნად დასცა და მოადუნა ეროვნული შეგნება და ამით აუნაზღაურე-  
ბელი ზიანი მიაყენა იმ ერებს მაინც, რომელთ ცხოვრება ცალკე  
კალაპოტით მოწყობას ითხოვდა.

საუკეთესო მაგალითი იმისი, თუ რამდენად გადამწყვეტი და მწვა-  
ვე იყო თვითმპყრობელობას მოცილებულ ერებისათვის ამ უკანას-  
კნელ სიმძიმის დაძლევა, ვართ ჩეენ, ქართველები. პოლონეთსაც  
იგივე გზა არ ასცდებოდა, რომ მისი ბედის მკვეთელად ჩვენის მზგა-  
ვისი პირობები დარჩენილიყო. ბედი ოლონდ უფრო ღმობიერი გა-  
მოდგა მათთვის და ამ ძნელ ჭუოებში მოუვლინა კაცი, რომლის რკი-  
ნის ნებისყოფამ, აღელვებულ ცხოვრების ტალღებზე პოლონეთის  
გემი გამოცდილი ხელით იქმდე და ისე ატარა, ვიდრე ის სასურველ  
და მყუდრო ნავთსაყდელთან არ მიიყვანა. ეს ადამიანი მსოფლიოში  
კარგად ცნობილი მარშალი პილსუდსკია. ის პილსუდსკი, რომლის  
პირადი ბიოგრაფია პოლონეთის ერის, მისი თავისუფლების აღ-  
გნის და განმტკიცების ისტორიაა. შემკრებელობითი პიროვნება  
ხომ არასდროს ყოფილა კონსტრუქტორულ მუშაობის ოსტატი. ერის  
ისტორიათ პიროვნებანი ჰქმნიან, კარგსაც და ავსაც. მათი დამსახუ-  
რება და ბრალია, თუ ერი, ათეული ჭავების სიგრძეზე, ბედა ან  
უბედებაში ჩავარდება და პოლონეთის მაგალითზე ეს აქსიომა კიდევ  
ერთხელ დამტკიცდა. ადვილი პირობები არა ჰქონია სამად გაყო-

ფილ პოლონეთს თავისუფლების მოპოებისა და განმტკიცებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან შედარებით, ეს პირობები იყო ბევრად უფრო ძნელი, მაგრამ პილსუდსკიმ არამც თუ ყველა პირობები გადალახა, არამედ გენიოსური შორსმჭვრეტელობით ეს სიძნელენი შორიდანვე შეაფასა და თავისი მომავალი მოქმედებისათვის ერის საკეთილდღეოდ ხელსაყრელი ფონი თვითონვე და წინდაწინვე შექმნა. ამ მიზეზის ბრალია, რომ ი. პილსუდსკის პიროვნება თავისი ლიტერატურით და ფასით ბევრად გადასცდა პოლონეთის ერის მაშტაბს და მისი პიროვნება ყველა თავმოყვარე ერისათვის შესწავლისაგნად და პატივის ლიტერად იქცა.

ჩვენ, ქართველებს, ჩვენს პირობებში, მეტად გვართებს ასმთი პიროვნებათათვის პატივის მიძღვნა. მისი საქმიანობის შესწავლით უდავო შევმატებთ ჩვენს ერს საუკეთესო მაგალითს სამშობლოს სიყვარულით ანთებული და მისთვის თავგანწირული ადამიანისა.

ეროვნული თავისუფლების მოპოება და განმტკიცება, ეს უდიდესი ლვაწლი იყო მისი პოლონეთისადმი და ამ მხრივაც განვიხილავთ ჩვენ მის პიროვნებას.

მარშალი დაბადებული და ოლზრდილია პოლონეთის იმავე კუთხში, სადაც იზრდებოდა პოლონეთის უდიდესი მგოსანი მიცვევიჩი; მისი ყრმობისას ცოტხალი იყო 1863 წლის აჯანყების მოგონებანი; უკვე ეს მოვლენა იმ პირობასთან დაკავშირებით, რომ მისი ოჯახობაც ეკუთვნოდა ეროვნულ ტრადიციებით გამსჭვალულ კეთილშობილთა წრეს, საკმარისი ჩარჩო იყო მისი სულის ბავშობიდანვე უაღრესი პატრიოტიზმით გამსჭვალვისა. ამას აღრმავებდა ის მოვლენაც, რომ რუსეთის აღმინისტრაცია განსაკუთრებული უმზავ-ლენაც, რომ რუსეთის პატრიოტიზმის სწორედ ამ კუთხეში, რაც, ცხადია, საზოგადოებაში სრულიად საწინააღმდეგო გრძნობებიდან ბებსა სძერიდა. შემდეგი ცხოვრებაც ი. პილსუდსკისა ისეთი სახით ჩატარდა, რომ საკუთარი ერის ტანჯვის შეგნება რუსების ხელში და ამ უკანასკნელთადმი ზიზლი უმაღლეს მწვერვალამდე ხასიათის თვისება აუყვანა.

ამ მოვლენათა შედეგად ციმბირის ხუთ-წლიან გადასახლებიდან დაბრუნების დღიდან ნაბიჯები იქით მიმართა, სადაც ამ საზიზღარ მოპარებაშეთადმი ბრძოლა უკვე იყო გართული. მივიდა მათთან არა როგორც უბრალო ჯარისკაცი, არამედ როგორც ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, როგორც ბელადი; ოლონდ თავისი მისვლით შემატა მათ და შეათვისა თავისი სულის უდიდესი განძი — სამშობ-

ლოსადმი სიყვარული — და სხვა ყველაფრის მის კეთილდღეობისა და სიკეთისათვის შეფარდების ვალდებულება. რამდენად ზტკიცე იყო მისი ნებისყოფა ეროვნულ დარგში, სჩანს მისივე სიტყვებიდან: „პოლონეთის თავისუფლებას არავინ არც გვაჩქებს, არც ჩვენს მაგიერ მოიპრძოლებს. თავისუფლება უნდა აღვადგინოთ ჩვენ თვითონ, თოვით ხელში“.

ამას ამბობდა სოციალ-დემოკრატი ი. პილსუდსკი და ამ სიტყვებიდან მოსჩანს მისი სილუეტი, როგორც სახელმწიფოს ბედის შესაჭე პიროვნების. სახელმწიფოს მეთაურთათვის სასხედრო დარგის მნიშვნელობის აღიარება და ამ დარგით უაღრესობამდე დაინტერესება პირველი საფუძველია ამ პიროვნების წონის და ერის ბედ-ილბალისაც.

რუსეთის ზრდა პეტრე ღილის საბავშო გასართობ გუნდების ისტორიდან იწყება; ვიცით, რა ადგილი მოიპოვა გერმანეთსა და იაპონიას მილიტარული დარგის პატივმა; ქემალ ფაშამ მხოლოდ მხედრული სახის ოპერაციებით და მხედრების დახმარებით დაუმკვიდრა თავის ერს საპატიო სახელი და ბედი. სამხედრო დარგის მნიშვნელობა ცნობილია ბოლშევიკებისათვისაც კი. და მარშალ პილსუდსკის მხრივ სამხედრო დარგის პატივისცემა ხომ ერთად ერთი მიზეზი იყო, რომელმაც სიცოცხლეშივე დატებო ნამოქმედირის ნაყოფით და საერთაშორისო შიგნიბით ანგარიშგასაწევ პოლონეთის შექმნით. უკვე თვით ზემო-მოყვანილ სიტყვების თქმა სამად გაყოფილ პოლონეთის ფონზე და იმდროინდელ გულგრილ პოლონელებთან შედარებით გვაჩქენებს. ი. პილსუდსკის, როგორც გამშედავ და მტკიცე პიროვნებას. სურათი სრულ გამოხატულებას პოლულობს, როდესაც ვნახავთ, თუ რა შრომა გასწია სიტყვების რეალობად საქცევლად.

ფონი, რომელზედაც იწყებდა ი. პილსუდსკი მოქმედებას, დაახლოვებით იყო შემდეგი: ნაციონალურად მოაზროვნე ნაწილი პოლონეთისა, მრავალი წაგებული ცდებით და რეპრესიებით მოტეხილი, შორს იყო ეროვნულ დამოუკიდებლობის შესაძლებლობაზე ფიქრიდან; მყუდრო ცხოვრებას მიჩვეული ვერ ურიგდებოდა საკითხის გადაჭრის იარაღისათვის მინდობას; მათი ერთად ერთი სურვილი — ეს ლეგალური საშუალებებით პოლონელთათვის პირობათ გაუმჯობესება, მატერიალური მოლონიერება, და კულტურული თავისებურების შერჩენა იყო. ახლო მომავალში პოლონეთის დამოუკიდებლობის შესაძლებლობა მათთვის წარმოუდგენელი იყო. — მე-

ორე ნაწილი საზოგადოებისა — ეს სოციალისტურ მოძრაობათა ირგვლივ დაჯგუფებული ხალხი იყო. ესენი წესწყობილებით, საზოგადოებრივ ცხოვრების აკეთით და მატერიალური ვითარებით უკმაყოფილობი აქტიური ბრძოლისათვის ორგანიზაციულად ეწყობოდენ და ამ ბრძოლას ნაწილობრივ კიდევ აწარმოებდნენ. დანარჩენნი საკუთარ კერის ინტერესებში ჩაბმულნი საზოგადო საქმეთათვის გულ გრილნი იყვნენ და ორივე სხვა წრის მუშაობისათვის არც გული უცემდათ. ი. პილსუდსკის მშფოთარე მებრძოლი სული, სამშობლოს სიყვარულით და დამპყრობელთადმი ზიზღით გამსჭვალული, ცხადია, ვითარებათა გარეშე ვერ დარჩებოდა. ნწლიანმა ციმბირმაც მის შემდეგ საქმიანობაზე ერთგვარი ზეგავლენა იქნა. აქ გავცნო ის აქტიურ მებრძოლთა სახეებს, მათი ბრძოლის ს მიზანებს. მათ იდეალებს და ორდესაც ყველაფერი ეს ციმბირი! პეტერ, ყინვიან ლამების ფიქრით თავის პიროვნებას შეათვისა, გამომუშავდა ადამიანი, რომლის ნაბიჯები სწორედ ისე წარემართა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ. აქტიურ მებრძოლთა რიგებში დადგა, სამშობლოსადმი ვალდებულების შეგნება შეიყოლია და პოლონეთის დამოუკიდებლობა მათთვის აუცილებელ მიზნად სცნო.

ამისთვის არის, რომ მოჰკიდა თუ არა კალამს ხელი ციმბირიდან დაბრუნების დღიდან, საიდუმლო გაზეთ „მუშის“ ფურცლებზე, რომლის რედაქტორი, ასოთამწყობი და რეპორტორი იყო, ერთ და იმავე ხანს დაადგა მუშაობას პოლონეთის სოციალდემოკრატიულ პარტიისათვის ეროვნული მიზნების და სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვას. უპირველეს ყოვლისა, საქმის კაცს, კალამის მძლავრი და კერპი მისცა ბედმა და საკუთარ მრწამისის სხვათათვისაც შეთვისება გაუადვილა. ი. პილსუდსკიმ იცოდა თავის მრწამსისთვის მოდრექა; ამისთვის საშუალებათა შერჩევაც იცოდა. ერისთვის პატრიოტიზმის ჩასამყნელად მისი აქტიური ნაწილი იირჩია და საამისო საშუალებად კალამი. შედეგმა არ დაიგვინა; პოლონელ მუშებს გული უცხო არ აღმოაჩნდათ; სიტყვა სამშობლოსა და მისი სიყვარულისათვის და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოება სხვა ვალდებულებათა სათავეში დაიყენეს.

ექვსი წლის განმავლობაში მუშაობდა ამ გზით ი. პილსუდსკი „მუშ“-ის ფურცლებზე ნაყოფიერად, რის შემდეგაც ჩავარდა; ოლონდ შესძლო თავი დაელწია და სამუშაოთ აესტრიის პოლონეთში — გალიციაში გადავიდა. პოლონეთის ამ ნაწილში ეროვნული უმკირესობანი მეტის თავისუფლებით სარგებლობდენ. მარშალ პილ-

სუდსკის მუშაობასაც მეტი გასაქანი მიეცა. აქ მიზნისათვის, პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის, სამსახური არა მხოლოდ სიტყვით, წერით, და ფარული მუშაობით, არამედ აშეარაღაც შესაძლებელი გამოდგა. მარშალი სწრაფად გადადის საქმიანობაზე და მომავალი კადრების წროვნას უდგება. მისი აზრით, ერთი კლასი ან წრე სუსტია თავისუფლების მოპოებისათვის; ამ მიზეზით მუშაობას ახალგაზრდებზე აფართოებს და მიმდევრები კი ამონჩნდენ გაცილებით მეტი, ვიდრე მისი პოლიტიკური ამხანგები მოელოდენ. მუშაობა გარჩალდა, და როდესაც ჯერ რუსეთის პოლონეთში, და ახლა აქ თავისი შრომის ნაყოფი შეაფასა, საქმე იმდენად წინწაწეულად სცნო, რომ გათამაშების დღის ქებნა იწყო. რუსეთ-იაპონიის 1904 წლის ურთიერთობის გამწვავებამ ამ მხრივ დიდი იმედები დაუბადა. „არ წარმომიდგენია, რომ ისეთი ზომის ვითარება, როგორც რუსეთ-იაპონიის ომი, არ მიგვიყვანდა ჩვენ, პოლონელებს, ისეთ პირობებამდე, რომ ძალით ხელში შეუძლებელი ყოფილიყო პოლონეთის ბეჭის გაუმჯობესება.“ მდგომარეობის გამოსაყენებლად იაპონელთა დაპატიჟებით იაპონიაში მიდის და მართალია, იქ დიდ მიღწევებს ვერ პოულობს, მაგრამ დაბრუნებისას არ უარყოფს თავის პირვანდელ აზრს. თოფით ხელში თავისუფლების მოპოება მისთვის ერთად ერთი საშუალებაა, მაგრამ ჯერ მასთან მხოლოდ მცირე ნაწილია პოლონეთის საზოგადოებისა; ხალხმა კარგა ხანია დაკარგა შევნება თოფის ფასისა, დაკარგა შევნება საკუთარი ძალისა, ხალხი ბურანშია. მარშალი 1905—8 წლის სიგრძეზე უმართავს რუსეთს პირდაპირ ბრძოლებს პატარა მაგრამ უაღრესი აღფრთოვანებით მოცულ საქართვის მრავალრი ორგანიზაციების საშუალებით. ესმოდა მას, რომ ასეთი მოქმედებით თავისუფლებას ვერ მოიპოვებს, მაგრამ: — „ამით შესჩეფს ხალხში გაბედულება და რწმენა იარაღით ხელში ბრძოლის მოგებისა“.

სწყდება ბოლოს ეს მუშაობაც და მარშალი ბრუნდება გალიციაში. საკუთარ ძალთა ანგარიში, მიზანთ სიმწიკვლე და საერთაშორისო ვითარება უფრო და უფრო არწმუნებენ მას გათამაშების დღის მოახლოვებაში.

აგსტრიელების მიერ ბოსნია-ჰერცოგოვინის შემოერთებით ეს ჰიპოტეზა იმდენად დასანახა ხდება თვით აგსტრიელთათვისაც, რომ მარშალი დაუბრუკოლებლივ ახერხებს სამხედრო ორგანიზაციების ლეგალურად მოწყობას. მით მოსჩანს ი. პილსუდსკი ბევრად მაღლა თავის-დროინდელ თანამემამულეთა შორის, რომ მიუხედავად ამდე-

ნი ნიშნებისა მარშალის სამხედრო მუშაობის სარგებლიანობის შესახებ, ასეთ მუშაობას მავნებლად, ავანტიურად და ზედმეტად სთვლიან, ვიდრე ავსტრიის ტახტის შემკვიდრის სიკვდილით გამოწვეული მსოფლიო ქარიშხალი ასეთ მტკიცებას არ გააძათილებს.

იარაღის აუღარუნების პირველ მომენტშივე მას საშუალება აქვს აბუჩად აგდებულ და პირში ბურთ-ჩაჩრილ პოლონეთის სახელით ხმალი ამოიწოდოს. ეს კი მუდამ სიტყვაზე მჭრელია.

„პოლონეთი განთავისუფლდება მაშინ, როდესაც რუსეთს დამარცხებს გერმანეთი და ეს უკანასკნელი თვით დამარცხდება საფრანგეთის მიერ“-ო.

იწინასწარმტყველა ჯერ კიდევ ომის წინ. და ამ წინასწარმტყველების ერთგული ავსტრიის რიგებში დგება. ომში არ მიღის განმარტივდული, მიუძლვის წინ თავისავე აღზრდილ პოლონურ მხედრობას, პოლონურ ლეგიონებს. და თუ რა ფასის ხალხი იყო მისი ოფლით და შრომით გაწრობილი ეს ჯარისკაცნი, ვიცით მისივე სიტყვებიდან: „ლეგიონებს არასდროს არა ჰქლებია მოხალისენი უძნელესა დავალებისათვის. ასეთები იყვნენ გადაჭარბებით, საჭირო ხდებოდა არჩევანი და ბევრი რჩებოდა ნაწყენი, რომ ძნელი დავალების შესრულება ასცდა“. ბეჭნიერი უნდა ყოფილიყო პილუდისკისათვის დღე, როდესაც საკუთარი შრომით ამნაირად აღზრდილი ხალხის თავში პოლონეთის ბედს სასწორზედ სდებდა. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ როგორც საშუალება საკუთარი ერის ბურანიდან გამოსაყვანად, არამედ აგრეთვე როგორც მთელი ქვეყნისათვის დასანახი ნიშანი ტანჯულ - დამონებულ ერის უფლებათა მოსაგონებლად. ლეგიონების მცირე დაკვირვების შემდეგ მოკავშირეთათვის შეუმჩნეველი არ დარჩა, თუ რა სახის ჯარისკაცი ჰპოვეს საკუთარი ერის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ლეგიონერთა სახით. ასეთი წამოწყების წასახალისებლად საკუთარივე ინტერესის შევნებით მათ (გერმანეთმა) 1916 წლის 8 ნოემბერს საამისო აქტიც გამოაქვეყნეს. 1917 წელს ამას მოჰყვა პოლონეთის აღდგენის საკითხზევე ვილსონის ცნობილი აქტიც. ავსტრიელების ლეგიონერებთა ბრიგადების რიცხვი აჰყავთ სამასამდე. ის ასეთი იყო შედეგი პირველ ხანებში მარშლის მუშაობისა. დანაპირები ოღონდ ადვილად არ ხორციელდება; უკვე ვარშავა აღებულია და პოლონეთის აღდგენაზე არაფერი ისმის. ეს ი. პილუდისკის ვერ დააკმაყოფილებს, ამისათვის არ აუტანია ციმბირი, ამისათვის არ გაუწირავს სამუშაოდ თავი, ამისათვის არ გასულა ველზე თავის თანამზარეთა სათავეში. ზომათა

პიებაში ვარშავაში ჩნდება და პოლონურ წრეებთან მოღაპარაქების შედეგად სწავლის მოხალისეთა ლეგიონებში დენას, რის მაგიერ აარ-სებს ახალ საიდუმლო, ვისგანმე დამოუკიდებელ „პოლონეთის სამხედრო ორგანიზაციას“. შედეგათ ამ ორგანიზაციის ქსელი ედება სამიცე ოკუპანტის პოლონეთის სივრცეს.

მოკავშირენი ხედავენ საქმის არა სასარგებლოდ შემოტრიალებას, ფიცის ჩამორთმევით სცდილობენ პოლონელთ ერთგულება დაიმკვიდრონ; მარშალი ამას თავის ვეტოს ადებს, დემისიაში გადის, ხოლო ლეგიონერებს კი უკრძალავს ფიცის დადებას.

გერმანელები ყველა ამისათვის მარშალს მაგდებურგის ციხეში ათავსებენ, ლეგიონერებს კი საკონცენტრაციო ბანაკში. ოლონდ ცოცხლობს მისი საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია; იგი აცხოველებს თავის მუშაობას, რის წარმატებასაც ასაზრდოებს და ხელ ს უწყობს ი. პილსუდსკის მიერ ჩათესილი სიტყვა და გრძნობა და იარალის ნდობა.

მარშალის წინასწარმეტყველება მართლდება. რუსეთის დამარცხებას გერმანელების დამარცხება მოსდევს და პილსუდსკის „სამხედრო ორგანიზაციას“ მუშაობის დღე უახლოვდება. რევოლუციით მოცული გერმანეთი მოიგონებს და გაანთავისუფლებს თავის ტყვეს. პოლონეთი საჭიროებს მის პიროვნებას. იქ გარდამტეხი მომენტი და უთაობის ქაოსია. აღმოსავლეთით მძგინვარებს ბოლშევიზმენშევიზმის ტალღები; სამხერეთით ბრძოლებია ლვოვის გამო, ჩეხები ცეშინს ემუქრებიან; პოზნანი და სილეზია ჯერ კიდევ გმრმანელებს უკავიათ; ამათივე ნაწილებია ვარშავაში; აქვე აქა-იქ ჭითელი დროშები ჩნდება; ადგილ-ადგილ პოლონურ ერთ-თავიან არწივს გვირგვინს აძრობენ. პოლონეთი უთავოა. „პოლონეთის სამხედრო ორგანიზაციას“ მხოლოდ ოკუპანტების განიაჩაღების ძალა შესწევთ; საქმის ხელში აღებისა და ხელმძღვანელობისათვის ის უძლურია. აი ასეთია მომენტი, რომლშიაც ი. პილსუდსკი ვარშავის ქუჩებში ჩნდება. მან იცის მომენტის ფასი, მან იცის პოლონეთის საჭიროებაც, მას უნარი და ძალაც შესწევს მდგომარეობანი დაიმორჩილოს. ამ დღიდან პოლონეთი გადარჩენილია, აღდგენილია. ძალაუფლებას და პოლონეთის ბედს მას აბარებენ, ლიუბლინის რევოლუციონური მთავრობაც მას ემორჩილება, ისე როგორც გერმანელების მიერ დატოვებული მმართველობაც; ხალხი აღტაცებით და მოწიწებით დებულობს მის ხელმძღვანლობას და ამას უმაღლის პოლონეთი, თუ ის დღეს მილიტარულ ძლიერებათა შორის ევროპაში

პირველთაგანია, თუ მისი დამოუკიდებლობა საუკუნოდ განმტკიცებულია.

აი ასეთია მარშალ პილსუდსკის დამსახურება პოლონეთის დამოუკიდებლობის მოპოებასა და მის განმტკიცების საკითხში. პოლონეთის ერი თავის თავისუფლებას აფასებს იმ ფასად, რომელიც ი. პილსუდსკიმ გაიღო ამ საკითხისათვის მთელი თავისი სიცოცხლის სიგრძეზე. ფასი კი, როგორც ვნახეთ, იმ ზომისაა, რომ გახადა ის პოლონეთის ერის უდიდეს გმირად სათყვანო პირად და მომავალ დაუშრეტელ წყაროდ უსაზღვრო მამულიშვილობისა პოლონეთის ეხლანდელ და მომავალ თაობათათვის. კაცობრიობამ და თავისუფლებისათვის მებრძოლებმაც მისი სახით მოიპოვეს ერთი ედიდესთაგანი ეროვნული მომუშავის მაგალითებიდან.

6. მა — ლი



პოლონეთის შეიარაღებული ძალების მთავარი ინსპექტორი  
ლენ. რიდზ - სეიგლი

Ppoto «Studio», Varsovie. Réproduction est défendue.

ლენ. რიდზ-სმიგლი, პოლონეთის დღევანდელი შეიარაღებული ჟალების მთავარი ინსპეკტორი, დაიბადა 11 მარტს 1886 წელს აღმოსავლეთ მცირე პოლონეთში (გალიციაში) მდებარე ქ. ბუეუანაში. გაათავა ფილოლოგიური გიმნაზია ქ. ბუეუანაში, ხელოვნების აკადემია ქ. კრაკოვში და ფილოლოგიური ფაკულტეტი კრაკოვის იაგელონების უნივერსიტეტში. 1912 წლიდან მიეცემა სამხედრო განმათავისუფლებელ მუშაობას პოლონურ მსროლელთა კავშირში, სადაც ათავებს ჯერ დაბალ და შემდეგ უმაღლეს საოფიცრო სკოლებს. სამხედრო სკოლების დამთავრების შემდეგ ასრულებს შემდეგ მოვალეობებს: — მსროლელთა ნაწილის კომენდანტის ქ. ბუეუანაში, მდაბალ საოფიცრო სკოლის კომენდანტის ქ. კრაკოვში და ლვოვის ოლქის კომენდანტის ქ. ლვოვში.

1914 წ. აგვისტოში შედის პირველ სალეგიონო ბრიგადაში, რომლის რიგებში მაორის, პოდპოლკოვნიკის და პოლკოვნიკის ხარისხებში თითქმის სამი წლის განმავლობაში განივლის ლეგიონერების მთელ საბრძოლო კამპანიას რუსეთის წინააღმდეგ.

ამ დროის განმავლობაში უფროსობს თანდათანობით ათასეულს, ლეგიონს (პოლკს) და თვე-ნახევრის განმავლობაში I-ლ ბრიგადას.

ლეგიონების განიარაღების შემდეგ ავსტრო-გერმანელების მიერ, აწარმოებს საიდუმლო განმათავისუფლებელ მუშაობას, როგორც პ. ი. ვ.-ის (პოლონური სამხედრო ორგანიზაცია) კომენდანტი თვით პოლონეთში და მის გარედ, უკრაინაში.

1918 წ. გიორგობისთვის პირველ რიცხვებში აწარმოებს ოკუპანტების (გერმანელების და ავსტრიელების) განიარაღებას პოლონეთის ავსტრიის ნაწილში, რის შემდეგ ინიშნება უკვე პოლონური ხელისუფლების მიერ, ლიუბლინის სამხედრო ოლქის უფროსად.

იმავე წლის დეკემბერში ინიშნება ვარშავის ლენერალური ოლქის უფროსად და 1919 წლის თებერვალში იღებს კოველის საოპერაციო ჯგუფის უფროსობას.

იმავე წლის აპრილში I - ლ სალეგიონო დივიზიის (ყოფილი I ბრიგადის) სათავეში აწარმოებს სამხედრო ოპერაციებს ქ. ვილნის განსათავისუფლებლად.

1920 წ. იანვარში, ინიშნება პოლონელ-ლოტვიელების საოპერაციო ჯგუფის უფროსად; თავის მოქმედებით შესამჩნევად ხელს

უწყობს ლოტვის განთავისუფლებას. 1920 წ. მაისში, იმ საოპერა-ციონ ჯგუფის სათავეშია, რომელიც იყავებს კიევს, რის შემდეგ ინა-შნება სამხრეთ ფრანგტის უფროსად.

პოლონელების კონტრ-შეტევის წინა დღეებში, ჯერ კიდევ სა-მხრეთ ფრანგტის ლიკვიდაციამდე (რომლის ზოგი ერთეული გამო-ყენებულ იქმნა დამრტყმელ ჯგუფის გასაძლიერებლად) ინიშნება დამრტყმელ ჯგუფის უფროსად.

რუსების გროვნოს ხაზზე უკუგდების შემდეგ ინიშნება მე - 2 ლაშქრის უფროსად. ამ ლაშქრით აწარმოებს შესანიშნავად ჩატა-რებულ თავერაციებს გროვნო-ლიდის მიმართულებით. საბოლოო ოპერაციებით მიჰყავს თავისი ლაშქარი პოლონეთის დღეგანდელი საზღვრების აღმოსავლეთით.

მშვიდობიან დროს, 1920 წ. ომის დამთავრების დღიდან, ასრუ-ლებს არმიის ინსპექტორის თანამდებობას მარშალ პილსუდსკის გარ-დაცვალების დღემდე. თანახმად მარშალ პილსუდსკის სურვილისა, მისი სიკვდილის შემდეგ ინიშნება შეიარაღებულ ძალთა მთავარ ინსპექტორად.

ღენ. რიდზ-სმიგლი ეკუთვნის მარშლის ერთ-ერთ უახლოეს თა-ნამომუშავეს და აღზრდილია მის სკოლაში.

## გ ა ნ ა ხ ლ ე ბ უ ლ პ ო ლ ტ ნ ე თ ი ს

### უ დ ი ღ ე ს ი ბ რ ძ ი ლ ე ბ ი

კაცობრიობის და საუბედუროდ ჩვენი პლანეტის არსებობის ბუნება ბრძოლას წარმოადგენს და მისი ცხოვრების ყოველი მხარე განუწყვეტელი ბრძოლის სახით ვითარდება. სულ უბრალო მცენარეთა ცხოვრებაც რომ განვიხილოთ, რომელსაც გარეანულად ბრძოლასთან თითქმის არავითარი საერთო არა აქვს, დავინახავთ, რომ აქაც შეურიგებელი, მეაცრი და შეუწყნარებელი ბრძოლა სწარმოებს. იქ, სადაც გესურს, რომ ერთი ჯაშის მცენარე მოვიყენოთ და მისი კარგი მოსავალი მჩინოლოთ, სხვა დანარჩენ მცენარეებს ვმარგლავთ და ძირიან-ფესვიანად ვგლეჯთ. იქ, სადაც დიდი და მძლავრი ჭადარი თავისი დიდებული გვირგვინით შეუზღუდავად ეწაფება მზის სხივებს, პატარა და ნაზი იასათვის ამ სხივთა სამყოფი რიცხვი აღარ მოიპოვება; იგი იგოლვება, იჩაგრება და უდროოდ ლევს თავის მოკლე ფერწარომეულ სიცოცხლეს. აქ, თავის არსებობით დაინტერესებული მებაღე, ვერ გაჰყვება ამ მოვლენათა რიცხვში სიმართლის თუ უსამართლობის ძიებას. იგი იცნობს და ანგარიშს უწევს მხოლოდ მცენარეთა არსებობის ამ წესს, გვერდზე სტოვებს ფილოსოფიურ მსჯელობას და უწყალოდ მარგლავს თავის ბოსტანს.

კაცობრიობის და სახელმწიფოთა არსებობაც ამავე ბრძოლით სჩერებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს ბრძოლა შეუდარებლივ მეაცრი, დაუდევარი და შეუწყნარებელი სახით მიმღინარეობს. აქედან გამოდის ჩვენი მოვალეობა, რომელიც მოგვთხოვს, რომ შევიგნოთ და შევისწავლოთ ამ ბრძოლის ბუნების წესები, გავუწიოთ ანგარიში მათ ურყევლობას და მოვახერხოთ, მათ უცოდინარობის

გამო გამოწვეულ უბედურებათა ერის თავიდგან აცდენა. აი ამ მარტივ რეალურ ნაბიჯების პარალელურად, რასაკვირველია, ყველას შეუძლია სცადოს და იმუშაოს კაცობრიობის არსებობის ამ სისხლის ბეგარიდან განსათავისუფლებლად; მაგრამ ამ მუშაობისათვის, უპირველესად ყოვლისა, ნიადაგი უნდა გაიმაგროს ძველ, აქამდე ურყევლად არსებულ, დებულებების თანახმად.

როგორც უკვე არა ერთხელ აღვნიშნე, ბრძოლასაც, როგორც ბუნების ყველა მოვლენას, თავისი საკუთარი უცვლელი წესები აქვს. ესეთივე უცვლელი წესები აქვს ბრძოლის განმათავისუფლებელ ამ ბონებითი რევოლუციონურ სახეს, როდესაც დამონავებული ერი იბრძვის არსებობის უფლების მოპოებისათვის. ისტორია გვიჩვენებს, რომ, ამ სახით ბრძოლა შეიცავს მუდმი ორ, ნათლად გამოკვეთილ ნაწილს. პირველი ეს კონპირაციული სახით განმზადებული ამბონებითი ბრძოლაა, ბრძოლა თავისუფლების მოპოვებისათვის. ცხოვრებამ ცხად ჰყო, რომ ეს პირველი ნაწილი განმათავისუფლებელი ბრძოლისა, არც ისე ძნელი მოსაგებია, როგორც ეს პირველი შეხედულობიდან გამოიყურება. ასეთ აჯანყებით ბრძოლას უმეტეს შემთხვევაში აჯანყებული იგებენ, ვინაიდან ამ დროს ერი ინთებულია კეთილშობილი გატაცებით და ეს სტიქიური ძალა ბრძოლისა დამპყრობელთათვის მუდმი ერგარ მოულოდნელობას წარმოადგენს ხოლმე. მაგალითად, ესე სრული გამარჯვებით და დროებით თავისუფლების მოპოებით იქმნენ დაგვირგვინებულნი 1831 წლის პოლონეთის აჯანყება, ამავე ხანის პუნგრეთის აჯანყება, ბერძნების პირველი აჯანყება ასალეთის წინააღმდეგ, სააკაძის აჯანყება სპარსეთის წინააღმდეგ, ჭრეკლეს მთელი მუშაობა საქართველოს სპარსეთის ბატონობიდან ეგანსათავისუფლებლად წარმოებული და სხვა. თვით ჩვენი უკანასკნელი დამოუკიდებლობის რანაშიც ამ ნაწილის პროცესის ნასახმაც ასევე ადვილად ჩაიარა და დამოუკიდებლობა ფაქტურად მოვიპოვეთ.

ცოტა სხვანაირად გამოიყურება ამ პროცესის მეორე ნაწილი. აჯანყების პირველი გრიგალის განვლის შემდეგ, ყოფილი დამპყრობელი აახელმწიფო ნელ ნელა ერჩევა მდგომარეობაში, ნერვები მშეიდდება და იწყება ახალი განმეორებითი ლეგალური ომი, ეს უკვე წარმოადგენს თავისუფლების გამამტკიცებელ ომს, ეს უკვე მოპოებული თავისუფლების განმტკიცების პროცესია. ამ ომში ყოფილ მფლობელს მუდმი მეტი შანსები აქვს გამარჯვებისა. ამ მარტეს მოეპოება სრულყოფილი სახელმწიფო პარატი და მოწყობი-

ლი ძალა, მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე იმყოფება სახელმწიფო აპარატის და შეიარაღებულ ძალთა იმპროვიზაციის ხანაში. გამარჯვებული აჯანყებულნი მალე ივიწყებენ მომავალი ბრძოლის აუცილებლობას და განმეორებითი ომი მათ ხშირად მოულოდნელობად ატყდებათ თავზე. ეროვნული გატაცება ამ დროს უკვე განელებულია და პოლიტიკური ელემენტები ერის საგარეო საკითხს უკვე მეორე ხარისხოვან რიგში აყენებენ. აი ამ ვითარებაში წარმოებული განმეორებითი ომი იმსხვერპლებს ხოლმე უმეტეს შემთხვევაში განთავისუფლებული ერის არსებობას. აი ამიტომ ყველა ერმა, რომელსაც კი უწერია ცხოვრებაში ამ პროცესის განვლა, უნდა თავიდანვე კარგად გაითვალისწინოს ამ განმეორებითი ომის მომზადება. ესეთმა ომის წაგებამ იმსხვერპლა პოლონეთის თავისუფლება 1831 წლის აჯანყებით მოპოებული, ესეთივე იყო საქართველოს-თვის წაგებული მარაბდის ბრძოლა, რომელმაც იმსხვერპლა საკაძის აჯანყებით მოპოებული თავისუფლება. ესეთივე იყო საქართველოსთვის ერეკლე - ალა-მაჰმად-ხანის ომი. ერეკლემ ისარგებლა სპარსეთის არეულობით და გაანთავისუფლა საქართველო, მაგრამ ჭერ შესძლო მისი შინაური განმტკიცება სპარსეთის ხანგრძლივ არეულობის განმავლობაში. ალა-მაჰმად-ხანმა გააერთიანა თუ არა სპარსეთი, ახლად შეუდგა მისი საზღვრების აღდგენას და ეს ომი საქართველოს მოულოდნელად დაატყდა თავზე.

ესეთივე საბოლოო ანგარიშების გამასწორებელი იყო ჩვენთვის ჩვენი უკანასკნელი ომი. ეს ომი ჩვენ უეჭველად გვექნებოდა რუსეთთან, იმის და მიუხედავად, თუ ვინ იმეფებდა კრემლის ჭედლებში და ვინ გააერთიანებდა მას. ამ ომს ამზადებდა დენიკინი, ხოლო გაათამაშა იგი წითელმა გვეკრმა. ამ მხრივ ჩვენთვის ძლიერ საინტერესოა განახლებული პოლონეთის განთავისუფლების ისტორია. იგი შეიცავს ჩვენ უახლოეს წასულ ცხოვრების ანალოგიურ პროცესს მთელი მისი განმავლობით, დაწყებული განთავისუფლების კონსპირატიული მომზადებიდან და გათავებული განმეორებითი ომის სრულ გამარჯვებით დაგვირგვინებითა. ეს გარემოება პირდაპირ სამოსწავლო სარელმდლვანელოდ ხდის ჩვენთვის ამ ერის დიად ისტორიის ფურცლებს.

მე აქ მხოლოდ გაკვრით შევეხები პოლონეთის განთავისუფლების პროცესს, ეს დაწყერილებითა აწერილი ჩვენი გამოცემის პირველ ნაწილში. ჩვენთვის სპეციალურად საინტერესო და საჭიროა შესწავლა ამ თავისუფლების განმტკიცების პროცესის და მისთვის

წარმოებული მწვავე ბრძოლის — პოლონეთის 1920 წლის ისტორია.

საერთაშორისო ომი პოლონეთმა გამოიყენა თავისი ეროვნული ორგანიზაციისათვის და საკუთარი შეიარაღებული ძალების შესაქმნელად. სადაც კი მოიპოვებოდა რამოდენიმე პოლონელი და შემთხვევა აძლევდა მათ ორგანიზაციის საშუალებას, იმ წამსვე ირაზმებოდენ ეროვნულ სამხედრო ნაწილებად. ამის პირველი საშუალება მათ ავსტრიის ტერიტორიაზე მოიპოვეს და იქ შეიქმნა პოლონეთის პირველი ლეგიონები. რუსეთის რევოლუციის შემდეგ აქაც შეუდგენ სამხედრო ორგანიზაციას და ვხედავთ პოლონეთის ეროვნულ ნაწილებს უკვე კერძნების მთავრობის დროს. შემდეგ ეწყობიან პოლონური ნაწილები ციმბირში, კოლჩაკის ჯარის ზურგში, არხანგელსკის ფრონტზე და ჩერნში. აგრეთვე საფრანგეთში მყოფი პოლონური ემიგრაცია და გერმანიის ლაშქრიდან გადმოსული ტყვეები ჰქმნიან მძლავრ პოლონურ ლაშქარს, რომელმაც ხუთ დივიზიის რიცხვამდე მიაღწია, ხოლო ომის უკანასკნელ დღეებში პოლონეთის მთელი ტერიტორია შეკრულია კონსპირაციული სამხედრო ორგანიზაციის (პ. ი. პ.) მძლავრი ქსელით. ამ მუშაობის წყალობით ერთ ისეა მომზადებული, რომ პოლონეთის დამპყრობელთა ყოველგვარ წაბორძიკებას დაუყონებლივ იყენებს მთელის უაღრესობით ეროვნული აღდგენისათვის და თავისუფლების მოსაპოვებლად. მაგალითად, ჰაბსბურგების მონარქიის სულთბრძოლა დათწყო 1918 წ. 26 ოქტომბერს იტალიელთა შეტევის გამო და უკვე 28 ოქტომბერს სდგება კრაკოვში ავსტრიის სალიკვიდაციო კომისია, რომელიც უდგება გალიციის ტერიტორიაზე სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლების საკუთარ ხელში გადმოღებას. 1 ნოემბერს პოლონეთის პ. ი. პ. უფროსის პოლკოვნიკ რიძ-სმიგლის ( დღევანდელ შეიარაღებულ ძალთა გენერალური ინსპექტორი) ბრძანებით დაიწყო განიარაღება ავსტრიის ნაწილების, რომელთაც ეკავათ რუსეთის საზღვრების პოლონეთის ნაწილი. 11 ნოემბერს მოაწერეს გერმანელებმა ხელი ფოშის მიერ ნაკარახევ ზავის მძიმე პირბებს, ხოლო მათ ოკუპაციის ქვეშ მყოფ პოლონეთის ნაწილში კი უკვე 10 ნოემბერს იწყება გერმანელთა ჯარის განიარაღება; და თვით გერმანიაში, ბელარუსში, შობის დღეებში ატებილ მეზღვაურთა აჯანყების პარალელურად, 27 დეკემბერს იწყება პოლონელთა აჯანყება პოზნანში და მთელ მის რაიონში. მივიღოთ ეხლა მხედველობაში, რომ ყველაფერი ეს მომზადებული იქმნა ევროპის უძლიერეს სახელმწიფოთა ცნობილ უანდარმულ მტკიცე წყობილების სამფლობელოში, სადაც თითქმის ყოველ გვარი კონსპირაციული

მოძრაობა შეუძლებლად იყო ცნობილი, დავინახავთ, რომ საქმე შესაძლებლობის იდეალურ სიმაღლეზე იყო დაყენებული, არც ერთი წუთი არ იქმნა დაკარგული და ყოველი მდგომარეობა, თითქმის რომ საათით ხელში, იქმნა გამოყენებული.

ბრძოლა სწარმოებს ერთდროულად მთელ პოლონეთში, მის ყველა ნაწილში და კუთხეში. ამ მრავალ ალაგს ნაწილობრივ და ეროვნულ გატაცებით წარმოებულ ბრძოლას ჰკრავს და ერთ მთლიან მოქმედების სახეს აღლევს პილსუდსკის სამხედრო ორგანიზაცია — პ. ი. ვ. და მისი ლეგიონები. ეს საქმე ისეთ ძლიერ და ძირითად აღზრდაზე არის ნამყნევი, რომ ამ დროს თვით პილსუდსკი მაგდებურების ტყვეობაში იმყოფება და ამის მიუხედავად, მთელი მოძრაობა მისი სურვილის ხაზით მიდის და ყველასათვის ეჭვს გარეშე, რომ ეს მხოლოდ მისი მომზადებული საქმეა. 10 ნოემბერს ჩამოდის ვარშავაში განთავისუფლებული პილსუდსკი და მთელი პოლიტიკური აზროვნება ურყევლად და უკამათოდ ანიჭებს მას განუსაზღვრელ ხელისუფლებას. ამ ხანაში თავის ეროვნულ მთლიანობის აღდგენისათვის პოლონეთს უხდება ბრძოლა გერმანელებთან, აგსტრიელებთან, უკრაინელებთან, ლიტველებთან, ჩეხებთან, ბოლშევიკებთან და ერთგვარი შეხლა დენიკინთან; აქ გაკვრით უნდა ვაუსვათ ხაზი, რომ, როგორც ბოლშევიკები, ისე დენიკინი თანაბარ მტრობით უყურებენ პოლონეთს. ამ მოვლენას სპეციალურად უნდა მივაჭიოთ ყურადღება: რა საუცხოვო პარმონიაში იმყოფებიან ველიკოროსის ინტერესებთან, სხვაგან შეურიგებელი მინინ-ბოეარსკის და კარლ მარქსის დებულებანი. ჩვენ მიმართაც რუსეთის ამ ორ შეურიგებელ სახეს ერთი და იგივე ენა და გამოთქმა ჰქონდა. ამ განმათავისუფლებელმა ბრძოლამ გასტანა თითქმის მთელი 1919 წელი. ამ წლის ბოლოში პოლონეთმა მიაღწია უკვე თავის ეროვნულ საზღვრებს. ამ დროს თავის საგარეო პოლიტიკურ მოქმედებებში პოლონეთი აქტიურად ეხმარება შეიარაღებული ძალებით ყველა მეზობელ ერს, რომელიც კი იბრძების თავისუფლების მოპოვებისათვის. ეხმარება ლოტვას და აღმოსავლეთ უკრაინის პეტლურსა მთავრობას, მიუხედავათ იმისა, რომ ეროვნული მოძრაობის და საწყისში უკრაინელები ებრძოდენ პოლონეთს. პოლონეთის სასიცოცხლო ინტერესები თავის თავად მოითხოვდენ ამ ერთა თავისუფლებას და ამის გამო პოლონეთს ვერ შეეძლო ჩაკეტილიყო თავის ეროვნულ საზღვრებში. 1919 წლის მეორე ნახევრის პოლიტიკური მდგომარეობა პოლონეთის წინ ნათლად უსახავს რუსეთთან საბო-

ლოო ანგარიშების გამასწორებელ ომის სილუეტს. პოლონეთის დანარჩენი მფლობელნი გამოყვანილნი არიან ანგარიშიდან, ვინაიდან გერმანელებმა ზავი კაპიტულაციის ფასით იყიდეს, ხოლო ჰაბ-სბურგების მონარქია სრულის ფიზიკურის წესით ჩაბარდა საუკუნე განსვენებას და მის სხეულზე აღმოცენდა რამოდენიმე ახალი, ეროვნულ ნიადაგზე აშენებული სალი სახელმწიფო.

ბოლშევიკების შეიარაღებული ძალები ფეხ და ფეხ მოსდევენ სამშობლოსაკენ განწესებულ გერმანელთა ლაშქარს და იგი პოლონეთის ჯარმა უკუაღო ბრძოლით თავისი საზღვრების იქით. ამით ბრძოლა დროებით ამოიწურა, მაგრამ ეს ჯერ არ იყო ომის გათავება. პოლონეთის ხელისუფლება საუცხოვოდ ერჩევა მდგომარეობაში და ემზადება მომავალი ომის მისაღებად და თავის სახელმწიფოებრივი არსებობის შეიარაღებული ხელით განსამტკიცებლად. სარდლობას აქვს სახელმწიფოში ამ საქმის გატარების სათანადო ავტორიტეტი, ვინაიდან მისი მთავრობის სათავეში სდგას თვით მთავარსარდალი შეიარაღებული ძალებსა. იგი ამ პოლონეთის არსებობისათვის გარდამწყვეტ ბრძოლის ყოველივე წუთს მთელ თავის სახელმწიფო მანქანის ბრუნვას უფარდებს, და აქვს ამის საშუალება და სათანადო რწმენა ერისა.

ამ წლის ბოლოში პოლონეთის სარდლობა შეუდგა შეიარაღებული ძალების გადარაზმებას. ეს რეორგანიზაცია მისთვის აუცილებელი იყო. შეიარაღებული ძალა ამ დროს ძლიერ მრავალფეროვანი იყო და შეუდარებლივ სიჭრელით გამოიყურებოდა, როგორც შეიარაღების, ისე შემადგენლობის მხრივ. იმის და მიხედვით, თუ სად იქმნა ერთეული შედგენილი, საფრანგეთში, დასავლეთ თუ სამხრეთ პოლონეთში, სულ სხვა და სხვა გვარად გამოიყურებოდა მათი ორგანიზაცია. ნაწილებს არა აქვთ არავითარი თანაბრობა, პოლკი არ არის სხვა პოლკის ტოლი და დივიზია არ არის მეორე დივიზიის ტოლი. არსებობს ძლიერ დიდი რიცხვი სხვა და სხვა რაზმებისა და ჯგუფებისა. ასეულიც ჯგუფია, ათასეულიც ჯგუფია და პოლკის ოდენა რაზმიც ჯგუფია. მათი ძალის აღნიშვნა ძლიერ ძნელია და საშინლად აძნელებს შტაბების მუშაობას. ჩვენთვის ეს მდგომარეობა კარგადაა ცნობილი; ასევე ყველგან, სადაც შეიარაღებული ძალები სდგება აქარებით, თვით ბრძოლის პროცესში, როდესაც ყველა პატრიოტს აქვს სრული თავისუფლება და მთელი გასაქანი ამ ნიადაგზე მუშაობისა. ეს ის დროა, როდესაც ჩვენი შეიარაღებული ძალებიც ესევ გამოიყურებოდენ. გთხოვთ

მოიგონოთ ჩვენი ცნობილი „ატრიადები“ სხვა და სხვა განცალკევებული რაზმები და ბატალიონები\*).

ამ რეორგანიზაციის შედეგად პოლონეთის შეიარაღებული ძალა შესდგებოდა 21 ქვეითი ჯარის დივიზიიდან და 7 ცხენოსანი ჯარის ბრიგადიდან. საერთო რიცხვით 600. 000 აღწევდა. გარდა ამისა არსებობდა კიდევ ბევრი ამ ერთეულთა გარეშე მდგომი ნაწილები. ოუმც საერთო რიცხობრივი და ხარისხობრივი გათანასწორება გატარებული იქმნა, მაინც ერთეულთა შორის დიდი განსხვავება არსებობდა პირველ-დაწყებითი გაწრთვნის და ბრძოლის მეთოდების სხვადასხვაობისა გამო, ამისათვის სარდლობა გადავიდა ფრანგული მუშაობის მეთოდზე და შეუდგა ამ სისტემაზე გადაწროვნას უმცროს, უფროს და გენერალური შტაბის ოფიციალურისა. ამით იქმნა გათავებული 1919 წელი.

1920 წლის იანვრის პირველ რიცხვებში პოლონეთის ლაშქარი ეხმარება ლოტვას, მათთან ერთად უკუაგდებს აღმოსავლეთისაკენ ბოლშევიკებს და ფრონტი გადააჭის მდინარე სვინუხის და ოსვეის ტბის ნაპირებზე. ამის გამო პოლონეთის ფრონტი საგრძნობლად მოკლდება და ფრთაზე, ბოლშევიკების მაგივრად, მოკავშირე ჯარი უდგება. ამით თავდება 1919 წლის სამხედრო მოქმედებანი.

შეიარაღებული ძალებიდან ფრონტზე იმყოფება 16 ქ. დივიზია  
და 14 ცხ. პოლკი, დანარჩენი ნაწილები ჯერ ისევ სახელმწიფოს  
შიგნით იმყოფებიან. მომქმედ ლაშქარს შემდეგი ხაზი უკავია: —  
ჩრდილოეთიდან იგი მოსდევს მდინარეებს — დვინას, ბერეზინას  
და პტიჩს; შემდეგ მდინარე უბორცს, შემდეგ სამხრეთით მისდევს  
დაახლოვებით შეკეტუვა-ზვიაპელ-პლოსკირუვ (პროსკუროვო)-  
ტარნოპოლის რკინის გზას.

(იხილეთ ნახაზი № 1).

1920 წლის მოქმედებათა დაწყების შინ შეიარაღებული ძალა ხუთ ლაშქრად იქმნა დარაზმული; სახელდობრ: ჩრდილოეთის ნა-  
წილი ფრონტისა მდინარე ბერეზინის ნახევრამდე უკავია I ლაშ-  
ქარს; ფრონტის სამხრეთი ნაწილი უკავია ორ ლაშქარს — ვოლი-  
ნი II ლაშქარს, ხოლო პოდოლი VI-ეს. ფრონტის ეს ორი დიდი ნა-  
კოთი გაყოფილია შუაზე პოლესის გაუვალ ჭაობიან ტყეთა სივრ-

\*) როგორც მაგალითად: „შანიძეს სოტნია“, „აფხაზების ატრი-  
ადი“, „ჯაფარიძეს უჩენისეკი ბატალიონი“, „ფედერალისტების  
რაზმი“, და სხვა აუკრებელი ამგარი. (ავტორი.)

ცით. ეს სივრცე ამ ლაშქრების შესაერთებლად უკავია IV ლაშქარს. მტრულად განწყობილ ლიტვის საზღვრებზე მდგომი ნაწილები დარაზმული იქმნება VII ლაშქარად. III და V ლაშქარი არ არსებობდენ. დასავლეთის საზღვრები ამ დროს ანტანტის უმაღლეს საბჭოს საერთაშორისო ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა და სამხედრო მოქმედებათა უშუალო საგანს არ წარმოადგენდენ, თუმც ამ დროში ორი აჯანყება იქმნა გათამაშებული სილეზიაში. პოლონეთის მიერ დაკავებული ფრონტი უფრო შორს აღმოსავლეთით მიდის, ვიდრე ეს მოკავშირთა უმაღლეს საბჭოს უსიცოცხლო თეორიული ბასის საზღვრებით იქმნა აღნიშნული პოლონეთისათვის.

ევროპის საერთო პოლიტიკური მდგომარეობა იმ ქამად შემდეგი სახით გამოიყურებოდა. რუსეთში, ხანგრძლივი შინაური ომის შემდეგ, ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. მათი შინაურ მოწინააღმდეგეთა შეიარაღებული ძალები უკვე სამუდამოდ არიან დამარცხებულნი და მათი ლიკვიდაციის დღენი დათვლილია. ანტანტამ უკვე დაანება თავი რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას და თავის დატოვებულ ნადავლით დიდათ გააძლიერა ბოლშევიკების სამხედრო ძალები. ამ შინაურ გამარჯვებებმა კრემლის ბატონებს თვითრწმენა და თავგამოდება შეუქმნა; საუცხოვოდ ხედავენ, რომ მთავარ მოწინააღმდეგე ანტანტას ვერ შესწევს ძალა ყველაფრის კარნახისათვის და, რომ იგი შეურიგდება ძალით შექმნილ ყოველ გვარ ფაქტიურ მდგომარეობას. ამ დროს ჰუნგრეთი ჯერ კიდევ ვერ გამოსწორებულა კომუნისტ ბელაკუნის მეფობის შედეგებიდან, ხოლო გერმანეთი აბობოქტებულ სტიქიას წარმოადგენს, სადაც ხელისუფლებას მძლავრად ეხეთქებიან და არხევენ მემარჯვენ და მემარცხენ (კომუნისტური) ელემენტები. იტალია ერთი მხრივ განიცდის ძლიერ ეკონომიურ კრიზისს, მეორეს მხრივ მემარჯვენ ელემენტები ძლიერ უკამყოფილონი არიან ზავის პირობებით. შინაური მდგომარეობა ძლიერ გამწვავებულია და ვერ ხერხდება მისი სტაბილიზაცია, მით უფრო, რომ ძლიერ აქტიურად მოქმედებენ ადგილობრივი კომუნისტები. უფრო მძიმე და არეულ მდგომარეობას განიცდის დამარცხებული ავსტრია. ბოლოს და ბოლოს მთელი ევროპა ერთ აფორიაქებულ სივრცეს წარმოადგენს, სადაც სახელმწიფოთა უმეტესი რიცხვი, შინაგან წყობილების უმწვავეს კრიზისს განიცდის. კრემლი გრძნობს, რომ მას საუცხოვოდ შეუძლია იქ დასავლეთ ევროპის და ამით მთელი ქვეყნის საკუთარ სურვილის თანახმად გადალაგ - გადმოლაგება. აი ამ გზაზე მას ეღობება ახლად

აღმოცენებული პოლონეთის რესპუბლიკა. კრემლი ჰერხნობს ამას და ჰკრეფს ძალებს ამ კედლის გასარღვევად. კაცობრიობის წინ ახლად იქრება ნაპოლეონის მიერ დასმული მკვეთრი კითხვა: „ნუ თუ ევროპა ყაზახური უნდა იქმნეს?“. და ამ საკითხის გადაწყვეტა მოელი თავისი სიმძიმით ახალ, აღდგენის პროცესში მყოფ პოლონეთის აწვება კისერზე. გადახედეთ ბატონებო მახლობელ აღმოსავლეთის რუქას და დაინახავთ, ვის აწვა კისერზე ამ საკითხის გადაწყვეტის მეორე ნაწილი.

ჩამოთვლილ მდგომარეობის გამო, ბოლშევიკებისათვის შინაური, ლიკვიდაციის ხანაში მყოფ, ფრონტმა მეორე ხარისხოვანი ალაგი დაიკავა და პირველ ალაგზე პოლონეთის ფრონტი აღიმართა. აქეთ-კენ დაიწყეს მათ თავიანთი ძალების შეჯგუფება 1920 წლის გაზაფხულის დასაწყისში. პოლონეთის მთავრობა საუცხოვოდ ხედავს და აფასებს მდგომარეობას და დინჯად და აუჩქარებლივ ემზადება მომსვალ მძიმე ომისთვის, რომლის გატარებაც საკუთარ ინიციატივის თანახმადა სურს.

მოსკოვი უკვე 1919 წლის დამლევს შეუდგა ყველა თავისი შინაური ბრძოლებისაგან განთავისუფლებულ ძალების პოლონეთის წინააღმდეგ გადმოყვანას, მაგრამ მეორეს მხრივ ამ შეჯგუფების განმავლობაში ორჯერ შესთავაზა პოლონეთის ზავი. ეს ისეთ პრიმიტული კვანტის სახით იქმნა გათამაშებული, რომ პოლონეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობისათვის სრულიად აშკარად მოსჩანს რუსეთის სურვილი კონცენტრაციის დინჯად გათავების საშუალების მოპოებისა და დასავლეთ ევროპის წინაშე თავის მომგერიებელის როლში გადმოყვანისა. ესეთი მოქმედება ამ სახელმწიფოს ეროვნული კვანტია, რომელსაც იგი განუწყვეტილი ხმარობს დაწყებული ითანე მრისხანედან, ხოლო მის უალრესად გამოყენებას და განხორციელებას ლენინის მთავრობა ახერხებს. საქართველომ პეტრე დიდის და ვახტანგ მეექვეს კავშირის შემდეგ რამოდენჯერმე გამოსცადა ამ კვანტის სხვა და სხვა ვარიანტის სიმწარე, მაგრამ აქაც რეკორდი ლენინის ველიკოროსიულ ეროვნულმა მთავრობამ დაიკავა.

როგორც უკვე აღვნიშნე, პოლონეთის მთავრობას და მას სარდლობას არ ჰქონდა სურვილი მდგომარეობის გულხელდაკრეფილ ყურებისა და გარდამწყვეტი სამხედრო გათამაშების პოწინააღმდეგ გის ინიციატივით გატარებესა. მან გადასწყვიტა თაონვე დაეწყო

აქტიური მოქმედება, სანამ მოწინააღმდეგე გაათავებდა თავის მომზადებას.

მტერს ორი მიმართულებით შეეძლო სამხედრო მოქმედების ფართო მაშტაბით დაწყება. ერთი იყო პოლესის სამხრეთი მყოფი ნაწილი. აქ უკრაინიდან ვოლინით, მოწინააღმდეგე სამხრეთიდან უვლიდა პოლესის სივრცეს და გადმოდიოდა ცენტრალურ პოლონეთში; ამ თრი მოქმედების შეერთება შეიძლებოდა მხოლოდ მდინარე ბუგის დასავლეთით.

მეორე მიმართულება ფრონტის ჩრდილოეთ ნაწილით მოდიოდა ვილნო-ბაიალისტოვის მიმართულებით, ლიტვის და გერმანეთის საზღვრების გასწრივ. ამ მიმართულებით მოწინააღმდეგე ჩრდილოეთიდან უვლიდა პოლესის რაიონს და გამოდიოდა ცენტრალურ პოლონეთში; ამ თრი მოქმედების შეერთება შეიძლებოდა მხოლოდ მდინარე ბუგის დასავლეთით.

მტერი თავისი ძალების უმთავრეს ნაწილს პოლონეთის წინააღმდეგ, დენიკინის ფრონტიდან გზავნიდა. ე. ი. სამხრეთიდან, კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილიდან. ამით ცხადი იყო, რომ იგი თავის სამზადის უფრო ადრე გაათავებდა პოლონეთის სამხრეთ ნაწილში — უკრაინაში. გარდა ამისა, უკრაინაში პოლონეთის ჯარის გამარჯვებით იბადებოდა ახალი მოკავშირე სახელმწიფო დიდი უკრაინის სახით, რაც მდგომარეობას ძირიანად სცვლიდა პოლონეთის სასარგებლობა. აი ამ მოსაზრებათა გამო პოლონეთის სარდლობამ გადასწყვიტა რუსებზე ადრე დაეწყო თავისი აქტიური მოქმედება ფრონტის სამხრეთ ნაწილში (უკრაინის ტერიტორიაზე).

ამ დიდი ოპერაციის დაწყების წინასწარ პოლონეთის სარდლობამ გაატარა გარტში პატარა მომზადებითი მოქმედება. სახელდობრ: რუსეთის ზემოდ-აღნიშნული შეტევის ორ მიმართულებას აერთებდა ახლო ზურგში ფრონტის პარალელურად მიმავალი ორშა-კორსტენ-უიტომირ-უმერინკის საროკადო რკინის გზა. ამ გზით მოწინააღმდეგეს, შედარებით ადვილად შეეძლო თავისი ძალების ერთ მიმართულებილან მეორეზე გადაჯეოდება. ამ გზის გადაჭრით უახლოეს საროკადო გზად რჩებოდა მოწინააღმდეგეს მხოლოდ დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირით მიმავალი პომელ-ბახმაჩ-კიევის გზა. აი ეს კორსტენ-უმერინკის რკინის გზა გადაჭრილი იქმნა პოლონელების მიერ კალინკოვიჩის რაიონის დაკავებით. ამით გათავდა გადამწყვეტი ოპერაციის წინასწარი მომზადებითი მოქმედება.

როდესაც პოლონეთის სარდლობა უკვე ათავებდა უკრაინის ფრონტზე შეტევის მომზადებას, გამოირკვა, რომ მოწინააღმდეგე

თავის ძალთა უმთავრეს ნაწილს ჩრდილოეთის ფრონტზე აჯგუფებს, და აქ უფრო ადრეა მოსალოდნელი მისი შეტევის დაწყება. უკრაინას ფრონტზე პოლონეთის სარდლობას უკვე გათავებული აქვს შეტევის გამზადება. აქედან ჩრდილოეთის ფრონტზე ჯარის გადაჯუფებს იმდენი დრო სჭირია, რომ რუსების შეტევას ვეღარ წაასწრობს და ინიციატივა მოწინააღმდეგეს ხელში დარჩება. ამავე დროს უკრაინის ფრონტის შესუსტებით აქაც ინიციატივა მტერს ჩაუვარდებოდა ხელში. ამ მოსაზრებით პოლონეთის სარდლობამ არ მოისურვა ინიციატივის დათმობა და გადასწყვიტა უკრაინის ფრონტზე შეტევაზე დაუგვიანებლივ გადასულიყო.

ამ ფრონტზე რუსეთის ორი ლაშქარი იდგა. XII ლაშქარი, რომელიც ეყრდნობოდა კოროსტენ-კიევის რეინის გზას და XIV, დაყრდნობილი უმერინკა-ოდეგის ლიანდაგზე. აერთიანებდათ მათ კოზიატინის კვანძი კიევ-უმერინკა და უმერინკა-კოროსტენის რკინის გზებისა. (იხილეთ ნახაზი № 2). ამ ფრონტს პოლონეთის სარდლობამ შეუტია სამ ლაშქრად დარაზმულ 8 ქვეითი ჯარის დივიზიით, 1 ცხ. დივიზიით და 2 ცხ. ბრიგადით. ეს ოპერაცია მთავარ სარდალმა პირადი ხელმძღვანელობით გაატარა, ხოლო მთავარი ამოცანა, ახლად შექმნილ მესამე ლაშქრის უფროს გენ. რიძ-სმიგლის დაავალა. შეტევა დაიწყო 25 აპრილს. მოპირდაპირის ლაშქრები გაყოფილ იქმნენ პოლონელების მიერ ჟიტომერ-კოზიატინის რაიონში შეჭრით, რის შემდეგ ორი ფრთიდან კონცენტრაციული შეტევით უკუგდებულ იქმნა მტრის მე-XII-ე ლაშქარი, რომელსაც უკან დასახევი გზა გადაუჭრა ცხენოსანმა ჯარმა. რუსებმა გაარღვიეს უკან დასახევი გზა და დიდის ზარალით დაიხიეს კიევისაკენ. ამ მოქმედების განვითარებასთან ერთად პოლონელების VI ლაშქარი უტევს ბოლშევიკების XIV ლაშქარს და გამოდის უმერინკა-ვინწიციის რაიონში. აქ შეგროვილი ცნობების თანახმად, რუსები ემზადებიან კიევის რაიონში ბრძოლის საწარმოებლად, ამისთვის სარდლობამ გააძლიერა III ლაშქარი და დაავალა მას დნეპრის დასავლეთ ნაპირის დაპყრობა მდინარე პრიპეცის და კრასნოს შუა, ხოლო თვით კიევში მას უნდა აღედგინა ხიდები და დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირზე დაეკავებინა ხიდის საფარი. დანარჩენ ორ ლაშქარს დაევალათ კიევის გალაშქრების სამხრეთიდან დაფარვა. 9 მაისს პოლონელები უბრძოლელად იკავებენ კიევს და აქ ირკვევა, რომ რუსებმა უკან დახევით აიცილეს თავიდან უხერხული და სახიფათო ბრძოლა და იცავდენ მხოლოდ დნეპრის მარჯვენა ნაპირს კიევის

რაიონში. აქ გადაწყვეტილი იქმნა დნეპრის ნაპირის მოგერიებითი დაცვა, ხოლო II ლაშქრით სამხრეთისაკენ გალაშქრება, მაგრამ ამ დროს საერთო ფრონტის ჩრდილოეთ ნაწილში მომხდარმა ამბებმა სულ სხვა მიმართულება მისცა მოვლენათა შემდეგ განვითარებას.

ამავე დროს ჩრდილოეთის ფრონტზე რუსები მთელი ოვის განმავლობაში ძალთა შეგროვებას აწარმოებენ და ამზადებენ დიდ გარდამწყვეტ ხასიათის ოპერაციას. პოლონეთის სარდლობამ გადასწყვიტა აქაც დაასწროს მოწინააღმდეგეს. განზრახულ იქმნა 17 მაისს შეტევის დაწყება პოლესის ჩრდილოეთ რაიონიდან. აქედან უნდა გამოსულიყო ოთხი დივიზიის შეტევა (ამ რიცხვში ერთი დავიზია უკრაინის ფრონტიდან იყო გაღმოყვანილი). რუსების, მინსკზე შესატევად მზადებაში მყოფ, ნაწილების ზურგის მიმართულებით. მაგრამ უკვე გვიან-ლა იყო; 14 მაისს დაიძრა რუსების შეტევა. მათ განზრახვა ჰქონდათ უკუეგდოთ პოლონეთის ჯარი პოლესის ჭაობებზე და აქ გაენადგურებიათ იგი. ამ განზრახვით 14 მაისს დაიძრა რუსების ექვს ქ. ჯარის და ერთ ცხ. ჯარის დივიზიის შეტევა ლეპელის რაიონიდან პირდაპირ დასავლეთის მიმართულებით. ამავე დროს ამაზე სუსტი ჯგუფი უტევს პოლონელებს ჩრდილოეთიდან ლოტვის და ლიტვის საზღვრების გასწრივ. (ლოტვა ამ დროს საზაო მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთთან, ხოლო ლიტვა პოლონეთისადმი აშკარად მტრულ განწყობილებაში იმყოფებოდა).

### (იხილეთ ნახატი № 3).

აი ეს შეტევა ეკვეთა პოლონეთის I ლაშქარს, რომელსაც ხაზში სულ ორი დივიზია ჰყავდა. მისმა აღგილობრივმა კონტ-შეტევებმა შედეგები ვერ მოიტანეს, ხოლო მაშველად მოსული ახალი დივიზია ბრძოლაში ნაწილობრივ შთანთქა. I ლაშქარმა დაიწყო უკან დახევა. მისი მთავარი ძალები სამხრეთის მიმართულებით, მოლოდენბიზე იხევდენ; ხოლო ერთი ნაწილი დასავლეთისაკენ. შეტევის მეოთხე დღეს რუსების მთავარი ძალები შემოტრიალდნ სამხრეთისაკენ და მიმართულება მოლოდენბიზე აიღეს, რომ აქედან პოლონეთის ჯარი უკუეგდოთ პოლესის ჭაობებზე. ამავე დროს ამოქმედეს სამხრეთის სამხრეთი ნაწილიც და დაიწყეს შეტევა მინსკის მიმართულებით. მაგრამ, მაისის ბოლო რიცხვებში, პოლონელების წინააღმდეგობა ნელ ნელა მძლავრდება, ბრძოლაში მონაწილეობას იღებს სამხრეთიდან გაღმოყვანილი ახალი დივიზიები და ბოლშევიკების შეტევა ნელდება და შემდეგ ჩერდება. ამ

შეტევის შედეგში მოწინააღმდეგე ტომარის სახით შეიჭრა პოლონელების ფრონტში. ეს მდგომარეობა გამოიყენა პოლონეთის სარდლობამ და 1 ივნისს შეუტია მოწინააღმდეგეს ორი ფრთიდან: მის მარჯვენა ფრთას ოთხი ქვეითი დივიზიით და ერთი ცხ. ბრიგადით, ხოლო მარცხენა ფრთას ორი დივიზიით. მტერი უკუგდებულ იქმნა მდინარე აუტას და ბერეზინის ნაპირზე, სადაც პოლონელებმა ფრონტის გამაგრება დაიწყეს.

ჩრდილოეთის ფრონტის ამ მოვლენებმა აიძულეს პოლონეთის სარდლობა შეემცირებინა თავისი ძალები უკრაინის ფრონტზე. ამის გამო აქ განზრახული შეტევითი ოპერაცია ვეღარ იქმნა სისრულეში მოყანილი. მოწინააღმდეგემ ზიანის შესავსებად თავისი XII ლაშქარი კიევის ომოსავლეთით დასწია და საბრძოლო შეხებას მხოლოდ კიევის ხიდის საფართან იჭერდა. ამ მდგომარეობაში უცდიდა იგი ბუდიონის ცხენოსან ლაშქრის დენიკინის ფრონტიდან სალაშქრო წესით ჩამოსვლას.

პოლონეთის სარდლობას ამ დროს უკრაინის ფრონტზე მხოლოდ ორი ლაშქარი-და ჰყავს — III ლაშქარი კიევის რაიონში დაყენებული ფრონტით ომოსავლეთისაკენ, და მის მარჯვნივ VI ლაშქარი, დაყენებული ფრონტით სამხრეთისაკენ, ოდესის მიმართულებით. ბოლშევიკების სარდლობამ მიზნად დაისახა კიევის (მე-3 ლაშქრის) განადგურება. მაისის უკანასკნელ დღეებში ბუდიონის ცხენოსანი ლაშქარი ეკვეთა პოლონელთა VI ლაშქრის მარცხენა ფრთის დივიზიას. შეტევას აწარმოებდა ოთხი დივიზია და ერთი ბრიგადა ცხ. ჯარისა. მიუხედავათ პირველი მარცხისა და დიდი ზიანისა, ამ დივიზიამ მკაცრი წინააღმდეგობა გაუწია მოწინააღმდეგეს და ხაზი უცვლელად შეირჩინა, მაგრამ ამ წინასწარმა ბრძოლამ შთანთქა მთელი თავისუფალი მაშველი პოლონელთა სარდლობის. 5 ივნისს რუსების ოპერაცია მთელი თავისი ძალით იწყება; რუსების XII ლაშქრის ერთი ნაწილი უტევს პოლონელთა კიევის ლაშქარს ქედაროდან, ხოლო მისი უმეტესი ნაწილი კიევის ჩრდილოეთით ლახავს დნეპრს და უტევს მოწინააღმდეგეს ზურგს ბოროდზიანკის მიმართულებით. ჩამავე დროს (იხილეთ ნახაზი №4) რუსების XIV ლაშქრიდან გამოყოფილი იაკირის ჯგუფი ლახავს დნეპრს კიევის სამხრეთით ბიალი ცერკვის რაიონში და ხვასტოვის მიმართულებით მეორე ფრონტიდან უტევს კიევის ლაშქარს. ამ კონცენტრიულ შეტევასთან ერთად ბუდიონი მთელი თავისი ლაშქარით უტევს პოლონელების III და VI ლაშქართა ბლანდს, არღვევს მას, გამოდის

მესამე ლაშქარის ზურგში და იპყრობს ბერდიჩოვის და უიტომერის რაიონს. აქ მან მიიღო ბრძანება, რომ ზურგიდან შეეტია კიევის ლაშქარისათვის; ამისთვის შემობრუნდა აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ ბოლოს ირჩია ქალაქების აღება, შეტრიალდა ახლად და იხუვლა დასავლეთისაკენ. აქ მან პირველად იჩინა მოქმედების ერთგვარი ხასიათი, რომელიც ბოლშევიკებს ბოლოს ძლიერ ძვირად დაუჯდათ. კიევის ლაშქრის უფროსმა პირადათ გადასწყვიტა, რომ დარჩენილიყო კიევის რაიონში და აქ დნეპრის დასავლეთ ნაპირზე ეჭარმოებინა მოგერიება; მთავარ სარდალის სურვილი კი იყო, რომ III და VI ლაშქართ დასავლეთისაკენ კონცენტრიული შეტევით მოესპონ ბუდიონის ცხენოსანი ლაშქარი. ამისათვის უკარნახა III ლაშქარის უფროსს, რომ დაეხია უიტომირის მიმართულებით. კავშირის უქონლობის გამო III ლაშქარმა უკან დახევა მხოლოდ 10 ივნისს დაიწყო. ამ დროს უიტომერი უკვე მტრის ხელში იყო და ამის გამო მესამე ლაშქარი იძულებული იქმნა დაეხია კოზიატინის მიმართულებით. აქაც გზა უკვე გადაჭრილი იყო და იძულებული იქმნა ბოროდზიანკასთან დასავლეთისკენ გზა ბრძოლით გაერღვია. აქ იჩინა თავი ბუდიონის შეცდომამ, რომ მან მიზნად გეოგრაფიული პუნქტები ამოირჩია და მტრის ცოცხალ ძალებს კი გულმოდგინედ აუქცია.

III ლაშქარმა დიდი სივრცე დასტოვა, მაგრამ მტრები ვერ მოახერხა მისი განადგურება და ვერც დამარცხება; მიუხედავათ ამისა ინიციატივა მტრის ხელში იყო და უკან დახევა გრძელდებოდა. ეს უკან დახევა გაგრძელდა კიევზე შეტევის წინ დაკავებულ ხაზმდე. აქ პოლონეთის სარდლობამ სცადა ინიციატივის ხელში ჩაგდება და ბუდიონის ლაშქარის მოსასპობად შეტევაზე გადასვლა. დასაწყისში ამ მოქმედებამ ადგილობრივ წარმატებასაც მიაღწია მაგრამ მოწინააღმდეგის მიერ მარცხენა ფრთაზე წარმატების მოწოდებამ, ხოლო მეორეს მხრივ ბუდიონის მიერ ახლად ფრონტის გარღვევამ აიძულა პოლონელები დახითათ რუვნოს (როვნო) რაიონამდე. აქ უკვე ერთეულებს ეტყობათ ფსიხიკური გავლენა მოწინააღმდეგის მოქმედებისა. ივნისის ბოლო რიცხვებში მთელი უკარიინის ფრთაზე განაგრძობს უკან დახევას. მის გარეშე III და VI ლაშქრები შედარებით ნელა იხევნ, მაგრამ შუაში ახლად შექმნილი II ლაშქარი, რომლის წინაც ბუდიონი მოქმედებს, ლრმად შეზნევილია დასავლეთისაკენ. ამ რაიონში ფრთაზე ახალი უფროსი გენ. რიბ-შმიგლი ახლად ეცადა შეტევაზე გადასვლას და ბუდიონის ლაშქრის მოსპობას, მაგრამ ვერც აქ მოხერხდა ამის მიღწევა. 5 ივნისს ბუდიონი იკავებს რუვნოს და ამით პოლუკებს საშუალე-

ბას პოლონელების VI ან II ლაშქრის ზურგში გამოსვლისა. ამის გამო გადაწყვეტილ იქმნა უკან დახევის გაგრძელება ისე, რომ VI ლაშქარმა დაპფაროს ლვოვის მიმართულება, ხოლო II კოველის მიმართულება. III ლაშქარმა სარნის მიმართულებით დაიხია. უშუალო კავშირი II და VI ლაშქართა შუა გაწყვეტილი იქმნა. 10 ივლისს პოლონელთა ნაწილებს უკვე მდინარე სტირის და ზბრუჩის ხაზი უკავიათ.

ამ დროს ჩრდილოეთის ფრონტზე უფრო დიდი მნიშვნელობის მოქმედებანი მძვინვარებენ. მიუხედავათ თავის პირველი დამარცხებისა, რუსეთის სარდლობას და მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სწორეთ აქა სურთ ომის ბედის გადაწყვეტა და მის გენერალურ ბრძოლის გათამაშება. აქ სურთ მათ მოწინააღმდეგისათვის სასიკვდილო კვეთების მიძღვნა; აქ ხედვენ ისინი უახლოეს გზას ევროპის აფორიაქებულ პოლიტიკურ სცენაზე გამოსასვლელად, ამ მიმართულებით ყველაზე მაღლ შეუძლიათ მათ დამარცხებულ სხელმწიფოთა შუა გულში გამოსვლა. სადაც მათ ყველაზე კარგი ნიადაგი ეგულებათ თავის მოქმედებათა გასამტკიცებლად — ეს ცენტრალური ევროპა და ნამეტნავად, მაშინ ბოლშევიკებისათვის სიმპატიური, გერმანეთი. აქ 4 ივლისს დილით შეუტია პოლონელებს ჩრდილოეთიდან რუსების ორმა ლაშქარმა. და იმავე დღეს ამოძრავდა მთელი დანარჩენი ჩრდილოეთის ფრონტი. ბოლშევიკების ჩვიდმეტი ქ. ჯარის ორი დივიზია და ორი ბრიგადა ცხენოსანი ჯარისა, ოთხ ლაშქრად დარაზმული, ეკვეთა პოლონელების სამ ლაშქრად. დარაზმულ ქვეითი ჯარის ათ დივიზიას და ორ ბრიგადას და ცხენოსანი ჯარის ერთ ბრიგადას. პოლონელების აღგილობრივმა კონტრშეტივებმა ვერავითარი შედეგები ვერ მოიტანეს და შთანთქეს მთელი თავისუფალი მაშველი ფრონტის უფროსისა. უკვე შეტევის პირველ ორ დღეში ჩამოყალიბდა მოწინააღმდეგის სურვილი: იგი მძლავრად უტევდა პოლონეთის I ლაშქრის ორივე ფრთას (იხილეთ ნახაზი №5). ამ ლაშქრის უფროსი უკვე 5 ივლის იქმნა იძულებული დაეწყო უკან დახევა, რომელიც ორი მიმართულებით მიღდნარებდა. მთავარი ძალები იხევნ სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოლოდეჩინზე, ხოლო ორი დივიზია დასავლეთისაკენ ვილინს მიმართულებით. ეს ის დღეა, როდესაც ბულიონიმ რუვნო დაიკავა და პოლონეთის მთელი ფრონტი ლოტვიის საზღვრიდან რუმინეთის საზღვრამდე უკან იხევს. უკვე მთავარსარდლობისათვის

ცხადი შეიქმნა, რომ ადგილობრივი კონტრ-შეტევანი და უკან და-  
 ხევა მტრის უშუალო წნევის ქვეშ არავითარ შედეგს არ მოიტანს.  
 ამისათვის მან განიზრახა ჩამოშორდეს მოწინააღმდეგებს, შესწყვი-  
 ტოს მასთან საბრძოლო შეხება, გადააჯგუფოს ძალები ახალ წი-  
 ნაღმდევობის ხაზზე და აქედან დაიწყოს რაღიკალური ხასიათის  
 ოპერაცია. ამ მიზნისთვის ამორჩეული იქმნა გერმანელთა ყოფილი  
 ფრონტის ხაზი ვილნო-ლუნინეცის სიცრცეზე. მაგრამ ამ სიცრცეზე  
 ვერ მოხერხდა მტერთან შეხების შეწყვეტა, მაშველი დახარჯული  
 იქმნა ამ ხაზზე გადმოსცვლამდე; და მაშინ, როდესაც პოლონელების  
 IV ლაშქარი ამ ხაზის ორი-სამი დღის მანძილის წინ იბრძოდა, მის  
 მარცხნივ მდგომი I ლაშქარი უკვე ცილდებოდა ამ ხაზს. მას ჩრდი-  
 ლოეთიდან შემოუარა რუსების IV ლაშქარმა და 14 ივლისს მარც-  
 ხენა ფრთიდან შეტევით გაის ცხენოსან კორპუსმა ვილნო დაიკავა.  
 როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ხდება მაშინ, როდესაც სამხრეთით  
 პოლონელების IV ლაშქარი ამ ხაზზე ჯერ არც კი გადმოსულა. აქ  
 უნდა აღინიშნოს, რომ აქედან დაწყობილი თვით გარშავამდე მტე-  
 რი პირდაპირ სიჯიუტით, მთელ თავისი წინსვლის განმავლობაში,  
 მთელის დაუინებით უტევს პოლონელების მარცხენა ფრთას, ჯერ  
 ლიტვის საზღვრების და შემდეგ გერმანელების საზღვრების გასწ-  
 რივ. აქ აშკარად გამოიყურება რუსების განზრახვა: უკუაგდოს პო-  
 ლონეთის ჯარი პოლესის ულრან ჭაობებზე და ოუ ეს ვერ მოხერ-  
 ხდა, ამ პოლესის სამხრეთიდან გამომავალ უკრაინის ფრონტის წინ-  
 მავალ ლაშქრებზე. გერმანელთა ყოფილი ფრონტის ხაზის გადმო-  
 ლახვის შემდეგ პოლონეთის სარდლობამ განიზრახა მდინარე ნე-  
 მანის და შჩარის ხაზზე გამაგრება და აქედან გადასცვლა შეტევაზე.  
 ვერც ამ ხაზზე მოხერხდა ფეხის მოკიდება. მაშინ, როდესაც პო-  
 ლონელების ნაწილები ეფარებოდენ ნემანის ხაზს, გაის ცხ. კორპუ-  
 სმა, რომელიც გამუდმებით უვლიდ პოლონელების მარცხენა ფრთას,  
 19 ივლისს მოულოდნელი შეტევით გროვნო დაიკავა და ამით პო-  
 ლონელების მარცხენა ფრთაზე ნემენის ხაზი გადმოლახა. გარდა  
 ამისა 21 ივლისს ქლაქ კლონიმთან გადმოლახულ იქმნა ამ ხაზის  
 მარჯვენა ფრთაზე მდინარე შჩარაც. ამ დროს საერთო მდგომარე-  
 ბას ერთი ფსიჩიკური მოვლენა დაეტყო: სამხრეთ ფრონტზე, მიუ-  
 ხედავათ უკან დახევთა, „ბუდიონიალის“ ფსიხოზი თავდება, ფრო-  
 ნტი მაგრდება და ნაწილების წინააღმდეგობის ვარგისობა იზრდება  
 და ძლიერდება. ჩრდილოეთის ფრონტზე წინაუმოდ, ნაწილებს ეტ-  
 ყობათ ერთგვარი ხალისის დაკარგვა და ვარგისობის დაცემა. პო-  
 ლონეთის სარდლობამ გადასწყვიტა თავის განზრახვის განხორცი-

ელებას მდინარე ნარევის და ბუგის ხაზიდან შეუდგეს, ხოლო ამ ხაზზე ფეხის მოსაკიდებლად აუცილებლად სცნ ძალების სამხრეო ფრონტიდან გადმოყვანა, ამისთვის კი გადასწუვიტა შეეტია ბუდიონისათვის, რომ იგი დროებით მაინც გაუმზნევიანებინა.

ბუდიონი რუვნოს აღების შემდეგ, სამხრეთისაკენ გაეშურა, ამ დროს ქალაქ ბროდის რაიონში იმყოფებოდა, ლვოვისაკენ მიერკებოდოდა და რავერუსკას და ლვოვის რკინის გზის გადაჭრის ლამობდა. აქ მას პოლონელებმა სათანადო გადაჯგუფების შემდეგ ორთავე ფრთაზე შეუტიეს და უკუაგდეს. ბუდიონის ჯარმა უკან დახევა დაიწყო და პოლონელების მოქმედებას სერიოზული გამარჯვების სახე მიეცა. ამ დროს, 1 აგვისტოს, ბოლშევიკები იპყრობენ ბრესტს (ბრესტ-ლიტოვსკი) მდინარე ბუგზე. პოლონეთის სარდლობისათვის ეს მოვლენა მოულილდნელი იყო. ამით გახსნილ იქმნა სამხრეთ ფრონტის მარცხენა ფრთა, რის გამოც სარდლობა იძულებული შეიქმნა უკან დაეწია თავის II ლაშქარი (უკრაინის ფრონტისა). ამ რადიკალურ ცვლილებებმა გადახაზეს ბუდიონის წინააღმდეგ ასე კარგად დაწყებული შეტევა და ეს შეტევა შეჩერებულ იქმნა. მიუხედავათ ამისა მას მაინც დიდი შედეგი მოჰყვა: ცენოსანი ლაშქარი უკუაგდებულ იქმნა, აღდგენილ იქმნა ტაქტიკური კავშირი VI ლაშქართან, და ამან საბოლოოდ გარდაქმნა უკვე გამაგრებული სულიერი ღირსება მებრძოლთა, რომელიც ხანგრძლივ დახევის შემდეგ ერთგვარ შერხევას განიცდიდა. როგორც უკვე აღნიშნეთ, ნარევ-ბუგის მარჯვენა ფრთაზე 1 აგვისტოს ბოლშევიკებმა ბრესტი დაიკავეს, ამავე ხაზის განაპირა მარცხენა ფრთაზე გაის ცენოსან კორპუსმა 3 აგვისტოს ქალაქი ლომეუ დაიკავა და მეორე დღეს ოსტროვენკას მიადგა. ამით ნარევ-ბუგის ხაზიდან ძირითად მნიშვნელობის ოპერაციის დაწყება შეუძლებელი შეიქმნა; ამის გამო მთავარ სარდალმა დაადგინა: გარდამწყვეტ ბრძოლის მდინარე ვისლაზე გაცემა. ხოლო ამ ბრძოლისთვის სათანადო გადაჯგუფების ჩასატარებლად და მისთვის სათანადო დროის მოსაგებად, მოისურვა მოწინააღმდეგის ამ ხაზზე, რაც შეიძლება მეტი ხნით დაგიინება. ამ მოსაზრებით პოლონელები, მიუხედავათ იმისა, რომ ეს ხაზი ფაქტიურად უკვე ორთავე ფრთიდან შემოვლილი იყო, მტერს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდენ. ამ სახით სარდლობამ მოიგო დაახლოვებით ერთი კვირა დრო; გარდა ამისა, ხანგრძლივი უკან დახევის შემდეგ, ამ ფრონტზე ეს პირველი სერიოზული და შედეგიანი შებრუნვა იყო უკვე გალალებულ მოპირდაპირის წინააღმდეგ. ამ გარემოებამ, ისევე როგორც სამხრეთ

ფრონტზე, პოლონელთა ლაშქარში სულიერი გარდაქმნა გამოიწვია, ასწია თვითმცნება და შემდეგ ბრძოლისათვის ხალისი დაუბადა.

ამ ბრძოლის განმავლობაში 5-6 ავგისტოსთვის მთავარსარდალმა უკვე ჩამოაყალიბა თავისი განზრახვა და შეუდგა ბუგის ხაზის მოსაზრებულ დატოვებას და გენერალურ ბრძოლისთვის ჯარის გადაჯგუფებას.

ესე გამოიყურებოდა მდგომარეობა ოპერაციული თვალსაზრისით, რომელსაც იცნობდა მხოლოდ სამხედრო ხელმძღვანელობის განსაზღვრული წრე. მაგრამ როგორ ხედავდა ამ მდგომარეობას და როგორ აფასებდენ მას პოლონეთის ფართო საზოგადოება და ეპოპის მაშინდელი ბედის გარდამჟყვეტი ელემენტები.

ხანგრძლივი უკან დახევა და მარცხი პოლონების საზოგადოებას ნელ ნელა ართმევდა ხალის და აღელვებდა. ეს გრძნობანი, მდგომარეობის მუდმივ გართულებასთან ერთად, თანდათან იზრდებოდენ და ახლად შექნილ სახელმწიფო მანქანას მძლავრად არხევდენ; ისედაც რთულ მდგომარეობას ზედმეტად ართულებდენ და აძნელებდენ პასუხისმგებელ მმართველ ელემენტების მუშაობას. ეს ნორმალური მოვლენაა: ერთის მხრივ სრული უინტერესობა და გულგრილობა სამშობლოს ბედისადმი ასეთ ტრალიულ წუთებში პატრიოტისთვის პირდაპირ დანაშაულია; მეორეს მხრივ უდის-ციპლინო გულმოდგრძება და ზედმეტი მღელვარება უალრესად კრიტიკულ წუთებში, ძლიერ ართულებს მდგომარეობას და ხშირად შეიძლება კატასტროფის უშუალო მიზეზადაც კი შეიქმნეს. ეს საზოგადოების გულის გატეხა კიდევ ზედმეტ უარყოფით მოვლენად ბრუნდებოდა ფრონტზე მებრძოლთა რიგებში. მაგრამ მდგომარეობის უალრესად გამწვავებამ და ეროვნული უბედურების უშუალო სიახლოესებ გადატეხა ეს სულიერი მდგომარეობა და ერის მკერდიდან მისი უდიდესი შემძლებლობა გამოჰკვეთა. უკვე ბუგზე წარმოებულ ბრძოლის დროს დაეტყო ერს გალვიძება და თავგამოდებულ ბრძოლის სურვილი. ახლად მოწვეული თავდაცვის საბჭო შეუდგა მოხალისეთა ლაშქარის გაწვევას, რომლის რიცხვმაც 80.000 მიაღწია. ეს ძალები უმეტესად გამოყენებული იქმნენ არსებულ ერთეულთა შესავსებად. გარდა ამისა გაწვეულ იქმნა 1890-1894 წლების ჯარისკაცთა თადარიგი.

უფრო რთულად გამოიყურებოდა პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობა. ინგლისმა თავიდანვე არასიმპატიური პოზიცია დაიყავა პოლონეთისაღმი. ეს განწყობილება ხანდისხან პირდაპირ მტრულ გამომეტყველებას იღებდა ხოლო. (საერთოდ ინგლისის პოზიცია

ასეთი იყო ყველა ახლად შექმნილ ეროვნულ ელემენტების წინაშე, გარდა მის მიერ აჯანყებულ არაბეთისა). საფრანგეთი პოლონეთს დიდი სიმპატიით უყურებდა და მატერიალურ დახმარებასაც უწევდა, მაგრამ ნათლადა სჩანდა, რომ თუ პოლონეთი თავის არსებობას თითონვე ვერ გამოსჭედავდა, მას საფრანგეთი, მაგალითად, დენიკინის თანაბარ დახმარებას არ გაუწევდა და უბედურების შემთხვევაზი ორიოდე პლატონიური პროტესტით დაქმაყოფილდებოდა. გერმანეთმა, ლიტვამ და ჩეხოსლოვაკიამ პირდაპირ მტრული პოზიცია დაიყვას და უაღრეს გაჭირვების წუთებში მათი შეიარაღებული სამტრო ინტერვენცია არ იყო გამოკლებული შესაძლებლობათა რეპერტუარიდან. ჯერ ისევ 1919 წლის დეკემბერში, მოკავშირეთა უმაღლეს საბჭომ პოლონეთს აღმოსავლეთ საზღვრად მდინარე ნარევი და ბუგის ხაზი აღუნიშნა გროდნოს და ბუეშჩის (ბრესტ-ლიტვოვსკი) გამოკლებით. ვარშავის ბრძოლის დღეებში მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო პოლონეთს ძალას ატანს და აიძულებს, რომ მიიღოს მის მიერ ნაკარნებევა ზავის პირობები. ეს პირობები ლოიდ ჯორჯის კარნაჟისა შემდეგია: პოლონეთი იხევს აღნიშნულ მდინარეთა ხაზზე, ვალნოს დაუყონებლივ გადასცემს ლიტვას, გალიციაში სამხედრო მოვედებებით შეწყვეტილ იქმნებიან ბრძოლის ხაზზე და პოლონეთი დაემორჩილება უმაღლეს საბჭოს დადგენილებებს სილეზიის, ლიტვის, გალიციის და ჩეხოსლოვაკიის საზღვრების საკითხებში. აი ამ პირობების მიღების შემდეგ ლოიდ ჯორჯი პირდება პოლონეთს თავის პირად შუამდგომლობას და თუ რუსეთი არ მიიღებდა ამ პირობებს, მაშინ ანტანტა აღუთქვემდა პოლონეთს „შეძლებისდაგვარად“ მატერიალურ დახმარებას.

ამ პოლოტიკურ უკიდურეს გართულების დროს, პოლონეთის ჯარის მთავარსარდალი და მისი მთავრობის ხელმძღვანელი ნათლადა ხედავს, რომ ყოველგვარ დიპლომატიურ ლაყბობის გარეშე, პოლონეთის გედს გადასწყვეტს მხოლოდ და მხოლოდ პოლონელი ჯარისკაცი თავისი დაწყლობლებული ფეხებით თავის სამშობლოს მეტობად. აი ამის გამო პოლონეთის სარდლობა სახელმწიფოს მდგომარეობას სრულებითაც არა სოვლის ესეთ ტრალიკულად, მკვიდრი და მაგარი ხელით აწარმოებს თავის განზრახვათა განხორციელებას და ურყევლად აწყობს ქალალდებს გარდამწყვეტ ბრძოლის გასათამაშებლად. სარდლობა იწყობს მდინარე ბუგის ხაზის მოსაზრებულ დატოვებას და ვარშავის ბრძოლის გეგმის უშუალო განხორციელებას. ერთს ძარღვების დაჭიმვა თავის უაღრეს წერტილს აღწევს. ვარშავას ესმის ზარბაზნების გრიალი და გრძნობს სუვოროვის სისხლიან ორგიას აჩრ-

დილს. ევროპა თითქმის ხელ-აღებული სახით შესცერის მდგრადი რეკონსტრუქციას. ვოლფის ტელევიზიული სააგენტო უკვე აქვეყნებს ცნობას, რომ ვარშავა მოწინააღმდეგებ დაიბყროო....

მაგრამ ერის სულიერი გარდამშენელი გადატეხვა უკვე მოხდენილია და სარდლობა გრძნობს უკვე, რომ ხელახლად ხელში ჰყავს და განავარებს მდგომარეობათა მსვლელობასა და ანთებულ ერის მორჩილ შემძლებლობას. გრძნობს თავისაღმი ერის სრულ ნდობას და რწმენას. ეს კი წარმოადგენს უმეტეს ნაწილს ომის ბედისა მებრძოლ მხარეზე დამოკიდებულ, ელემენტებისას. ვხედავთ, ბატონებო, რომ ერის უაღრეს გაჭირვების წუთებში, როდესაც სდგება მისი არსებობის საკითხი, ამის მთელი პასუხისმგებლობა მის სარდლობას აწვება კისერზე. ეს ის მომენტია, რომლისაც ეშინია და ერიდება ოთხმოცდაცხრა-მეტი პროცენტი სამხრეულების მტარებელთ პირთა. ეს ის მომენტია, რომლისთვისაც ერი ყველაფერს სთმობს და აპატიებს, ოლონდ ამ წუთებში მისცეს მას თაობამ შვილი, რომელიც დინჯის გულით და მთელის შევნებით მიიღებს ისტორიის წინაშე ამ პასუხისმგებლობას თავის თავზე, ხოლო მეორეს მხრივ, რომ მოახერხოს მან მიანიჭოს ერს ამ გარდამშვერტ წუთებში სულის სიმშეიდე და რწმენა თავისადმი. ეს ჰარმონია ვერ შეიქმნება ერთბაშად ტრალედის უაღრეს წუთებში. ამისთვის საჭიროა მთელი აღზრდა ერის და მისი მხედრობის, და ხანგრძლივი, სრულ ნდობის ატმოსფეროში ჸარმოებული ჸარმონიული მუშაობა. აი ამისთვისაა, რომ მხედრობის აღზრდა, განათლება და ცხოვრება სულ სხვა გვარად არის წარმოებული. პოლონეთის ბეღნიერება იმაში გამოიხატება, რომ ამ მძიმე წუთებში აღმოუჩნდა მას სათანადო შვილი. რომელმაც იყისრა ამის პასუხისგება და ერის უმრავლესობამ იწამა იგი. ეს იყო მისი მთავარსარდალი იოხებ პილ-სუდისკი.

აქ საჭიროა ყურადღება მივაჭიოთ ბრძოლის და საერთოდ ოშის წარმოების ერთ თვისებას. ბრძოლა იწყება, ვითარდება და მწვავდება. ეს სიმწვავე და გაჭირვება თანდათან იზრდება თავის სიძლიერით და თავის უმაღლეს წერტილს უახლოვდება და ამის შემდეგ სწყდება მისი ბედი. აი ეს სიმწვავის გაძლიერება ბრძოლის აუცილებელ კრიზისს წარმოადგენს, ბრძოლის ბედის გადაწყვეტის წინ, აუცილებლივ თავის უმაღლეს წერტილს უნდა მიაღწიოს. ამ კრიზისის თავიდან აცილება შეუძლებელია. გარდა ამისა, თუ ბრძოლა სწარმოებს ორ ღირსეულ მოწინააღმდეგის შორის, რომელთა რიცხვი, ტენიცური საშუალებანი და სულიერი ღირსება დაახლოვდებით თანაბარ სიმაღლეზე სდგანან, მაშინ ეს კრიზისი უფრო მწვავე და მძაფრ ხასიათს

დებულობს და ბრძოლის მწარმოებელიდან მოითხოვს უდიდეს რისკს და ყველაფრის ერთ ქაღალდზე დასმას. რაც უფრო გადამწყვეტი და ძალათადი გამარჯვების მოპოების სურვილი აქვს მას, მით უფრო დიდი რისკის გაწევაა საჭირო. უამისოდ გარდამწყვეტ ბრძოლის მოგება შეუძლებელია. ყველა ამის პასუხის გება მხოლოდ და მხოლოდ ერთმა პიროვნებამ უნდა იყისროს თავის თავზე — ეს მთავარსარდალმა უნდა აიღოს თავის სახელზე. რომ განვიხილოთ უდიდესი გამარჯვებანი, დავინახავთ, რომ გამარჯვების მოპოების რამდენიმე საათით წინ გამარჯვებული თითონ ბეჭვზე ეკიდენ ხოლმე კატასტროფიულ დამარცხებიდან. მაგალითად, სამსონოვის ლაშქარის მოსპობის დროს, გერმანელთა VIII ლაშქარი თითქმის ბრძოლის ყოველ დღეს პირდაპირ კატასტროფის პირას იდგა ხოლმე. ნაპოლეონის მოქმედებში, თითქმის ყველა ბრძოლა შეიცავდა ესეთ კრიზისს. ეხლა მიიღეთ მხედველობაში, რომ არც ერთი ბრძოლა არ წავებულა იმის წინ, სანამ მთავარსარდალს არ უგრძენია თავი დამარცხებულად, მაგრამ არ აუღია ხელი ბრძოლის წარმოებიდან და ხელმძღვანელობიდან. მეორეს მხრივ თვით ბრძოლის წარმოების მოქმედში მთელი კრებული მისი თანამშრომლებისა ამ კრიზისის განვითარებასთან ერთად მდგომარეობას პირდაპირ ტრალიკულად ხედავენ ხოლმე და მთავარსარდალს მუდაშ უფრო ბრძოლის განელებას, სიფრთხილეს და რისკის თავიდან აშორებას ურჩევენ და ხანდისხან პირდაპირ უკარნახებენ კიდევაც ხოლმე. (მაგალითად პოლიტიკური ხელმძღვანელობა). დაინახავთ რა სულიერ განცდაში იმყოფება ბრძოლის მწარმოებელი სარდალი და რა ხასიათი მოეთხოვება მას.

არის ერთი სახე ამის და ბრძოლის წარმოებისა, სახელდობრ: თავიდან მორიდება პასუხისებისა; ბრძოლის ისეთი გათამაშება, რომ მან გარდაწყვეტა არ მოიტანოს, ხოლო შეიძლებოდეს თქმა, რომ ბრძოლა იყო. ამის შემდეგ ხდება პატივცემული უშედეგო განშორება და ბრძოლის მჟექარე სახელი. ესე ხდებოდა ევროპის უმიზნო დინასტიური ომების დროს და ამ გვარ ბრძოლების ვირტუოზები იყვნენ ავსტრიის და რუსეთის სარდლები. ამგვარ სარდლებს აუცილებლივ სჭირდათ, სხვა რამე დაწესებულება, რომ პირადი პასუხის გება ვისმეზე გადაებრალებინათ. ამ როლს საუცხოვოდ ასრულებდენ სხვა და სხვა უპიროვნო საბრძოლო საბჭოები. იქ, სადაც მთავარსარდალი მორიდებია პირად პასუხის გებას და ეს პასუხის გება რამე საბჭოს კისერზე გადაუტანია, მთელი ისტორიის განმავლობაში ამ გვარი ბრძოლა ჯერ არავის მოუგია.

ეხლა ყურადღება მიაქციეთ მეორე მხარეს: რა ტრალედია ტრი-

ალებდა მაშინ, როდესაც მთავარსარდალი მიზნობრივ და განზრან ამზადებს ბრძოლას; ეს ბრძოლა ვითარდება, მწიფდება, და ბუნებრივი წესით აღწევს თავის კრიზისის უმაღლეს წერტილს, სარდლობა ხედავს და განაგებს ბრძოლას, მაგრამ მის გარდატეხის წინ თავდება რწმენა და ნდობა სარდლისადმი პოლიტიკურ ხელმძღვანელობის და ერის აზროვნებაში. სარდალს უშლიან ბრძოლის გაგრძელებას. ამ შემთხვევაში კატასტროფა აუცილებელია. მეორეს მხრივ, სარდალი, რომელიც ერიდება პასუხისების თავზე აღებას და სარდლობას კი არ სტოვებს, ერს აუცილებელ კატასტროფას უმზადებს და უმაღლესი სასჯელის ღირსია. ამისთვის არ სწამდა რომს დამარცხებული სარდალი და იგი მართალი იყო.

პოლონეთი უდიდეს კრიზის განიცდიდა აგვისტოს პირველ დღეებში, როდესაც მისი ჯარი ნარევ-ბუგის ხაზს სტოვებდა და ვისლაზე გადმოდიოდა, როდესაც მთავარსარდალი უკვე შეუდგა ვარშავის ბრძოლის გეგმების განხორციელებას. წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ სახელმწიფოს უდიდეს კრიზის, ამ გარდამწყვეტ წუთებში გათავებულყო ერის და მთავრობის ნდობა მთავარსარდლისადმი ამ დროს, როდესაც უკვე მთელი საბრძოლო მანქანა მოძრაობაში იყო მოყვანილი და არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა, რომ ჯარის სათავეში ვინმე ახალი პიროვნება ჩამდგარიყო და რამე ახალი განუზომელი ნაბიჯი გადაედგა. თავის თავად ცხადია, რომ საქმეს წაგებდა უფრო ადრე, ვიდრე აზრის გამოთქმას მოასწრებდა.

აქ ერთი წუთით დავანებოთ თავი ვარშავის ბრძოლას და მოვიგონოთ ჩენი საკუთარი მდგომარეობა ამავე 1920 წლის მაისში, ვარშავის ბრძოლის სამი თვეით წინ.

ყაზახის რაიონში იკრიბებოდა ბოლშევიკების ორი დივიზია. ამათ წინააღმდეგ ფოილოს და წითელ ხიდების რაიონში იდგა განმზადებული ქართული ჯარი. ამავე დროს სადახლოს რაიონში, რუსების მარცხენა ფრთაზე იკრიბებოდა ქართული ნაწილების დიდი ჯგუფი, რომლის მიზანიც მტრის ზურგში შეტევა იყო. ამ მზადებასთან ერთდროულად, ყარაბაღში, მოწინააღმდეგების ღრმა ზურგში სდგას ადერბეიჯანის ორი განუიარაღებელი დივიზია განმზადებული საკეთებლად. სრული გამარჯვება თითქმის რომ ურყევლად უზრუნველყოილია.

..... მაგრამ იქ, წითელი ხიდის მიმართულებით ერთ ღამეს რაღაცა მოხდა. გვარდიის ერთ-ერთი ათასეული შეფრთხა და პოზიციები დასტოვა. ტფილისის მიმართულება ერთი ღამე ღია და დაუფარავი იყო. სარდლობამ მეორე დღეს ბულეტენი გამოუშვა, რომ ხრამის

ადიდების გამო და მანევრის გასააღვილებლად, ფრონტი უკან და-წეული იქმნა ხრამის და დებედაჩაის შესართავამდეო. ესეთი მოვ-ლენა არა რეგულიარულ ნაწილთა ბუნების თვისებაა და არაფერ არა ჩვეულებრივ მოვლენას არ წარმოადგენს. გვარდიელებმა მეგო-ბრული კილოთი ამ ათასეულს „უძურწის კამანდა“ უწოდეს.....

თითქმის დიდი არაფერი არ მომხდარა, მაგრამ აქ გათავდა პო-ლიტიკურ ხელმძღვანელობის რწმენა ქართულ ძალებისადმი და აღარც სარდლობის რწმუნებამ, აღარც ერის ბრძოლის სურვილმა არავითარი შედეგი არ მოიტანა. გარდაწყვეტილი იქმნა ზავის მო-პოება, რა ფასადაც კი არ ღირებულიყოს ეს. და ზავი მოპოებული იქმნა ბრძოლის და ომის პასუხისების თავიდან აცილებით. საქართ-ველის პოლიტიკურ ხელმძღვანელობამ არ მოისურვა ისტორიის წინაშე პასუხისების თავის თავზე აღება სასიკვდილოდ ჩამოსიე-ბულ ყელის ნესტარის კვეთებისა... და დღეს ამაზე უცხოეთში ვმსჯე-ლობთ.

დავუბრუნდეთ ეხლა ვარშავის ბრძოლას.

პოლონეთის მთავარსარდალის გეგმა ვარშავის ბრძოლისა შემ-დევი არის: მას სურს ჩრდილოეთის ფრონტი უკან გადმოსწიოს მდი-ნარე ვისლის და ვეპშის ნაპირებზე. ამ ფრონტის მარტენა ფრთით სურს მას მოგერიების წარმოება ვარშავის ჩრდილოეთით მდინარე ნარევის და აუცილი დასავლეთ ნაპირებზე ისე, რომ ყველა გადასას-ვლები ამ მდინარეებზე საკუთარ ხელში შეინახოს. ვარშავის რაი-ონი სურს მას დაიცვას ძლიერ ფართო ხიდის საფარის სახით ვისლის აღმოსავლეთ ნაპირზე, მდინარედან კარგად შორს აღმოსავლეთით. ვარშავის სამხრეთიდან დემბლინამდე (ივანგოროდ) სურს ამოეფთა-როს ვისლას და დაიცვას მისი დასავლეთი ნაპირი. ამავე დროს მდი-ნარე ვეპშის სამხრეთ ნაპირზე შეჰქობოს დამრტყმელი ჯგუფი, რომელიც კიბურად, სწორე კუთხით იქნება მიმართული ვარშავის წინააღმდეგ მებრძოლ მტრისადმი. აი ეს ჯგუფი მოულოდნელი, მძლავრი და დიდი გასაქნით ეკვეთება, თითქმის 60 კილომეტრიანი სილრმით მოწინააღმდეგის იმ ლაშქართა ფრთას და ზურგს. რომე-ლნიც ვარშავის და ნარევის მოგერიებელ დამცველ ლაშქართა შე-უტევს და მასთან ბრძოლაში ჩაებმება. მთელი ეს მანევრი მარჯვენა ფრთიდან დაფარული იქნება სამხრეთის ფრონტის (ყოფილი უკრა-ინის ფრონტის) ლაშქართა მიერ. გეგმა ძლიერ მარტივია და თავის სიმარტივით წარმოადგენს მისი განხორციელების და მიზნის მიღწე-ვის საწინდარს. იგი შეიცავს ფრონტის და ომის რაღიკალურ გადა-ტრიალების განზრახვას. ამ გეგმის განსახორციელებლად საჭირო

იყო: ბუგის ფრონტიდან უკან დახევა საკუთარი ინიციატივით მტრის კარნახის და წნევის გარეშე; ნაწილების თავისუფალი გადმოყვანა განზრახულ ბრძოლის ახალ ხაზე და აქ მათი თავისუფალი ახალი გადაჯგუფება, საკუთარი ძალების უდიდეს ნაწილის გარდამწყვეტ კვეთებისათვის განწევება. ამ განზრახვათა განხორციელებას შემდეგი სიძნელენი ელობებოდენ წინ: პოლონელების ბუგის ხაზიდან დახევის ბუნებრივ გზას ვარშავა - მოდლინის (ნოვოგორგიევსკი) მიმართულება წარმოადგენდა, მაშინ როდესაც საჭირო იყო ამ ნაწილების სამხრეთ დემბლინ - კოცის რაიონში შეკრება. ძალების უდიდეს ნაწილის დამრტყმელ ჯგუფში შეგროვებას აძნელებდა ის გარემოება, რომ მორალური თვალსაზრისით აუცილებელი იყო ვარშავის დაცვა; ვარშავისაკენ კი მიიღო ტვოდენ მოწინააღმდეგის მთავარი ძალები და ამის გამო აქაც აუცილებელი ხდებოდა დიდი ძალების შეკრება, დაგროვება. გარდა ამისა მთელ ამ მოქმედებას აღმოსავლეთიდან ჰიდარავდა სამხრეთის ფრონტი თავის მოქმედებით და შის ძალების შემცირებაც არ შეიძლებოდა განუსაზღვრელი სახით. ყველა ამ სიძნელეთა გადალახვა ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ დამრტყმელი ჯგუფის ფასით. გარდა ამისა მოწინააღმდეგის ჩრდილოეთის და სამხრეთის ფრონტის ლაშქარნი იმდენად დაუახლოვდენ ერთმანეთს, თავისი წინსვლით, რომ მათი თანამუშაობა და მოქმედების მჭიდრო შეფარდება უკვე მთელი რეალობით იყო შესაძლებელი.

პოლონეთის ის ერთეულები კი, რომელთაც ამ გეგმის მთავარი ნაწილი უნდა განეხორციელებინათ ჯერ კიდევ ამ ლაშქართან ბრძოლაში უშუალოდ იყვნენ ჩაბმულნი, ხოლო აქამდე კი განუწყვეტლივ იხევდენ უკან დნეპრის და ბერეზინის ნაპირებიდან დაწყებული. ამ გეგმით ჩამოყალიბებული ბრძანება გაცემული იქმნა 6 აგვისტოს და ამ დღიდანვე დაიწყო მისი განხორციელება.

რა ხდებოდა ამ დროს ფრონტის მეორე მხარეზე, მოწინააღმდეგის ბანაკში. რუსეთის მიზანი ძლიერ მარტივი და აშკარაა: მიუხედავათ საზავო მოლაპარაკებათა და საერთო პოლიტიკური სირთულისა, მას სურს პოლონეთის შეიარაღებული ძალების განადგურება და მისი პოლიტიკური არსებობის მოსპობა. რუსების სარდლობა პოლონეთის ძალებს უკვე საკმაოდ დამარცხებულად სთვლის და ამის გამო, მიუხედავათ ესეთი დიდი სივრცის ერთი მუხლით გადავლისა და ზურგის აწევებისა, იგი არსად ჩერდება, არ სცდილობს ლაშქარის დალაგებას და იგი სცდილობს ერთხელ აღებული გასაქნით საქმის ერთი დაკვრით გათავებას. ბუგზე წარმოებულ ბრძოლის სიმწვავიდან, რუსეთის ჩრდილოეთის ფრონტის უფროსმა ტუხაჩევსკიმ გამოიტანა

დასკვნა, რომ პოლონეთის მთავარი ძალები იკრიბებიან ვისლის, ნარევის და ბუგის შეერთების მკლავებში და აქ გაჩაღდება ბრძოლის მთავარი კერა. ამისთვის განიზრახა მან ამ ძალების ჩრდილოეთიდან შემოვლა. მას სურს გადალახოს ვისლის ქვეითა ნაწილი, გადასჭრას პოლონეთ-ბალტიის ზღვის გზები და პოლონეთის ჯარს ზურგიდან შემოუაროს. ამ მიზნით თავისი ძალების უდიდესი ნაწილი, ვარშავის ჩრდილოეთით მდებარე სივრცით დასავლეთისკენ მიჰმართა და აქ მოდლინ - ვლოცლავეცის შუა მოინდომა ვისლის გადაღახვა. ბუგის სამხრეთით ვარშავა და შუა ვისლისკენ მხოლოდ რუსების XVI ლაშქარი და მოზირის ჯგუფი იქმნენ განწესებულნი. ამ მოქმედებამ ახლად გაპყო და განაშორა ერთი მეორესაგან რუსების ჩრდილოეთის და სამხრეთის ფრონტის ლაშქარნი, რის გამოც მათ შუა დიდი ცარიელი სივრცე შეიქმნა. აი სწორედ ამ ცარიელ სივრცეში ჰკრებდა თავის დამკვრელ ჯგუფს პოლონეთის მთავარსარდალი მოწინააღმდეგის სასივლილო კვეთებისათვის. ტუხაჩევსკი გრძნობდა ამ სიცალიერის საფრთხეს და აქეთკენ მოუწოდებდა სამხრეთის ფრონტის XII და ბუდიონის ლაშქართ, რომელნიც ამ დროს უშუალო განკარგულებაში იქმნენ გადაცემულნი, მაგრამ ბუდიონი ავ დროს ძველებურად ლვოვისაკენ მიერეკებოდა, XII ლაშქარიდან კი ჩრდილოეთისკენ მხოლოდ ერთი დივიზია იქმნა შებრუნებული. აქ ტუხაჩევსკის მოქმედებებმა ვარშავის ჩრდილოეთით მიიღო 1832 წლის რუსების მთავარსარდალ, ერევნის გრაფ ბასკევიჩის\*) მოქმედების დაწვრილებითი და უცვლელი ასლის სახე.

რუსეთის სარდლობის ამ დაღენილებამ ბევრად გაადვილა პოლონეთის სარდლობის გეგმის განხორციელება. ბრძოლის მთელი ბედი დამკიდებული იყო უკან დახევის მოსაზრებულ სახით გატარებაზე. საერთოდ პატარა გამოკლებების და მიუხედავათ, უკან დახევამ სარდლობის გეგმის თანახმად ჩაიარა. მხოლოდ ფრონტის მარცხნა ფრთაზე ჩრდილოეთის ნაწილმა ვერ გაუძლო მოწინააღმდეცებას; სარდლობის მიერ ნაკარნახევ დროის განმავლობაში გის შეტევას; სარდლობის მიერ ნაკარნახევ დროის განმავლობაში მტერმა გზა გაარღვია და გაეშურა შორს დასავლეთისაკენ პშაშნიშ-მტერმა გზა გაარღვია და გაეშურა შორს დასავლეთისაკენ ტიატული (პრასნიში) - ცეხანოვ - ლიპნოსკენ. საუცხოვოდ გამოვიდენ თავიანთ ძნელ ამოცანიდან სამხრეთის ფრონტზე ბრძოლაში ჩაბმული ლეგიონების I და 3 დივიზიები, რომელნიც განწესებულნი იყვნენ დაშვი-

\*) გენერალი პასკევიჩი მთავარსარდალი იყო რუსეთ-სპარსეთის ომის დროს და ერევანის აღების გამო ერევანის გრაფის ტიატული მიიღო.

რელ ჯგუფის შემადგენლობაში. შეუტიეს მტერს, დაამარცხეს იგი და ამით მოიპოვეს მოქმედების თავისუფლება, შემოტრიალდენ და ჩრდილოეთისკენ გაეშურება ახალ დანიშნულების ალაგისაკენ, I-ლა დივიზია რკინის გზის ტრანსპორტებით, ხოლო მე-3 სალაშქრო წე-სით. 12 აგვისტოს ე. ი. კონცენტრაციის მეხუთე დღეს, როდესაც ბრძოლის განმზღვდება უკვე მთელ მსვლელობაშია, პოლონეთის ჯა-რი შემდეგ მდგომარეობაში იმყოფება: —

ჩრდილოეთ - დასავლეთით უკიდურეს მარცხენა ფრთაზე ტროუ-ნიდნ ვიშეგროდამდის იცავენ ვისლის მარცხენა ნაპირს სუსტი სა-თადარივო და მოხალისეთა ერთეულების ნაწილები, გადარაზმის (რეორგანიზაციის) მდგომარეობაში მყოფ მე-20 დივიზიასთან ერ-თად. ყველა ამ ნაწილებს ვისლის აღმოსავლეთ ნაპირზე შეტრიქილი აქვთ გადასავალთა საფრები. მოდლინის რაიონში იკრიბება V ლაშ-ქარი. მისი შეგროვება ჯერ არ გათავებულა, მაგრამ მტერთან უკვე მძიმე ბრძოლაშია ჩაბმული. ამ ლაშქარის შემადგენლობაში შედის ქვეითი ჯარის ოთხი დივიზია და ერთი ბრიგადა, გარდა ამისა ერთი ცხენოსანი ჯგუფი. ვარშავის ხიდის საფარზე იკრიბება 1 - ლა რომელსაც ჰყავს ერთი ქვეითი ჯარის დივიზია და ერთი სათადარი-ვო ბრიგადა. გარდა ამისა საკუთარ მაშველში ჰყავს ერთი ქვეითი ჯარის დივიზია, ხოლო მის ზურგში სდგას კიდევ ერთი დივიზია მთა-ვარსარდლის მაშველიდან. ამ ლაშქრის მარჯვენა ფრთა დაბა კარ-ჩევთან ეყრდნობა ვისლის აღმოსავლეთ ნაპირს.

კარჩევიდან დემბლინამდის ვისლის დასავლეთ ნაპირზე სდგას II ლაშქარი. მის შემადგენლობაში მხოლოდ ქვეითი ჯარის ორი დი-ვიზია შედის. ამ ლაშქარს მტერთან შეხება არ აქვს. ჩამოთვლილ ლაშქართა სამხრეთით, მათი ფრონტის თითქმის სწორ კუთხის შებ-რუნებით, მდინარე ვეშპის სამხრეთ ნაპირზე, მოწინააღმდეგის ზურ-გში დასაკრავად ირაზმება IV ლაშქარი. მის ნაწილებს უკავიათ ვე-შპის ჩრდილოეთ ნაპირზე ყველა გადასავალთა საფრები. ლაშქარი ჯერ კიდევ გადარაზმის პროცესშია. ადგილობრივ იმყოფება ჯერ მხოლოდ ქვეითი ჯარის სამი დივიზია. ლეგიონების 1 დივიზი. უკვე მატარებლებზეა დატვირთული და მოემგზავრება თავის ახალ და-ნიშნულების ალაგისაკენ. მესამე დივიზია უკვე გამოსულია ბრძო-ლიდან და იკრიბება სალაშქრო წესით ჩრდილოეთისკენ გასალაშქრე-ბლად. IV ლაშქრის წინ, მის ფრონტის სრულიად პარალელურად, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, დემბლინის მიმართულებით, სრულიად ღია ფრთით, მიემართებიან რუსეთის მოზირის ჯგუფის ერთეულები. IV ლაშქრის მარჯვენა ფრთიდან ფრონტი, თითქმის

სწორი კუთხით ახლად ბრუნდება სამხრეთისაკენ; აქ მე-3-ე ლაშქარი სდგას, რომლის შემაღენლობაშიც შედის ქვეითი ჯარის ორი დივიზია, ერთი ბრიგადა და ორი პატარა ჯგუფი. ამის სამხრეთით უკვე სამხრეთის ფრონტის (ყოფილი უკრაინის) ნაწილები იბრძვიან, სახელდობრ, სამ-დივიზიანი VI ლაშქარი. გარდა ამისა, მის შემაღენლობაში შედის ერთი ცხენოსანი დივიზია და უკრაინელთა ნაწილები. ვარშავის ბრძოლის მთელი ხაზი სამ ნაწილად არის გაყოფილი. მარცხენა ფრთიდან დემბლინამდის, როგორც ჩრდილოეთის ფრონტს, განაგებდა გენერალი იოსებ ჭალერი; დემბლინიდან ბროდამდე, როგორც ცენტრალურ ფრონტს, განაგებდა გენერალი რიდ-სმიგლი. ბროდიდან დანარჩენ ნაწილს, როგორც სამხრეთის ფრონტს, განაგებდა გენერალი ივაშკევიჩი. აქ საჭიროა ალინიშნოს, რა სახით განახორციელა პოლონელთა სარდლობამ ძალთა ყაირათის დებულებანი. მის განკარგულებაში იმყოფება პოლონელთა ოცდაერთი დივიზია და ერთი უკრაინელების დივიზია. ამ რიცხვიდან გარდამწყვეტ ბრძოლაში მონაწილეობას იღებს ცხრამეტი დივიზია; დიდ მნიშვნელობის, მაგრამ მეორე-ხარისხოვან ფრონტზე, იბრძვის მხოლოდ დანარჩენი სამი დივიზია. მთავარი ფრონტის ცხრამეტ დივიზიიდან მხოლოდ სამი დივიზია დაბანდებული მთავარ მოქმედებათა დასაფარავად, დანარჩენი თექვსმეტი უშუალოდ იბრძვის ბრძოლის ბედის გადასატეხად. ზედმეტი არ იქნება აქვე ალინიშნოს, რომ ასეთი ხასიათის მაგალითს ბევრს ვერ მონახავთ საერთაშორისო ომის დროს ევროპის ტერიტორიაზე წარმოებულ ბრძოლების რიცხვში. (იხილეთ ნახაზი №6).

რა მდგომარეობაში იმყოფებიან ამ დროს მოწინაღმდეგის ძალები? ჩრდილოეთით, რუსების მარჯვენა ფრთაზე, გაის ცხენოსანი კორპუსი სერეცის რაიონში შემოტრიალდა ვისლისაკენ და ვლოცლავეკის და ნეშავას ხიდებისაკენ გაეშურა. IV ლაშქარის ერთი დივიზია გაქერდა დზიალდოვის რაიონში, ფრონტით დასავლეთისაკენ, ხოლო მისი დანარჩენი ძალები შემოტრიალდენ რაციონერის რაიონში და სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით ვისლისაკენ გაეშურენ. რუსების XV ლაშქარმა უკვე ცეხანვი დაიკავა და პოლონელების V ლაშქარს უტევს მოდლინისაკენ. ამავე მიმართულებით უტევს პოლონელების V ლაშქარს რუსების მესამე ლაშქარი. გარდა ამისა რუსების მესამე ლაშქარის მარცხენა ფრთის დივიზია და XVI ლაშქარის მარჯვენა ფრთის დივიზია ერთდროულად უახლოვდებიან ვარშავის ხიდის საფარს. XVI ლაშქარის დანარჩენი ნაწილები პოლონელების ხაზიდან იმყოფებიან, დაახლოვებით, ერთი დღის

სავლელ მანძილზე. ამის სამხრეთით, პოლონელების IV ლაშქარის ფრონტის წინ, ყოველ გვარ უზრუნველყოფას მოკლებული, მოსეინობენ დასავლეთისაკენ მოზირის ჯგუფის ნაწილები. ამის სამხრეთით რუსების XII ლაშქარი ლაზავდა მდინარე ბუგს ვლოდავისა და ხელმის შუა. ბუდიონის ცხენოსანი ლაშქარი ბროდის რაიონიდან და XIV ლაშქარი მდინარე სტრიპაზე ერთდროულად პოლონელების VI ლაშქარს უტევენ.

პოლონების მთავარსარდალის სურვილია, რომ რუსების ჯარი ვარშავის მიმართულებით რაც კი შეიძლება მეტად ჩაებას ბრძოლაში, რომ აქ მიიღონ, რაც კი შეიძლება მეტი ზიანი და დახარჯონ, რაც კი შეიძლება მეტი მაშველი. ამით რუსების სარდლობა ჰკარგავდა უნარს სამხრეთიდან გამოსული შეტევის პასუხის გაცემისა. ამისთვის მთავარსარდალმა გადასწყვიტა, რომ ფრთიდან შეტევა დაწყო 17 აგვისტოს დილით. 12 აგვისტოს სალამოთი თითონ ვაემართა მთავარსარდალი ამ ლაშქრის რაიონში, რომ პირადათ ეხელმძღვანელა მისი დარაზმისათვის და მთელი მოქმედებისათვის.

ამ მდგომარეობიდან დაიწყო ვარშავის ბრძოლა. მისი ქრონოლოგიური მსვლელობა შემდეგი იყო. 13 აგვისტოს რუსების ორმა დივიზიამ, ერთმა მესამემ და მეორე XVI ლაშქრის შემადგენლობიდან, ერთდროულად შეუტიეს ვარშავის ხიდის საფარის. გაარღვეას მისი პირველი ხაზი, დაიკავეს დაბა რაძიმინი და მიაღვენ მის მეორე ხაზს. ამ მეორე ხაზს წარმოადგენდა გერმანელების მიერ საერთაშორისო ომის დროს აშენებული ვარშავის ხიდის საფარი. ამ გარემოებამ აიძულა პოლონელების I ლაშქარის უფროსი ბრძოლის პირველსავე დღეს, თავის, ჯერ კიდევ შეუკრებავი, მაშველი სულ მთლიანად ჩაება ბრძოლაში. I ლაშქრის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ფრონტის უფროსმა გასცა ბრძანება, რომ, მიუხედავათ შეკრების დაუმთავრებისა, V ლაშქარი დაუყონებლივ შეტევაზე გადასულიყო. 14 აგვისტოს უკვე V და I ლაშქრის მთელ ფრონტზე ძლიერ მწვავე ბრძოლა სწარმოებს. 15 აგვისტოს ხიდის საფარზე პოლონელები კონტრ - შეტევაზე გადადიან. დაბა რაძიმინი მიმედ ბრძოლაში რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადადის, ბოლოს მოგერიების პირველი ხაზი თითქმის მთლიანად აღდგენილ იქმნა. 16 აგვისტოს დილით რუსები ახლად უტევენ რაძიმინს, მაგრამ ეს უკვე მათი აგონის უკანასკნელი, წინა წუთები-ღაა, ვინაიდან ამ დღის დილის საათებში ბრძოლის და მთელი ომის ბედიც სულ სხვაგან იქმნა გადაწყვეტილი.

V ლაშქარი, როგორც უკვე აღვნიშნე, ჯერ ისევ 14 აგვისტოს

დილით გადავიდა შეტევაზე. პირველი ორი დღის შეტევით ძლიერ მკრთალი შედეგები იქმნენ მიღწეული. მხოლოდ 16 აგვისტოს, ორ ფრთიდან კონცენტრაციული შეტევით, მოპოებულ იქმნა წარმატება ამ ლაშქრის ცენტრში, დაბა ნასელების რაიონში. აქედან მან პულტუსკის და სეროცკის მიმართულებით შეუტია მტერს.

ვარშავის ხიდის საფარზე ბრძოლის გართულების და რუსების მარჯვენა ფრთის დასავლეთისაკენ სწრაფი წინსვლის გამო, მთავარ-სარდალმა გადასწყვიტა დაექარებინა დამკვრელი ჯგუფის მოქმედება და შეტევაზე ერთი დღით ადრე გადასულიყო. და ამისთვის IV ლაშქრის შეტევა 16 აგვისტოს დილით დაიძრა. ქვეითი ჯარის ოთხი დივიზია და ცხენოსანის ერთი ჯგუფი დიდი სიჩქარით და კვეთების ძალით გაექანენ ჩრდილოეთისკენ, რუსების ოთხი ლაშქრის მოქმედე-დიდან, მათი ღრმა ზურგის მიმართულებით. ამ ლაშქრის მოქმედე-ბას აღმოსავლეთიდან ჰუარავდა ერთი დივიზია, რომელიც მდინარე ბუგის გასწრივ ბრესტისკენ მიემართებოდა. ამავე დღეს, ვარშავის ხიდის საფარის სამხრეთი ფრთის ნაწილებმა ტანკებით შეუტიეს ვა-შავა - მინსკის გზატკეცილის გასწრივ. IV ლაშქრის ერთეულები დიდი სისწრაფით მიიწეოდენ წინ. მათ მხოლოდ მოზირის ჯგუფის არეული ერთეულები უწევდენ სუსტ და აბნეულ წინააღმდეგობას. IV ლაშქარის წინსვლასთან ერთად თავისუფლდებიან ვისლის და-სავლეთ ნაპირზე მდგომი II ლაშქრის დივიზიები, რომელიც მთა-ვარსარდილის მაშველში გადადიან. უკვე 17 აგვისტოს გადაჭრილ იქმნა ვარშავა - სედლცეს რკინის გზა და განადგურებული რუსების XVI ლაშქრის მარცხნა ფრთა. აქ მინსკში (ვარშავასთან ახლო მდე-ბარე ქალაქი) გაბმული იქმნა უშუალო კავშირი პოლონელების IV და I ლაშქრის ნაწილებ შორის. ამ დღეს ნათლად ჩამოყალიბდა გარდატეხა ბრძოლის და მასთან ერთად მთელი ომის ბერისა. და-საწყისში რუსების ჩრდილოეთ - დასავლეთის ფრონტის უფროსი ფიქრობდა, რომ ადგილობრივ საშუალებებით მოახერხებდა მოწ-ნააღმდეგის შეჩერებას და მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ძლიერ მალე გამოირკვა, რომ მოვლენათა ვითარებას ურყევლად განაგებდა პოლონეთის სარდლობა. რუსების XVI, 111 და XV ლა-შქარის ნაწილები ერთი მეორეში აჩეული უწესრიგოდ იხევდენ ჩრდილოეთ - აღმოსავლეთისკენ. ამ საერთო უკან დახევის დროს რუსების IV ლაშქარი და გაის ცხენოსანი კორპუსი განაგრძობენ თავდავიწყებულ წინსვლას და ძალების ერთი ნაწილით ფრთიდან და ზურგიდან უვლიან პოლონელების V ლაშქარს. მოპირდაპირის მოსაზრებულ გატარებისათვის პოლონეთის სარდლობა ჯა-დევნის მოსაზრებულ გატარებისათვის პოლონეთის სარდლობა ჯა-

რის გადაჯგუფებას შეუდგა. მთავარსარდლის სურვილია მტერს გზა ბრესტ - ბიალისტოს - ოსოვეცის ხაზზე გადუჭრას, ჩაჰეტოს იგი ამ სივრცეში, უკუაგდოს გერმანეთის საზღვრებზე და გაანადგუროს სულ მთლად. ამ მიზნით ახლად იქმნა შედგენილი II ლაშქარი. იგი შესდგებოდა ქვეითი ჯარის ოთხი დივიზიისაგან, ცხენოსანი ჯარი, ერთი ბრიგადისაგან და სხვა პატარა ნაწილებისაგან. მისი დანიშნულება იყო ედევნა მტერი ბიალისტოკის მიმართულებით და ამ მოქმედების მარჯვენა ფრთა, ბრესტის დაკავებით უზრუნველ ეყო აღმოსავლეთეთიდან. IV ლაშქარს ორი დივიზიის შემადგენლობით და-ევალა დევნის პირდაპირ ჩრდილოეთის მიმართულებით წარმოება, რომ რუსების აბნეული ნაწილები აღმოსავლეთ პრუსეთის საზღვრებზე მიეხეთქებინა. I ლაშქარს ორი დივიზიის შემადგენლობით, ვარშავა - ლომჟის ხაზით, დაევალა დევნის წარმოება. V ლაშქარს გაის ცხენოსან კორპუსის, IV და XV ლაშქართა ნაწილების ლიკვიდაცია დაევალა. მთელ ამ ტრალიკულ აქტის გათამაშებას აღმოსავლეთიდან ძველებურად მესამე ლაშქარი ჰგუშავობდა.

მთავარსარდლის ეს განზრახვა მხოლოდ ნაწილობრივ იქმნა განხორციელებული .მას გაის ცხენოსან კორპუსის და რუსების IV ლაშქარის მოსპობაზე არ სურდა პოლონელთა V ლაშქარზე მეტი ძალების დაბანდება. დანარჩენი ლაშქარნი ჩრდილოეთ - აღმოსავლეთისაკენ სურდა გაემართა. მაგრამ 1 ლაშქარი, რომლის სარდლობაც ჯერ ისევ ვარშავის ხიდის საფარის ბრძოლის ფსიხოზში იმყოფებოდა, შეტრალდა ჩრდილოეთ - დასავლეთისაკენ და V ლაშქარის ბრძოლაში ჩაება. ამან დევნის შედეგები ძლიერ მაგრად შეამცირა, ვინაიდან დევნიდან განთავისუფლებულ რუსების 111 და XV ლაშქრებმა აღმოსავლებისაკენ გასხლტომა ვერ მოახერხეს. რუსების XVI ლაშქარი, რომელსაც პოლონელების შეტევა პირველს დაატყდა თავზე, სრულიად განიავებული იქმნა, მოწინააღმდევის ჩრდილოეთიკენ მიმავალ სვეტებ შუა. 111 და XV ლაშქრის ნაწილები, ზოგნი ბრძოლით ირლვევნ გზას, ზოგნი პრუსეთის საზღვრის გასწრივ — ოსოვეც - გრავოს გზით მიიბარებიან აღმოსავლეთისაკენ. ვაის ცხ. კორპუსი და რუსების 1V ლაშქარი ამ დროს ჯერ კიდევ შეტევას აწარმოებენ. 19 აგვისტოს დაიკურეს პლოცკი და ვისლის გადაღახვას ლამობდენ. უკან დახვა მხოლოდ 21 აგვისტოს დაიწყეს, როდესაც XV და 111 ლაშქრის ნაწილები ლომეა - ბიალისტოკს სცილდებოდენ. მათ, 22 აგვისტოს, მლავასთან ბრძოლით უხდებათ პოლონელების V ლაშქრის ნაწილების მიერ გადაჭრილ გზის გარღვევა. იგივე შეორდება ხოუელთან და ბოლოს 25 აგვისტოს აწყდებიან

პოლონელების 1V ლაშქარის დივიზიებს, გზას ვეღარ ირღვევენ მთელი შემადგენლობით გადადიან გერმანელთა ტერიტორიაზე და იქანიან იარაღს. ამ დღეს ფაქტიურად დევნა უკვე გათავებულია და ჩრდილოეთის ფრონტი ძირიან-ფესვიანად გადაბრუნებული. დევნა დიდის თავგამოდებით და სისწრაფით იქმნა წარმოებული. მაგალითად: პირველ დივიზიას, დღიდან ამ მოქმედების დაწყებისა, თერთმეტი დღე, საშუალო ანგარიშით, დღეში 40 კილომეტრის გავლა უხდებოდა ბრძოლით, ხოლო მეთერთმეტე დღეს სამოცი კილომეტრი გაიარა. მოპოებული გამარჯვების გამოსყენებლად აუცილებელია მტრის მოსპობა. თვით ბრძოლა მტერს ვერას დროს ვერ მოსპობს, ხოლო ენერგიული დევნით, გამარჯვების გამოყენებით კი ძლიერ აღვილად შეიძლება მტრის სრული მოსპობა. თუ მას არ მიეცემა საშუალება, ერთხელ დამცდარი ფეხის საღმე ახლად მოკიდებისა. ამისთვის საჭიროა ერთეულების დიდი გამძლეობა, ჯარისკაცის ფეხები და სარდლის ლირსება — მისი თავი და გული.

რა ხდება ამ დროს რუსეთ-პოლონეთის ფრონტის სამხრეთ ნაწილში, როდესაც ჩრდილოეთის ფრონტზე რუსების მთავარი ძალები ასეთ ტრალედიას განიცდიან. ბუდიონის, აქამდე სახელგანთქმულ, ცხენოსან და რუსების XII ლაშქარს შეეძლოთ ჩრდილოეთისკენ შემოტრიალება და პოლონელთა დამკვრელ ლაშქრის ზურგში გამოსვლა. პოლონეთის სარდლობას გათვალისწინებული ჰქონდა ეს შემთხვევა და სათანადო ზომები მიღებული იყო. ამ ლაშქარის უფროსებს ეს მოქმედება სათანადო ენერგიით და ინიციატივით რომ ეწარმოებინათ, პოლონელთა დამკვრელი ჯგუფის მოქმედება გინდვერ გაებათილებინათ, ეს მაინც თავისთავად ცხადია, რომ მისი მოქმედების შედეგებს ვერ შეამცირებდენ. როგორც უკვე აღნიშნული იქმნა, ვარშავის ბრძოლის დროს ეს ორთავე ლაშქარი ჩრდილოეთის ფრონტის ტუხაჩევსკის ექვიმდებარებოდენ; ტუხაჩევსკი მათ კატეგორიულად უბრძანებდა, რომ ჩრდილოეთისაკენ შეტრიალებულიყვნენ და ენერგიულად შეეტიათ. ამ ბრძანების და მიუხედავათ, 20 აგვისტოს ბუდიონი ჯერ კიდევ ლვოვის მიმართულებით უტევდა მოწინააღმდეგეს. ევროპის ზოგიერთი სამხედრო მწერლები გესლიანად აღნიშნავენ, რომ ლვოვი უდიდესი ქალაქი იყო, რომელიც კი ამ ვახმისტრის თავის სიცოცხლეში ენახაოდა ამიტომ ესეთი სიჯიუტით ლამობდა მის აღებსაო. სიმართლე მოითხოვს მის ერთგვარ რეაბილიტაციას. რუსეთს მთელი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის განმავლობაში ყველაზე უდიდესი და ყველაზე უკეთესად გაწრთვნილი

ცხენოსანი ჯარი ჰყავდა. ვერც ერთ მცირე ტაქტიკურ შეტაკებაში, ცხენოსანი გერც ერთ მოწინააღმდეგის ცხენოსა ნაწილმა ვერ მოახერხა რუსების გადასაცემა. მოუხედავათ ამისა, მთელი ბის ცხენოსან ნაწილების დამარცხება. მოუხედავათ ამისა, მთელი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა განმავლობაში, რუსეთის ცხენოსანმა ჯარმა, ვერც ერთხელ ვერ მოახერხა მიღწევა რამე სტრატეგიულ მნიშვნელობის წარმატებისა. რუსეთზე უსახსრო, უაზრო და უუნარო ცხენოსანი ჯარის სარდლობა, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის განმავლობაში, არც ერთ ერს არ ჰყოლია. ეკროპის ტერიტორიაზე, სერთაშორისო ომის დროს, სტრატეგიულ განზომვის ნაყოფს მხოლოდ გერმანელთა ცხენოსანი ჯარი აღწევდა. მაგრამ ეს ჯარი თავის გაწრთვნით და საბრძოლო ლირსებით ევროპის ყველა სახელმწიფოს ცხენოსან ჯარზე დაბლა იდგა. მთელი რიგი რუსეთის ცხენოსან ჯარის სარდლებისა, მათ აღმატებულებათა სერიიდან, სწორედ ამ საუკეთესო და უდიდეს ცხენოსან ჯარის მოხმარებაში, პირვინ საანდაზო უილაჯობას წარმოადგენნ. ამ სარდლობის რეპაბილიტაცია სწორედ ამ ვახმისტრ ბუდიონიმ მოახდინა და როგორც შინაურ, ისე საგარეო ომში, ამ ჯარის საოპერაციო ლირსება, ძველ რუსეთის სარდლობისათვის მიუწვდომელ სამაღლემდე მიიყვანა. მაგრამ მას თავიდანვე ერთი ნაკლი დაეტყო, რომელიც მთელი ევროპის სარდლობის და განსაკუთრებით რუსეთის სარდლობის ჩამომავლობითი ცოდვას წარმოადგენს. ეს გეოგრაფიული პუნქტების გამოუსწორებელი თაყვანებაა. გარდა ამისა სარდლის ფრთხები, ბუდიონიმ შინაურ სამოქალაქო ომში შეისხა, სადაც შეიარაღებული ძალის მორალურ მხარეს და მის წინააღმდეგობის ვარგისობას ერთგვარი თავისებური ხასიათი აქვს. აქ ხშირად მარტო მოწინააღმდეგის ზურგში გამოჩენა სრულიად საქმარისო იყო ხოლმე, რომ მთელი მდგომარეობა ძირიანული გადაბრუნებულიყო. ამის გამო იგი მუდავ გაურბოდა მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალებთან ლია ბრძოლას. მაგრამ მაღალ ლირსების მოწინააღმდეგის უბრძოლველად დამარცხება მხოლოდ შემოვლით და დამუქრებით ყოვლად შეუძლებელია. იგი ხშირად გაურბოდა ხოლმე, ძლიერ ხელსაყრელ პირობებში, საჭირო ბრძოლის წარმოებას, მაგრამ მეორეს მხრივ, ხშირად უალაგოდ და უმიზნოდ პირდაპირი ზაქური გაბრაზებით ეძგერებოდა ხოლმე სულ უმნიშვნელო ობიექტებს. ის ეს პირადი ნაკლები რომ სარდალს არა ჰქონდა, ამ ომის გარდამწყვეტ წუთებში, მის საბრძოლო იარაღს ძლიერ დიდი როლი ჰქონდა გასათამაშებელი. ჯერ კიდევ ისევ პირობენელების კიევიდან უკან დახვეის დროს, ბუდიონი პოლონელების III ლაშქრის ზურგში გამოვიდა. ამ ლაშქარს იმ წუთებში რუსები ერთდროულად უტევდენ ფრონტიდან და ორთავე ფრთხებიდან. ის

აქ, ბუდიონიშ, იმის მაგივრად, რომ ზურგიდან პკეთებიყო პოლონელების ლაშქარს და მცხვის რკინის რკალით ჩაეცეტა უკანასკნელი თავისუფალი გზა, მან დაუცვავ ქალაქებში თარეში ირჩია და მიუხედავათ გარკვეულ ბრძანებისა, დასაცლეთისაკენ იხულა. აქ, ბოლშევიკების მოწინააღმდეგზე გასამარჯვებლად, დენიკინთან ბრძოლის მეთოდებზე ცოტა მეტი გასჯა იყო საჭირო. პოლონელებმა გზა გაარღვიეს და III ლაშქარი მთელი და ურყევი წესით გამოვიდა ამ მძიმე მდგომარეობიდან. ვარშავის ბრძოლის დროს ბუდიონიმ იცოდა, რომ ომის ბედის გარდამწყვეტი მოქმედებანი ჩრდილოეთს ფრონტზე უნდა დატრიალებულიყონ. აქეთკენვე მოუწოდებდენ მას მისი უფროსის გარკვეული დირექტივები. მიუხედავათ ამისა, რუსნოს აღების შემდეგ, როდესაც მან, მიმართულების არჩევის სრული თავისუფლება მოიპოვა, მაინც სამხერთი ირჩია და ლვოვ-საკენ გაეშურა. ვარშავის ბრძოლის წარმოების დროს, როგორც ბუდიონი, აგრეთვე XII ლაშქარი ჩრდილოეთის ფრონტის უფროს ტუნისაჩევსკისადმი იქმნენ დაქვემდებარებულნი და მიუხედავათ რამდენჯერმე კატეგორიულად განმეორებულ ბრძანებისა, იგი მაინც პირს არ იბრუნებდა და ლვოვის მიმართულებით უტევდა მოწინა-აღმდეგებს. მხოლოდ 20 აგვისტოს ამოძრავდა XII ლაშქარი. ამ დროს,, ჩრდილოეთის ფრონტზე, მებრძოლ რუსების ლაშქართა ბეღი დი უკვე გამოუბრუნებლივ იყო გადაწყვეტილი. აი ამ დღეს დაიწყო მან ლუბლინის მიმართულებით შეტევა, პოლონელების დამკარელ ლაშქრის, ვიოომ და ზურგში გამოსაცვლელად. ამავე დღეს იბრუნა პირი ბუდიონიმაც და XII ლაშქრის მარცხენა ფრთაზე უხალისო და ზანტი ზლაზვნით ქალაქ ზამოსცისკენ გაემართა. რუსების ამ ძალების წინ პოლონელების სუსტი სამ-დივიზიანი III ლაშქარი იდგა. მთავარსარდალმა ამ ლაშქრის გასაძლიერებლად ჩრდილოეთის ფრონტიდან, განთავისუფლებული ორი დივიზია, განაწესა თავის საკუთარ მაშველიდან. ერთი დივიზია უკვე გზაში იყო და რკინისგზის ტრანსპორტებით მიეშურებოდა, მეორე კი ჯერ დატევირთულიც არ იყო მატარებელზე. ბუდიონი ჩრდილოეთისაკენ 27 აგვისტოს დაიძრა. თავის გზაზე მან უკუაგდო სუსტი ნაწილები და ქალაქ ზამოსცის მიადგა. ამ დროს ზამოსცში იმყოფებოდა მხოლოდ ქვეითი ჯარის ერთი პოლკი, ორი საეტაპო და ერთი სადარაჯვეითი ჯარის ერთი პოლკი, უკრაინელთა ერთი დიზივია, არტილერიის ერთი დივიზიონი და ორი ჯავშნოსანი მატარებელი. ეს ნაწილები, თითქმის ყოველი მხრიდან იქმნენ ალყა შემორტყმული. მიუხედავათ ამისა, გარნიზონი თავგამოიდებით იბრძოდა. აქ ბრძოლას, ბუდიონისათვის, არავითარი მიზანი არ ჰქონდა, მაგრამ იმის მაგივრად,

რომ ზამოსცისთვის თავი დაეწებებია და ჩრდილოეთისკენ წასული-  
ყო, იგი უაზრო სიჯიული :თ ეძერა ამ ქალაქს და სულ უმიზნოდ  
ჩაება ბრძოლაში. ამით ისარგებლა პოლონეთის სარდლობამ და გა-  
ნამზადა მისი საწინააღმდეგო მანევრი. გენერალ სტანისლავ ჰალე-  
რის ჯგუფი (ეს მეორე ჰალერია), რომელმაც ბუდიონის ლაშქარი  
ფრონტალური ბრძოლით ვერ შეახერა, მას ზურგიდან ფეხდაფეხ  
დაედევნა. ამავე დროს ზამოსცის ჩრდილოეთით კრასნისტავთან იკ-  
რიბება ტრანსპორტით გადასაყვანილი მაშველი დივიზია, რომელიც  
შეკრებისთანავე, ზამოსცის გადასაყვანილი მოწინააღმდეგი მო-  
წინააღმდეგეს ჩრდილოეთიდან შეუტია. ბუდიონი ტომარაში მო-  
ჰყვა, რომლის პირიც დიდი სიჩქარით ვიწროვდებოდა. აქედან ერ-  
თადერთი გამოსაგალი უკან დახევა-ღა დარჩა და ბუდიონიმაც და-  
სავლეთისაკენ იხუვდა. მან ბრძოლის მიღება აღარსად მოისურვა,  
პოლონელების უშუალო წნევის ქვეშ გადალახა ბუგი და მის აღმო-  
სავლეთ ნაპირზე გადავიდა. ამით გათავდა ბუდიონიადის მთელი  
რეკლამა. მისი უკუგდების შემდეგ, დაწყებულ იქმნა ძირითადი მო-  
ქმედებანი რუსეთის სამხრეთის ფრონტის წინააღმდეგ (XII და XIV  
ლაშქარი). პოლონელთა სარდლობის განზრახვა იყო მოწინააღმ-  
დების ფრონტის ორივე ფრთიდან შემოვლა და მისი კონცენტრიუ-  
ლი შეტევით მოსპობა. შეტევა დაიწყო 12 სეკტემბერს მთელ სამხ-  
რეთ ფრონტზე. მოწინააღმდგა უტვილ III, VI და მის სამხრეთით უკ-  
რაინელთა ლაშქარი. მოქმედება გეგმის თანახმად განვითარდა და  
ენერგიულად წაიწია წინ. სულით დაცემულმა მოწინააღმდეგემ ვერ  
გაუძლო ამ შეტევას და უკანდახევა დაიწყო. აქ აღსანიშნავია ერთი  
მოვლენა. ამ შეტევის დროს პირველად იქმნა გადასროლილი მოწი-  
ნააღმდეგის ზურგში სათარეშოდ, ავტომობილებზე დატვირთულა,  
ქვეითი ჯარის დიდი ნაწილი ჯავშნისანთა თანამუშაობით. (დღეს  
ეს საკითხი მთელი ქვეყნის სამხედრო წრეებში ძლიერ აქტუალურ  
გამოკვლევების და კამათის საგანია). ამ ნაწილმა მარჯვენა ფრთი-  
დან შემოუარა რუსების XII ლაშქარს და შეიჭრა ქალაქ კოველში  
მაშინ, როდესაც იქ რუსების შტაბები, ლრმა ზურგში თავს უზრუნ-  
ველად გრძნობდენ და დინჯად მუშაობდენ. კოველი მათ ხუთმეტი-  
ოდე საათით ადრე დაიკავეს, ვიდრე მას ფრონტიდან შემტევ ნაწი-  
ლებმა მიაღწიეს. რუსების ფრონტზე მალე საგრძნობი არევდარევა  
გამეფდა და საერთო უკანდახევა დაიწყო. ბუდიონიმ ერთხელ კი-  
დევ სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მდინარე სტირზე ძლე-  
ულ იქმნა პოლონელთა ცხენოსანი კორპუსის მიერ. ოქტომბრის შუა  
რიცხვებში ფრონტი ახლად იქმნა მიყვანილი მდინარე უბორცის--  
სლუჩის და კალუშის ხაზზე. ამ მოქმედებს დროს აღდგენილ იქმნა

მჭიდრო კაშირი ჩრდილოეთის ფრონტზე მებრძოლ ერთეულებთან. მოწინააღმდეგე მთელ ფრონტზე ძირითადად დამარცხებულია, მოტყდა და ყველაფერში მხოლოდ მტრის ინიციატივას და კარნახს ექვემდებარება. პოლონელების ცხენოსანი ჯარი დიდი მასებით დათარეშობს რუსების ზურგში. მათი ცხენოსანი კორპუსი იკავებს და ანადგურებს კოროსტენის კვანძს ბოლშევიკების ლრმა ზურგში.

ამით გათვალი ვარშავის ბრძოლა და მის მიერ გამოწეულ უშუალო შედეგები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ომში რუსების სარდლობა თავისი ღირსებით და მოქმედებით ყოველ მხრივ შეუდარებლივ მაღლა იდგა და უკეთესად მოქმედებდა, ვიდრე ძველი რუსთის სარდლობა რუსეთ-იაპონეთის და საერთაშორისო ომის დროს. ერთი მხრივ ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენა არის. სულ სხვა წესით და ჩვეულებით ირჩეოდა მეცის რუსეთის უმაღლეს სარდლობის შემადგენლობა და სულ სხვა იყო ბოლშევიკების რევოლუციონური სარდლობის შესვების დებულებანი. ძველ რუსეთში ეს ისეთი წესით ხდებოდა, რომ სარდლობის შემადგენლობის უზიდესი ნაწილი პირდაპირ საანდაზო უვიცთა კრებულს წარმოადგენდა. გარდა ამისა, მთელ ლაშქარში, დაწყებული უუმცირეს უფროსიდან, ლაშქართა უფროსებამდე, ყველანი გაურბოდენ პასუხისმგებას და სრულიად კმაყოფილდებოდენ საკუთარი პერანგის სიმთელით. ეს ისეთ ატმოსფერას ჰქმნიდა, რომ, მაგალითად, რუსეთის ჯარის ერთადერთი შესაძლებელი ღირსების სარდალი, გენერალი ბრუსილოვი, სძულდა მთელ სასახლეს და მთელ სარდლობას. მთელ ამ ატმოსფერაში ღირსეული სარდალი არაჩვეულებრივ და არა სიმპატიურ მოვლენას წარმოადგენდა ხოლმე.

ბოლშევკების ჯარის მმართველ საფეხურებზე მხოლოდ ისეთი ელემენტები მოხვდენ, რომელთაც გამოცდა ბრძოლის ველზე ჩაა- ბარეს და თავიანთი ღირსება ნათლად ცხად ჰყვეს. მიუხედავათ მთელი ამ განსხვავებისა, განხეთქილებისა და ანტაგონიზმისა, რო- მელიც რუსების მხედრობის ამ ორ თაობის შორის არსებობდა, მა- ინც პოლონეთის ომი და განსაკუთრებით ვარშავის ბრძოლა, მათ თავიანთი ძევლი რუსული ტრადიციით ჩატარეს და თავიანთი სარ- დლობის შესისხლებორცებული თვისებით წააგეს. რუსების ჩრდი- ლოეთის ფრონტის ლაშქარნი, პოლონელთა მოულოდნელი შეტე- ვის გამო, სასიკვდილო აგონიას განიცდიდენ. სამხრეთის ფრონტის ნაწილებს შეეძლოთ ჩრდილოეთის ლაშქართა გადარჩენა, მაგრამ ეს მათ, მათი ტრადიციის თანახმად, სრულებითაც არ შეეხდოდათ. მიუხედავათ გარევეული ბრძანებისა, სამხრეთი ურყოვლად იდგა და სეირს შეჰვეულებდა. მოწინააღმდეგემ მოსრისა ჩრდილოეთის და-

ლები და შემდეგ თავისუფალი ხელებით სამხრეთის ლაშქართ შეუდგა. შევხედოთ ეხლა, როგორ თანამუშაობენ ამავე ბრძოლაში რუსების მოწინააღმდეგის ლაშქარნი. როდესაც არამინთან ბრძოლამ პოლონელებისათვის მძიმე ხასიათი მიიღო, მათ V ლაშქარს ძალების შეკრება ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული; ამის და მიუხედავათ, მეზობელი ლაშქარის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, V ლაშქარი დაყყონებლივ გადადის შეტევაზე. ხოლო მთელი მდგომარეობის მაღლე გამოსასწორებლად, დამკვრელი ლაშქარი ერთი დღით ადრე იწყებს თავის მოქმედებას. რუსების სარდლობის ამ ტრადიციის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ 1914 წელი; როგორ უძრავად და დინჯად შეჰყურებდა რენენკამფი სამსონოვის ლაშქარის განადგურებას და რა რუსული ფილოსოფიური უსახსრო უძრაობით უცდიდა, რომ სამსონოვის მოსპობის შემდეგ, მოწინააღმდეგე მას კვეთებიყო! და თვით სამსონოვის ჯარში, რა სახით სწარმოებდა ბრძოლა. ეს თითოულ კორპუსის და დივიზიის განცალკევებული უწესრიგო კრივი იყო. არავითარი შეთამაშება, არავითარი თანამუშაობა. მარცხენა ფრთაზე მოწინააღმდეგემ მთელი კორპუსი დაამარცხა და ეს არავის არც აინტერესებს, არც ეკითხება. მტერი მთელ ლაშქარს რყინის რყალით ერტყმის და სულსა ხუთაგს და აქვე მის მარცხენა ფრთაზე ცხენოსანი ჯარის დივიზიები სდგანან და თავს ბედნიერად გრძნობენ, რომ მტერი მათ ხელს არ ახლებს. საკუთარი ლაშქარის ინტერესები, რასაკვირველია, მათთვის არ არსებობენ. სამსონოვის ლაშქარს გერმანელების თხელი კორდონი აქვს შემოხვეული და მიის გარღვევა და ლაშქარის გადარჩენა ყოველი თითის კვრით შეიძლება; მლავიდან რუსების მაშველი კორპუსი მოდის ჩრდილოეთისკენ. მისი პირველი გამოჩენავე თავზარსა სცემს მოწინააღმდეგეს. მაგრამ ეს კორპუსი ნელ - ნელა მიიჩლაზნება. შემდეგ ჩერდება და სეირს შეჰყურებს და ბოლოს თავის თავად უკანი იხევს. რუსების სარდლობის აი ეს ეროვნული ტრადიცია, თუმცა უკვე სუსტად, მაგრამ საკმარისი სიძლიერით მეფობდა ბოლშევიკების სარდლობაში, რომ მათთვის კბილი მოქრია ვარშავის ბრძოლაში. ეს მოვლენა ნათლად გვიჩვენებს, რა ძნელია ერთხელ შეპარული მახინჯი დებულების აღმოფხვრა.

ფაქტიურად უკვე ვარშავის ბრძოლამ ომის ბედი გადასწყვიტა. მოწინააღმდეგე უკვე გამოუსწორებლივ იქმნა დამარცხებული, მაგრამ ომი ჯერ არ იყო გათავებული და მას გათავება სჭიროდა. სახელმწიფო 1914 წლიდან განუშევატელი ომებით მოქანცული იყო ბრძოლაში. ეს მოვლენა ნათლად გვიჩვენებს, რაც კი შეიძლება მაღე მოპოება. ამიდა აუცილებელი იყო ზაფის, რაც კი შეიძლება მაღე მოპოება. ამი-

სოფის კი საჭირო იყო მოწინააღმდეგის იმ ძალების ჩქარი მოსპობა, რომელიც მან ვარშავის ბრძოლიდან გადაარჩინა.

ვარშავის ბრძოლის დროს პოლონელთა მთავარი მოქმედება სამხრეთიდან წირდაპირ ჩრდილოეთის მიმართულებით წწარმოებდა. მოწინააღმდეგ სწორეთ ამის ჯვარებინ მიმართულებით იქვედა, სახელდობრ დასავლეთიდან ჩრდილოეთ - აღმოსავლეთისაკენ. პოლონელების ამ მოქმედების მარჯვენა ფრთის მათი II ლაშქარი ჰქარავდა, რომელიც დევნის წარმოების დროს ბრესტიდან ბიალისტიკ-ოსვეცის მიმართულებით 250 კილომეტრის სიგრძეზე გადაიჭიმა. გერმანეთის საზღვარზე მიდგომით პოლონელების წინ მოწინააღმდეგ გაპქრა და აღარ მოიპოვებოდა. სამაგიეროდ, გროვდებოდა იგი აღმოსავლეთით, ყოფილ მარჯვენა ფრთის წინ, მდინარე ნემენის და შჩარის კარგად წინ, დასავლეთით. საჭირო იყო მთელი ფრთის შემოტრისალება და ახალი ბრძოლის მომზადება და ეს ისე ჩქარა, რომ მოწინააღმდეგებს ვერ მოესწრო სულისმოთქმა. ამ შემობრუნებას ჰქარავდა II ლაშქარი. მის ზურგს უკან IV ლაშქარი გადადიოდა ფრონტის მარჯვენა ფრთაზე და მის გადაჯგუფებასთან ერთად II ლაშქარი თანდათანობით ჩრდილოეთისაკენ იყვეცებოდა და თავის ფრონტს ავიწროვებდა. ამ ლაშქართ მთავარსარდალი აძლიერებს იმ დივიზიებით, რომელიც ნელნელა თავისუფლდებიან ვარშავის ბრძოლის განვითარებასთან ერთად. ამ დივიზიების ერთი ნაწილი სამხრეთ ფრონტის გასაძლიერებლად იქმნენ განწესებულნი. მოწინააღმდეგებმ თავისი მარჯვენა ფრთა ლიტვის საზღვრებს მიატჯინა, მარცხენა პოლესის ჭაობებს და აქ აწარმოებს ნაწილების აჩქარებული ტემპით შევსებს და მოწესრივებას. ამ დროს პოლონერთის მთავარსარდალს უკვე ჩამოყალიბებული გეგმა აქვს მომავალი ბრძოლისა. საერთოდ მისი განზრახვაა მოწინააღმდეგის მარჯვენა ფრთიდან შემოვლით ზურგის აშლა და უკუგდება. არჩევანი მოწინააღმდეგის მარჯვენა ფრთაზე შეჩერდა. გარდა ამისა, მთავარი შტაბის უფროსის სურვილით განზრახული იქმნა ასეთივე მოქმედება მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთაზედაც, მაგრამ უფრო პატარა მაშტაბით და სულ მცირე ძალებით. ამ განზრახვით იქმნა დაწყებული პოლონერთის ჯარის აჩქარებით გადაჯგუფება. აქ პოლონელების წინააღმდეგ სდგას რუსების ოთხ ლაშქრად დარაზმული ქვეითი ჯარის თექვემდეტი დივიზია, ცხენოსან ჯარის ორი დივიზიი და ერთი ბრიგადა. ამ რაცხვიდან ხაზში იმყოფება ქვეითი ჯარის ათი დივიზია, ერთი ბრიგადა და ცხენოსანი ჯარის ერთი დივიზია. დანარჩენი შვიდი დივიზია (ამში ერთი დაქვეითებული ცხენოსანი) იმყოფება ზურგში გადარაზმვის და შევსების გასათავებლად. ამ ლა-

შქარის წყება შემდეგია: მარჯვენა ფრთაზე სდგას III ლაშქარი ხუთ ქვეითი და ერთი ცხენსანი დივიზიის შემადგენლობით. მისი ცხენსანი, ცხენების უქონლობის გამო დაქვეითებულია. ამ რიცხვიდან ხაზში მხოლოდ სამი დივიზია იმყოფება. ამ ლაშქარის მარცხნივ სდგას XV ლაშქარი ოთხი დივიზიის შემადგენლობით, რომელთა შემადგენლობიდან ხაზში ორი დივიზია იმყოფება. ამის მარცხნივ სდგას ოთხ-დივიზიანი XVI ლაშქარი და შემდეგ ახლად შედგენილი ხუთ-დივიზიანი IV ლაშქარი. რუსების ჯარის მარჯვენა ფრთა თავ-დება მდინარე ნემენის ჩრდილოეთისაკენ მიბრუნების შერტილთან. ამის ჩრდილოეთით უკვე ლიტვის ლაშქარი სდგას. ლიტვამ ივლის-ში პოლონელების უკან დახვევის დროს დაარღვია ნეიტრალიტეტი და პოლონეთის ტერიტორიის ნაწილი დაიკავა, რითაც ფაქტიურად საომარი მდგომარეობა შეიქმნა. მათთან საომარი მდგომარეობა გა-გრძელდა 7 ოქტომბრის ხელშეკრულებამდე. ვარშავის დამარცხების შემდეგ რუსების ჯარის სულიერი და მატერიალური ვარგისობა ძლიერ დაცემულია. მათი ზარალი არ არის ისე დიდი, რომ დიდი ერთეულები დაშალონ, მაგრამ ნაწილები იმდენათ სუსტნი არიან, რომ მათ ძირითადი გადარაზმეა და შევსება სჭირიათ. ეს შევსება შეგნოთ რუსეთიდან ძლიერ ცოტ-ცოტათი მოდის. ამ დივიზიებს შევსების და გადარაზმვის გათავების შემდეგ დაუყონებლივ ბრძოლის ხაზზე ჰგავნიან.

ამ ძალების წინააღმდეგ ირაზმება ორ ლაშქრად პოლონელების ქვეითი ჯარის თორმეტი დივიზია, ორი ბრიგადა ცხენოსანი ჯარის 2 ბრიგადა მარცხენა ფრთაზე სდგას II ლაშქარი; მის შემადგენლობაში შედის ქვეითი ჯარის ექვსი დივიზია და ერთი ბრიგადა და ცხენოსანი ჯარის ორი ბრიგადა. მის მარჯვნივ სდგას IV ლაშქარი ქვეითი ჯარის ექვს დივიზიის და ერთ ბრიგადის შემადგენლობით.

ჯგუფს წარწყდენ და ამით მათი უკან დახევა ჩრდილოეთის მაგიერ სამხრეთისკენ იქნეს გადაგდებული, მათი XV ლაშქრის ზურგზე. ამასთან ერთად, რომ მტერი შეცდომაში შეეყვანა და პოლონელთა მოქმედების მთავარი მიმართულება დაეფარა, განზრახული იქმნა IV ლაშქრის მძღვანი შეტევა ვოლკოვისკის მიმართულებით. მთელ ამ მოქმედების ლიტველთა შეტევისაგან დასაფარავად, სუვალკის რაიონში განმზადებული იქმნა ე. წ. ჩრდილოეთის ჯგუფი. ამ მოქმედებას, მისი შესრულების დროს, დაემატა კიდევ სამხრეთიდან პოლონელების IV ლაშქარის ნაწილების მიერ წარმოებული შემოვლითი მოქმედება. ამ ჰერცოგების ჩალთა განაწილება შემდეგი იყო:

II ლაშქარის შემადგენლობიდან — (იხილეთ ნახაზი № 8) —

შემომვლელი ჯგუფი: ორი დივიზია ქვ. ჯარის.

ორი ბრიგადა ცხ. ჯარის.

ჩრდილოეთის ჯგუფი: ერთი დივიზია და ერთი ბრ. ქვ. ჯ ფრონტის ნაწილები: სამი დივიზია ქვ. ჯარის.

20 სექტემბერს, ფრონტის ნაწილებმა დაიწყეს მომზადებითი შეტევა, რომ ნემენის გადასალახავად, ბრძოლის წარმოებისათვის, სათანადო სივრცე და ნიაღავი დაეკავებინათ. ნემენის ხაზს და გროდნოს რაიონს მოწინააღმდეგე დიდ მნიშვნელობას აწერდა, რის გამოც ბრძოლაში გამეტებულად ჩაება და ბრძოლამ თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო. ამ ბრძოლის წარმოების დროს ავგუსტოვის ტყეებში ძალიან დიდი საიდუმლოებით იკრიბება შემომვლელი ჯგუფი. თვით ერთეულების უფროსნიც კი დარწმუნებული არიან, რომ კოვნოს უნდა შეუტიონ და არ იციან თავისი ნამდვილი დანიშნულება. 22 სექტემბერს დილით ამოძრავებული იქმნა ეს ჯგუფი. იგი ერთი დაკვრით არღვევს ლიტველთა ფრონტს და დრუსკენიკისკენ მიიწევს. აქ 23-ს იკავებს გადასასვლელებს მდინარე ნემენზე და 24-ს უკვე ლიდისკენ მიიმართება. 23 სექტემბერს პოლონელების ფრონტის ნაწილები თვით ნემენის ნაპირებზე იბრძვიან. მოპირდაპირე ძლიერ მკაცრ წინააღმდეგობას უწევს და მდინარე კერც ერთ ალაგს კერ იქმნა გადალახული. მხოლოდ IV ლაშქრის ნაწილმა მიაღწია საგრძნობ წარმატებას ვოლკოვისკის მიმართულებით, მაგრამ მეორე დღეს აქედანაც უკუგდებული იქმნა. მხოლოდ 25 სექტემბერს ხდება მოწინააღმდეგის გამძლებლობის გარდატეხვა. ამ დღის დილით IV ლაშქრის ნაწილები ახლად იკავებენ ვოლოვისქს და პოლონელთა უშუალო წნევის ქვეშ ნელ-ნელა ფეხდაფეხ აღმოსავლეთისაკენ იხევენ. ლაშე პოლონელების ნაწილები ბრძოლით შედიან გროდნოში. აქ ბრძოლის მსვლელობაზე უკვე აღმოშენდილი არის შემომვ-

ჯელ ჯგუფის მოქმედების გავლენა, რომელმაც უკვე 24 სექტემბერს საღამოთი გადასხრა ვიღნო - გროვნოს რეინის გზის ლიან-დაგი. მთავარსარდალმა გროვნოს რაიონში მდგომარეობის გამო-ურკვევლობის გამო, 25 სექტემბერს ერთი დღით შეაჩერა ამ ჯგუ-ფის წინსვლა. 26-სს შემომვლელი ჯგუფი ახლად იქმნა ამოძრავე-ბული და აქედან ბრძოლის მთავარი სიმძიმე მას დააწვა კისრათ. დრუსკენიკის რაიონიდან შემომვლელ ჯგუფის ერთი დივიზია და ერთი ცხ. ბრიგადა რაღუნის მიმართულებით ლიდისკენ წავიდა, სა-დაც მოწინააღმდეგის მთავარი მაშველი ეგულებოდა; ერთი დივიზია და ერთი ცხ. ბრიგადა უფრო სამხრეთით მდგომი, გაემზადრა აღ-მოსავლეთის მიმართულებით. 25 სექტემბერს ლამით შემომვლელ ჯგუფის ჩრდილოეთ ნაწილს რადუნ - მარცინკანეცის რაიონი უკა-ვია, სამხრეთი ნაწილი კი სტარა რუდას რაიონში, რუსების III ლაშ-ქრის უშუალო ზურგში სდგას, სადაც თავის მოწინავე ერთეულე-ბით უკვე საბრძოლო შეხები აქვს მოწინააღმდეგის მაშველის დი-ვიზიებთან; ეს ნაწილი 27 სექტემბერს მდინარე ლებიოდაზე გადა-ეღობა რუსების III ლაშქარს, რომელიც უკან იხევდა აღმოსავლეთი-საკენ. აქ მოწინააღმდეგებს მიეშველა ლიდიდან მოსული მაშველი დივიზია, რომელიც პოლონელების ნაწილს ზურგიდან ეძევრა. პო-ლონელებმა დიდი ზარალი მიიღეს; მოწინააღმდეგებ გზა გაარღვეა და უკან დაიხია. ბრძოლა მთელი ლამე სწარმოებდა. პოლონელე-ბის დივიზია დარწმუნებულია, რომ ეს ბრძოლა მთელი ლამე, ბოლ-შევიკების რაღაც მაგარ დივიზიისთან ჰქონდა, ხოლო მთელი III ლაშქარი, მათი აზრით, ჯერ ისევ წინა სდგას. ამის გამო, მეორე დღეს, ფრონტით დასავლეთით ამაგრებს პოზიციებს ამ III ლაშქრის დასაყვებლად. სიმართლეში კი მთელი ლამე, მთელ ამ მესამე ლაშ-ქარს ებრძოდა და მის წინ დასავლეთით მტერი აღარ მოიპოვება, მაგრამ ბოლშევიკები მინც შორს ვერ წავიდენ. შემომვლელ ჯგუ-ფის ჩრდილოეთის ნაწილი 28-ს დღით ჩრდილოეთიდან ბრძოლით შე-დის ქალაქ ლიდაში, აქ ტრიალდება ფრონტით დასავლეთისკენ და მეორეთ უჭრის გზას რუსების III ლაშქარს. პოლონელების ქალაქში შემოსვლის დროს III ლაშქრის უფროსი ძლიერ ასწრებს მატარებე-ლით მოლოდეჩნოში დახევას, კავშირი სწყდება და მისი დივიზიები უფროსობდ, საკუთარ ბედზე იბრძოდენ. აქ რუსების ექვსიოდე დი-ვიზია ერთი მეორეში უწესრიგოდ არეული აღმოსავლეთისკენ მა-ილტვიდენ. დივიზიების უფროსების ერთმა 'ნაწილმა შემთხვევით შეხვედრაზე დაადგინა ეკვეთოს მოწინააღმდეგებს და აღმოსავლეთი-საკენ გაირღვიოს გზა. მეორე ნაწილმა გადასწყვიტა დაიხიოს მეზო-ბელ XV ლაშქრის ზურგზე. მიუხედავათ რუსების რამდენჯერმე

განმეორებულ გააფთრებულ შეტევისა, პოლონელებმა დილის კვანძი ხელიდან არ გაუშვეს. მთელ ამ წესრიგ დაკარგულ რუსების ნაწილებს დასავლეთიდან პოლონეთის მთავარი ფრონტი აწვება. რუსები აბნეულად გაფანტული, პატარ-პატარა ნაწილებით, სცდილობენ აღმოსავლეთისკენ გასხლტომას. ამ დღეს, როდესაც ლიდის ოიონში ეს ამბავი ტრიალდება, ჩრდილოეთის ფრონტის სამხრეთ ნაწილში პოლონელების IV ლაშქარი ლახავს შჩარას და ქალაქ სლონიმს იპყრობს. ამის ორი დღის წინ კი, სუსტმა, მარჯვენა ფრთიდან შემომვლელ ნაწილმა ქალაქი პინსკი დაიკავა. რუსეთის ფრონტის უფროსს კანის აჩრდილი ელანდება და საერთო დახევას იწყებს.

აქ დაილია რუსეთის შეიარაღებული ძალების მოსაზრებული წინააღმდევობის ვარგისობა. პოლონეთის სარდლობა ნათლადა ხედავს, რომ ზავი სულ უახლოესი დღეების საქმეა და სახელმწიფოს მომავალი საზღვრების სტრატეგიულ განმამტკიცებელი რაიონების დასაკავებლად, უწყალოდ სდევნის მოწინააღმდევებეს. ამ მოქმედების დროს, ფრთის შემოვლებზე, ნამეტნავად გაგრძნობიარებულ, დამფრთხალ რუსების ლაშქარს, პოლონელთა სარდლობა ბურთივით ახეთქებს ფრთიდან ფრთაზე და შორს აღმოსავლეთისაკენ მიიწყეს წინ. ზავის შეკვრის დღეს პოლონელებს უკვე ზასლავ - რატომკა - მდინარე პტიჩის ხაზი უკავიათ (დღევანდელი საზღვრების აღმოსავლეთით).

საზავო მოლაპარაკებანი ვარშავის მინსკში დაიწყო, ვარშავის ბრძოლის წინა დღეებში, პოლონეთისთვის ამ ომის უმძიმეს წუთებში. რუსები მოლაპარაკებას განზრახ აჭიანურებდენ; შემდეგ მოლაპარაკება რუსეთის მინსკში იქმნა გადატანილი. ამ დროს განმავლობაში ომის ბედი ძირიანად ტრიალდება და პოლონელთა ლაშქარი დიდის სიჩქარით უახლოვდება ამ მეორე მინსკის კედლებსაც. მოწინააღმდევის ეს განუწყვეტელი წინსვლა ძლიერ ჩქარი ტემპით ალბობდა რუსების საზავო მოლაპარაკებაში დაკავებულ მიუღომელ პოზიციას. ბოლოს და ბოლოს ზავი ქალაქ ჩიგაში იქმნა შეკრული, ხოლო ზავის ხელმოწერის დღეს რუსეთის მინსკიც უკვე პოლონელების ხელში იყო.

ამით გათავდა ბოლშევკების წითელი ჯვაროსნობა დასავლეთისაკენ და პოლონეთმა ნათელჰყო თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება.

ამ ომის გარდამწყვეტ ვარშავის ბრძოლას, ზოგიერთი სამხედრო მწერალი მარნის პირველ ბრძოლასთან ადარებს, რაც უცხოეთის მწერლებში ცოტა გაკვირვებას იწვევს. და მართლაც, ვარშავის ბრძოლის მარნის პირველ ბრძოლასთან შედარება ყოვლად შეუ-

ლებელია. კი! მართალია, რომ მარნის ბრძოლაში ორივე მხრიდან მილიონიანი ლაშქარი იღებდენ მონაწილეობას, რომ აქ ოთხი ერთი იბრძოდა და ზარბაზნების და დივიზიების შეუდარებლივ მეტი რიცხვი ანთხევდა ცეცხლსა და სისხლს.... მაგრამ რა იყო მარნის ბრძოლა. შეთანხმების გაჭირვებული ჯარი მწვავე კრიზისს განიცდიდა და საბოლოო დამარცხების წინ იდგა. მარნის ბრძოლის მოგებამ ამ ჯარს მხოლოდ სულისმოთქმის საშუალება მისცა და მძიმე კრიზისის გადატანის და ომის გაგრძელების შეძლება მოუტანა. არც მოწინააღმდევე იქმნა დაახოქებული და არც ომის ბედი იყო გადაწყვეტილი. ამისთვის ჯერ კიდევ თითქმის ოთხი წლის განუწყვეტელი ბრძოლის სახით ომის წარმოება იყო საჭირო, რომლის განმავლობაშიაც ომის ბედი არა ერთხელ ეკიდა ბეწვზე. და საერთოდ, სათანადო ღირსების სარდლის გამოჩენის შემთხვევაში, როგორც ერთს, ისე მეორე მხარეს ძლიერ აღვილად შეეძლო ომის საბოლოო მოვება. მარნას მისი ბედი სრულებითად არ გადაუწყვეტია.

ვარშავის ბრძოლამ ხუთიოდე დღის განმავლობაში ომის ბედი უაპელაციოდ გადასწყვიტა და ცხადჰყო, რომ რუსეთი პოლონეთზე ვერ გაიმარჯვებს. ამის შემდეგ ნემენის ბრძოლა ეს მხოლოდ უკვე საბოლოოდ დამარცხებული მოწინააღმდევის დაახოქება იყო და პირველი გამარჯვების, სტრატეგიული და პოლიტიკური გამოყენებით, დაგვირგვინებას წარმოადგენდა.

მაგრამ ვარშავის ბრძოლის პოლიტიკური მნიშვნელობა მარტო რუსეთ - პოლონეთის საკითხით არ ამოღწურება. მარნის ბრძოლა იმის მიუხედავათ, მოლტკე გაიმარჯვებდა, თუ უოფრი, ევროპის არსებობის ძირითად დებულებებს არ ემუქრებოდა. ეს მხოლოდ ერთ, ან მეორე სახლმწიფოს ჰეგემონიის საკითხსა სწყვეტდა. ვარშავის ბრძოლაში ტუხაჩევსკის გამარჯვების შემთხვევაში მთელი ეპროპის და მასთან ერთად კაცობრიობის არსებობის სახე ძირიან-ფესვიანად იცვლებოდა, და ვარშავის ტრალედის ძლიერ მალე იგრძნობდა ევროპის ყველა სატახტო ქალაქი. დღეს ევროპა ამაზე სდუმნ. ეს საკითხი თუ რა სახისა უნდა იყოს: ევროპა — ყაზახების, თუ სხვა დასავლეთ ერების, ვარშავის ბრძოლით პოლონეთმა პირველად არ გადასწყვიტა. ამავე ხასიათის საკითხი წამოიჭრა ევროპის წინაშე როდესაც ოსმალთა ძლევამოსილი ჯარი შუა ევროპაში შეიჭრა და ვენას ზარბაზნებს უშენდა. მაშინაც ბრძოლის მახვილზე იყო დამოკიდებული, თუ საით წავიდოდა ევროპის და საერთოდ კაცობრიობის განვითარების მომავალი: ოსმალეთის თუ დასავლეთ ევროპის

გზით. ეს საკითხიც პოლონეთმა გადასჭრა და ევროპის განვითარების ბედი დასავლეთის გზას დაადგა. არც პირველი და არც მეორე მოვლენა არ იყო ბრმა შემთხვევის შედეგი. პოლონეთი, როგორც სასწორის ენა, ორ ძირითადათ განსხვავებულ ქვეყანათა შორის იმყოფება: დასავლეთი ევროპის და აღმოსავლეთის შორის. დღეს ეს აღმოსავლეთი რუსეთის წითელი ნილაბითაა დაფარული, წინად კი ეს იოანე მრისხანის ოპრიჩინიკები, ოსმალეთი, ყირიმის თაორები და მონგოლები იყვნენ. აი ამ ორ შეურიგებელ მხარეთა ერთი მეორის საწინააღმდეგო ლტოლვა და ღწევაზი, სწორედ პოლონეთის ტერიტორიაზე ეხეთქებიან ერთმანეთს. დღეს, ამ ისტორიის განმავლობაში განუწყვეტელ შეხლას ახალი განსახიერება და სახელები აქვს: ერთ მხარეზე რუსების საქვეყნო რევოლუცია დგას, ხოლო მეორე მხარეზე კი გრძანელთა „დრანგ ნახ ოსტენ“ — ამ თანამედროვე სტილს დევიზთა მიუხედავათ ეს ძლიერ ძველი მოვლენაა და მომავალშიაც ასევე უცვლელი დარჩება. პოლონეთის ეს პოლიტიკური მდგომარეობა ამ ორ მხარეთა შუა მისთვის მუდამ უცვლელ პოლიტიკურ ხაზს შეჰქმნის. ეს მუდმივი პოლიტიკური მდგომარეობა კი მისთვის ასეთსავე მუდმივ და უცვლელ სტრატეგიულ მოქმედებათა ხაზს და მიზნებს დახაზავს. ამ უცვლელ მიზნების განხორციელების უცვლელი სარბიელი ჰქმნის ამ ერისათვის მოქმედებათა უცვლელ სტილს და შინაარს, რომლის მხოლოდ სახე გამოიცვლება ტეხნიკის განვათარების-და-მიხედვით. აღმოსავლეთ საზღვრების, ევრო-წოდებულ „გარეულ“ მინდვრების დიდი და უშველებელი სივრცე, რომლის ცოცხალ ძალებით კორდონული დაკატვა შეუძლებელი იყო, და სადაც შეუზღუდავათ დათარეშობდენ ყირიმის თაორები, ოსმალები და ზაბაროველი ყაზახები, აიძულებდა პოლონეთს უაღრესად მოძრავი და მანევრული ომები ეწარმოებინა. აი ამ უშველებელ ვალებზე ნავარდმა და მოწინააღმდეგებათა მოძრავ შემოსევების დევნანადირობამ შეჰქმნეს პოლონეთის სამხედრო მოქმედებათა ეროვნული სახე, რომელიც ყირიმის თაორების და ოსმალების გაკვეთილებამ ჩვენებურ აზიურ მოძრავ მანევრულ ომობის სიმაღლეზე დააყენეს. ეს მაშინ დასავლეთისთვის მოქმედებათა მიუწვდომელ სიმაღლეს წარმოადგენდა. ისტორიის ასეთი ვითარების წყალობით, პოლონეთის სარდლობა მთელი თავისი სულიერი დამოუკიდებლობის განმავლობაში, დასავლეთის სარდლობაზე შეუდარებლივ ჭალლა იდგა და თავის სამშობლოს სამხედრო ხელოვნებას საკუთარი ეროვნული სახე მიაიწა. მიუხედავათ ქოტიურ შინაგან წყობილებისა, რომელიც ამ სახელმწიფოს საშინალად აქვეითებდა, მან, თავის სარდლების ღირსების წყალობით, თავის დამოუკიდებელი არსებობა,

შედარებით, ძლიერ ბევრი ხანი შეიტანა. ბოლოს, როდესაც ამ წყობილებამ პოლონეთი უაღრეს დაკნინებამდე მიიყვანა და ერში მის გასაძლიერებლად ამაღლებინებელი მოძრაობა დაწყო, სახელმწიფო ახალგაზრდა მხედრობის გაზრდას უცხოეთში შეუდგა. (კოსტუშკო საფრანგეთში იყო გაწრთვნილი და აღზრდილი, პონიატოვსკი — ავსტრიაში, შემდეგი თაობის ახალგაზრდა მხედრები თითქმის მთლიანად ნაპოლეონის ჯარში). ნაპოლეონის ჯარში პოლონეთის მხედრობამ ძლიერ მაღალი ხარისხის ვარგისობა გამოიჩინა, რასაც ურყევი დუმილით მოწმობენ სარავისის და ლაპციგის კედლები. მაგრამ ამ თაობის უცხო დებულებებზე აღზრდით შეწყვეტილ იქნა პოლონეთის სარდლობის ძველი სტილი და დავიწყებული სამხედრო ხელოვნების ეროვნული სახე. ჯერ ისევ ამავ თაობის ცხოვრების განმავლობაში, 1831 წლის ომით ისტორიამ ცხადდეს, რომ ეს თავისი ერის უდიდესი პატრიოტები და ევროპის განზომით, საუცხოვა მხედრები, ბრძოლის ველზე, როგორც მხედრები იყვნენ საუცხოვა ფრანგები, მაგრამ სუსტი პოლონელები. ამ თაობამ წაგვა რუსეთთან ომი, სადაც პოლონეთს ომის მოვების უმეტესი შანსები მოელი ისტორიის განმავლობაში არასოდეს არა ჰქონია.

მოიპოვა თუ არა განახლებულმა პოლონეთმა სახელმწიფო თავისუფლება, ყველა ეს ტველი საყითხები მის წინაშე ხელახლად წამოიკრენ მთელი თავისი სიგრძე იიგანეთო. იარაღით ამბოხების წარმოება მას გერმანეთის წინააღმდეგ მოუხდა. ეს სწორედ მათა „დრანგ ნახ ოსტენის“ განვითარების უმაღლეს წერტილის მიხევის წუთებში მოხდა. დამპურობელთაღმი საბოლოო ანგარიშების გასწორება კი პოლონეთს აღმოსავლეთთან მოუხდა. ამ ომში ევროპის მაგალითი და საერთაშორისო ომის უხეშ კორდონულ ბრძოლის გაკვეთილებით ხელმძღვანელობა დამლუპველი გამოდგა. საჭირო შეიქმნა უშველებელ სივრცეებში უაღრესად მოძრავ სამანევრო ბრძოლის წარმოება, დიდი რისკის გაწევა და მთელი სახელმწიფოს არსებობის ერთ ქაღალდზე დაყენება. ერთი მხრივ, ეს ევროპისათვის ახალი და მოულოდნელი მოვლენა იყო; მეორეს მხრივ პოლონეთისთვის ეს სამხედრო ხელოვნების ძველ ეროვნულ სახის აღდგენა და განახლება იყო. ისტორია პოლონეთს ამ მოთხოვნილებას თითქმის ტრალიულ სტრატეგიულ რებუსის სახით უყენებდა.... და პოლონეთმა მოახერხა ამ ამოცანის ახსნა და შესრულება.

როგორ სილუეტსა ჰხატავს ეს უკანასკნელი ომი, მის მწარმებელ სარდლის ღირსებისა! მას ისტორიამ ძლიერ მძიმე ამოცანა დაუსვა; სახელმდინარე: გონების სრული თავისუფლება დოქტორიალური შაბლონიდან, უარყოფა და უკუგდება საერთაშორისო ომის

კორდონულ ბრძოლის სახისა, ომის წარმოება მოძრავ მანევრული სახით, მოქმედება უაღრესად რიზიკანული სახით და ამის სრული პასუხისმგების სიმძიმის საკუთარ თავზე მიღება. მთავარსარდალის პასუხის გების სიმძიმეს ადვილად მივწვდებით, თუ გადავავლებთ თვალს საერთაშორისო ომის მსვლელობას. 1914 წელში გერმანელთა მთავარსარდალი მოლტკე არამც თუ მთელ არსებობის ქალადზე დასმას მოერიდა, არამედ აღმოსავლეთ ტრუსეთის დროებით დატოვების პასუხისმგებაც კი არ იყისრა და ამის თავიდან ასაცილებლად, დასავლეთის ფრონტის მთავარ თდიგარიდან, ბრძოლის ბედის გარდამწყვეტ წუთებში ჯარს უაზროდ აღმოსავლეთისაკენ გზანივდა. ასევე ეშინოდა, ფრანგების შესაძლებელ დროებით წინ წაწევისა დასავლეთ ფრონტის სამხრეთ ნაწილში და აქაც უმიზნოდ აძლიერებდა გერმანელთა ჯარს, და ყველა ამას. ბუნების ნორმალური წესის თანახმად, სწორედ მთავარ კვეთების ლაშქართა ფასით ბლანდავდა. ამის შედეგი დღეს ყველამ ვიცით. 1915 წელს ასევე მოერიდა გერმანელთა შემდეგი მთავარსარდალი ფალკენბაინი აღმოსავლეთ ფრონტზე საკმაო ძალებით მოქმედების რადიკალურ სახით წარმოებას და ამით დაჰკარგა საშუალება რუსეთის ორი წლიო ადრე ხაზიდან გამოყვანისა.

პოლონეთის მთავარსარდალის ხასიათის ასეთი სახის გამომუშავების დაზგათ მისი შეუპოვარი რევოლუციონური წარსული იყო, რომლის სკოლაც მაგდებურგიდან კამხატვამდე იყო გადაჭიმული; ხოლო თავის გამოცდილებას კაცობრიობის 1905, 1914—1918 წელთა მძიმე გამოცდებიდან იღებდა. მთელ ამ ხანგრძლივ მუშაობის განმავლობაში მიუძლოდა იგი ერის მებრძოლ ნაწილს, ერი იცნობდა მას, ჰქონდა მისდამი რწმენა და ამით აძლევდა უფლებას და ძალას მოქმედებათა წარმოების თავისუფლებისა. ამ თვისებათა კრებულით განვება ძლიერ იშვიათდ აჯილდოვებს აღამიანის ხასიათს და ძნელი წარმოსაღენია რომ ბიუროკრატიულ სასამსახურო კიბით განწევებულ სარდალს მოეპოვებოდენ ამ თვისებათა ასეთი მძღვრი კონსტილაცია. ასეთი ერთეულები მხოლოდ საერთო გარდატეხის და გარდაქმნის დროს გამოდიან ხოლმე ცხოვრების ზედ: პირზე. ასეთი ხასიათის პაცირნი თავის გარემო საზოგადოებისათვის ძლიერ უხერხულ პიროვნებებს წარმოადგენენ, რომ მათ მშვიდობიან დროს გასაქნი მიცეთ და ნორმალური განვითარება და წინსვლა შეეძლოთ. ყველა ეს მოვლენები ამ ომის ავტორს ვერ სტოკებენ უკანასკნელ ომების სარდალთა საერთო ხაზში და მას მათზე დიდათ მაღლა აყენებს.

აქ კიდევ ერთ მოვლენას უნდა მივაჭიოთ ყურადღება. 1920-

წლის ივლისში პოლონეთის დასახმარებლად ვარშავაში ჩამოვიდა ანტანტის სამხედრო მისია, რომლის სათავეშიც ფრანგების მთავარ სარდალის, ომის-დროინდელი შტაბის უფროსი, გენერალი ვეიგანი იდგა. ძლიერ ბევრი უცხოელი მწერალი პოლონელების მოქმედება-თა შედეგებს მას აწერენ. ალანიშნავია, რომ რა გინდ იდეალურა გეგმაც არ ასევბობდეს ბრძოლის გათამაშებისა, ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ამ გეგმათა განმახორციელებელის პირად ღირსებაზედაა დამოკიდებული. ამის საილუსტრაციოდ საქმარისია მოვიგონოთ. რომ გერმანელებმა ომი გენერალ შლიფენის, თხოქმის, იდეალურ, მარტივ და უტყუარი გეგმით დაწყეს. მაგრამ გენერალ მოლტკემ ეს გეგმა თავის ხასიათის და ღირსების შესაფერი სახით ასწორა „ასრულყოფილა“ და ბოლოს იგი მარნის ღირსებამდე მიიყვანა.

ფრანგების მოქმედებაც გენერალ ბონალის საუცხოვ გეგმის თანახმად იყო შემუშავებული, მაგრამ ეს გეგმა ისეთ გულმოდვინებით იყო „სწორებული“ და რამდენჯერმე „გამოკეთებული“, რომ მას უხეშ კარდონის სახე მიეცა. აი რა უაზრო მოვლენაა სხვისი გეგმის შეუგნებელი განხორციელება. მეორეს მხრივ, თუ მხედველობაში მივიღებთ დასავლეთ ფრონტის ოთხი წლის კორდონულ მოქმედებას და ომის გათავების შემდეგაც ამ ღოქტრინის მაგარ მოკალათებას საფრანგეთში, ძნელი წარმოსადგენია, რომ ფრანგი მრჩევლები პოლონეთის ახალ შედგენილ ჯარის და აღმოსავლეთის განსაკუთრებულ პირობებში წარმოებულ ომის ასეთ თვისებებში ასე დაწვრილებით ერჩეოდენ და საკუთარ ღოქტრინის ძირითად საწინააღმდეგო დებულებებით მოქმედებდენ.\*)

\* ) ავტორის მოსაზრებებს ვაძლიერებთ ქვეით მოყვანილი ფაქტებით: —

თანახმად მარშ. ფოშის სუგესტიისა, ღენ. ვეიგანის მიერ პოლონელებისადმი გადმოცემულს, პოლონელების მთავარი ძალები გარდამწყვეტ მოქმედებათა ჩასატარებლად უნდა დაჯგუფებულიყვენ ვარშავა-მოდლინის (იგულისხმე პარიზის) რაიონში, საიდანაც ნაგულისხმევი იყო გარდამწყვეტ კვეთების მიტანა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ამავე კონცეპციის თანახმად ვარშავის რაიონის სამხრეთით, მდ. ვისლის-ვეშპს-სანის ხაზზე (იგულისხმე მდინ. მარნის ხაზი) ნაგულისხმევა იყო მოგერიებითი მოქმედების ან მხოლოდ ნაწილობრივი შეტევის წარმოება.

ამნაირად, ფრანგულ კონცეპციაში ნათლად მოსჩანს სურვილი

აი პოლონეთის თავისუფლების განმტკიცების ისტორია, აღებული მიუდგომელ და უსულო ფაქტების ჩარჩოებში. აქ განვეძ მხოლოდ თვით ფაქტებს ეტანებოდა ძალა. რომ მკითხველს მათი ჩუმა მაგრამ ურყევი გამომეტყველებიდან თითონვე გამოეტანა თავისი პირადი დასკვნები. თუ მოვისურვებთ პოლონეთის ისტორიის ამ ფურცლების შეფასებას, როგორც ამგვარ ბრძოლის მწარმოებელ ერის შვილნი და არა ევროპის ჩამოყალიბებულ მხედრობის ლაბორატორიულ თეორეტიკოსების თვალსაზრისით, მაშინ ამ მოვლენათ სხვა მხარეებსაც მოვკრავთ თვალს.

პოლონეთის თავისუფლება და გამარჯვება მიანიჭა მხოლოდ იმ ჯეფმა, რომელიც ერს დამყრობელთადმი შეურიგებელ და უკომპრომისო ბრძოლისეკნ მოუწოდებდა. მიუხედავათ იმისა, რომ ეს ჯეფი საზოგადოების უმცირესობას წარმოადგენდა, ყოველ უკიდურეს გაჭირვების წუთებში მთელი ერი ინსტიქტიურად მხოლოდ მას შესცემროდა და თავის ბედს ურყევლად უდებდა ხელში. ეს

ვარშავის ბრძოლის ჩატარებისა მარნის ნიმუშით.

ძნელია დღეს გათვალისწინება იმ შედეგებისა, რომელთაც აღგილი ექნებოდათ ფრანგული კონცეპტის სისრულეში მოყვანის შემთხვევაში. ერთი კი უეჭველია: ამ შემთხვევაში პოლონელების დამრტყმელი ჯგუფი, შეტევაზე ვარშავა - მოდლინის რაიონიდან გამოსული, ფრონტალური ბრძოლის ჩატარებას მოპირდაპირის ლაშართა უძლიერეს დაჯგუფებასთან ვერ ასცდებოდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ესენებულ კონცეპტის თანახმად ჩატარებული ბრძოლა იმავე პრობლემატიური შედეგით დამთავრდებოდა, როგორითაც დასრულდა ბოლოს და ბოლოს მარნის ბრძოლა: ომის ბედი გარდაწყვეტილი არ იქნებოდა!

მარშალ პილსუდსკის ფრანგების კონცეპტია არამც თუ არ მიუღია, არამედ მოიქცევა იგი წინაუკმოდ: გარდამწყვეტ კვეთებას მატანს მდ. ვეშპის ნაპირებიდან ჩრდილოეთის და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, მოპირდაპირის ლაშარის უშუალო დაღრმა ზურგში, მხოლოდ ვარშავა-მოდლინის რაიონში აწარმოებს. მოვერიებითი ან ნაწილობრივ შეტევის ხასიათის მოქმედებებს, როთაც მოპირდაპირის მთავარ ძალებს ფრონტალურად შებორკავს.

ეს ფაქტი ნათლად აქვთ აღნიშნული ცნობილ ფრანგ სამხედრო მწერლებს ღენერლებს კომონს და მორდაკს.

ამნაირად: ვარშავის ბრძოლის კონცეპტია და მისი პრაქტიკული განხორციელება მარშალ პილსუდსკის სრულ და განუყოფელ საკუთრებას წარმოადგენს.

უკვე მოვლენაა, როდესაც ბრძოლის ქარცეცხლში ჩაყენებული მე-ბრძოლი ინსტიქტიურად უტყუარად გრძნობს, თუ ვინ არის ნამდ-ვილი უფროსის ღირსებით მოსილი და ვინ გამოიყვანს მას სამშვი-დობი გზაზე. გარდა ამისა ამ ომმა ცხადჲყო, რომ ერი, რომელსაც თავისუფლების მოპოების ურყევი გადაწყვეტილება აქვს და სურს ამისთვის ბრძოლა მიუხედავათ მოწინააღმდევის სიძლიერისა და და-ბრძოლებათა სიმრავლისა, ამ თავისუფლებას უეჭველად მოიბოვებს. თუ ერს არა აქვს გადაწყვეტილება თავის არსებობისათვის ბრძოლის საკუთარი ძალებით წარმოებისა, მას ვერც ერთი უცხო სახელმწიფო და საერთოდ ვერავითარი ძალა ვერ გაანთავისუფლებს მონიბიდან. ეს უკვე მონის უძლური სულის თვისებაა, განთავისუფლება კი ამაყ, ბუნებით თავისუფალ, მაგრამ დროებით შებორკილ ერთა პრივილე-გია. ის პიროვნება, რომელიც აუწერელ სიძნელეთა, დაბრძოლება-თა და ხელის შეშლათა მიუხედავათ, თავის საშობლოს ამ უკომპ-რომისო და რადიკალურ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა და რომელიც ამ ბრძოლის მოსამზადებლად რამდენიმე ათეული წელი განმარ-ტოვებულ და უმადლობელ ბრძოლას აწარმოებდა, ბრძოლის ველ-ზე, უამსა უკიდურეს სიმწვავისა ერმა თავის სარდლად დაასახელა და მასში არა ბიუროკრატიული წესით დანიშნული სარდალი, არა-მედ განვების მიერ აღნიშნული ეროვნული მოძღვარი იცნ.

და მან ეს იმედი არ გააცრუა.

დღეს პოლონეთი ჰელოვობს ამ პიროვნების დაკარგვას და მთე-ლი ერი მის სიკვდილით დახურულ ისტორიულ ხანას უკვე სხვა თვალით შეკვურებს. დღეს მთელი ერი, უფრო ნათლად, ვიდრე ოდესმე, ჰედავს, თუ ვინ მოიბოვა ეს თავისუფლება, ხოლო ვინც ეს მთელ სიძნელეთა შეგნებით და თავისგამეტებით მოიბოვა, რასა-კვირველია, მის განმტკიცებასაც თანაბარი ღირსებით მოახერხებდა.

რა გამოცდილება გამომდინარეობს ჩვენთვის პოლონეთის ახალი ისტორიიდან? განვებამ საქართველო და საერთოდ მთელი კავკასი-ონი, ისევე როგორც პოლონეთი, კაცობრიობის ორ, ერთი მეორესა-გან ძირითადათ განსხვავებულ ნაწილის შუა ჩაყენა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სიძნელენი მან ჩვენ უფრო მკაცრი სახით წამოგვიყე-ნა, ვიდრე პოლონეთს. კავკასიონის მკერდზე ერთა მოძრაობის ბევრ ისეთ ზეირთმა გადაირა, რომელთაც პოლონეთის სახლვრებამდე ვერ მიაღწიეს. მეცხრამეტე საუკუნიდან დაწყებული კი, ამ ორი ერის ცხოვრება პირდაპირ პარალელური გზით მიმდინარეობს. ამის-თვის ამ ერის ისტორიას ჩვენთვის ძლიერ დიდი პრაქტიკული მნა-შვნელობა აქვს.

რა დასკვნები გამომდინარეობენ აქედან ჩვენთვის?

1. საკუთარი სამხედრო ძალების შეუქმნელად ყოვლად შეუქლებელია თავისუფლების მოპოება.
2. ყოველგვარი შეიარაღებული ძალა ერის რეალურ სიმდიდრეს და საკუთრებას წარმოადგენს, რომელიც ადრე თუ გვიან უჰქველად იქნება გამოყენებული და თავის ერს უჰქველად გამოადგება.
3. ბრძოლის წარმოების ტეხნიკის სიმაღლემდე სამხედრო განათლების მიღება ყველგან შეიძლება. მაგრამ ამ ხელოვნების სტრატეგიული და პოლიტიკური განზომვით წარმოება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ეროვნული პოლიტიკის და სტრატეგიის ხაზით უნდა იქმნეს გატარებული. ამ მხრივ ჩვენმა მხედრობამ უნდა გაიგნოს გზა შამილის, ერეკლეს და დავით აღმაშენებელის მოქმედებათა სულიერ კავშირისაკენ, რომელთა მაგიერობას ვერავინ ვერ გასწევს.
4. მხედრობის ღირსებათა სრულ გამოყენებისათვის აუცილებელია მისდამი სრული ნდობა მთელი ერის და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობისა. ასეთი ნდობა ომის გამოცხადების დეკრეტით ერთ ღამეს არ იძალება. ამისთვის საჭიროა მხედრობასთან ხანგრძლივი, დინჯი და პარმონიული თანამუშაობა მთელი ერის ყველა წრისა, ჯერ ისევ მშვიდობიან დროს.
5. უმაღლეს სარდლობის ეროვნული სკოლა ეს მხოლოდ ერის ისტორიაა. და ისტორია არა ანეგდოტური, არამედ ისტორია შიშველ ფაქტებისა, მათ ყოველგვარ შეფეროვნებათა ჩამოშორებით და სიმართლის თვალში გაბედული ჩახედვით შესწავლილი. მხედრობას აქაც უნდა ჰქონდეს ნდობა და მის მუშაობას არავინ არ უნდა აძნელებდეს. ისტორიის შეფერადება მხოლოდ პირველდაწყებითი სასწავლებლებისათვის უნდა იქმნეს დატოვებული.

ვ. ნა — ლი

## მხედარი

Nº 19

### შირიანისი: —


გვერდი

1. პოლონეთის პირველი მარშალი იოსებ პილსუდსკი —	5
2. ა. ჩეიზი — მარშალი ი. პილსუდსკის ცხოვრება და მოქმედება 13	
3. პოლონეთის პრეზიდენტის პროფ. ეგნატე მოსტიცის სიტყვა წარმოთქმული მარშალ იოსებ პილსუდსკის დაკრძალვისას	33
4. 6. მა—ლი — პოლონეთის განთავისუფლება და მარშალი იოსებ პილსუდსკი —	35
5. პოლონეთის შეიარაღებულ ძალთა ინსპეკტორი —	44
6. 3. ნა—ლი — განახლებული პოლონეთის უდიდესი ბრძოლები 47	

„მხედარი“-ს მისამართი: —

**DAVID VATCHNADZE,**

**10, Passage des Eaux, PARIS XVI.**



କାଳୀଙ୍ଗ N. 1

ବ୍ୟାକ୍‌ରମନ୍‌ଦ୍ୱାରା ପ୍ରକାଶିତ  
1920 ମେଲିର ମାର୍ଗରେ


656.N2

## კულტურული გალარეაბა

## ရွှေနှင့်ပျော်ကတေသန လာကာဒီမြော

— 28-IV 626n

## ~ საბოლოვანი ხატი




“ప”

1


20

95




ნახ. № 2

ეკიპის გალაშქრება  
 დაწყებითი დარაბულება  
 28-IV ხაზი  
 სამოლოევი ხაზი



-- 25  
 18 --  
 20 --  
 25 --

II



656 N. 3

ლუსექტის პეტენტი 14 განს 205

← ଶ୍ରୀମତୀ ପିଲାନ୍ତାନୁଳ୍ଲାପା

— — — ମେଲୁଗନ୍ଧିରୁପୀଙ୍କ ଅଳ୍ପନ୍ଦିତ ଶେଷାଳୀ

20 40




“ପ୍ରତିକାଳିକ

18


20

25



ნახატი N. 4

რუსების შეტევა კინგის  
და პოლონელოების დაზევა



18 " 25  
20 " "  
25 "

